

აკაკის

თ ს ი უ რ ი

8(029)
899.961(05)

3-89

პრემული

წელიწადი პირველი

№ X

ივნისი, 1898

შეფუთვ.	№	682
ბარათ.	№	789
კანკა.	№	
წიგნის	№	
ანბნ.	№	688

თზილისი

Тип. М. Шарадзе и к^о. ник. 21. ||| სტამბა შარადიძისა და აშ., ნიკ. № 21.

1898

Доволено цензурою. Тифлисъ, 13 іюня 1898 г.

Handwritten text in a rectangular box, likely a library or archival stamp, containing several lines of text in a cursive script.

შინაარსი.

გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა

I

83.

I	გამზრდელი—პოემა	1
II	უბრალო საუბარი („კრებულის“ ფოსტა)	19
III	საუბარი ინგლისელ ქალთან	27

გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა

II

IV	ალექსი — პოემა	1
V	პატარა ტარიელი—საყმაწვილო მოთხრობა	27

გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა

III

VI	გამოცანები—შეკრებილი ს. მერკვილაძისაგან	1
VII	ფეიქარი—ზღაპარი, ჩაწერილი მ. როსტომ- შვილისაგან	35
VIII	ბედის წერა—მისივე	37
IX	წყეული ცოლი—მისივე	38



X	გაუმამლარი ცოლი—მისივე	40
XI	გულ-კეთილი ამხანაგი—მისივე	42
XII	უცნაური ბიჭი—მისივე	43
XIII	ბლესი და მიქელ-გაბრიელი—მისივე	49
XIV	ნაზარა—ზღაპარი, ჩაწერილი ნ. სტურუასაგან	52
XV	კვებულა—ზღაპ. ჩაწერილი ნ. მაჭავარიანისაგან	62
XVI	მონადირის შვილი—ზღაპარი, ჩაწერილი ნ. ქეთარაძისაგან	66
XVII	მატყუარა—მისივე	70
XVIII	ს. სარო (მასალა კ. გვარამაძისა)	72
XIX	ლექსები	77



გ ა მ გ რ დ ე ლ ი.

ნამდვილი ამაზი.

(გუძღვნი ჩვენს პედაგოგებს)

I

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლათ,
მერცხლის ბუდეთ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატეორტი,
ვერ აჩხევს მის სიგრძეს და განს.

ის ფაცხაა, ღვიმის ზირათ
მიწნული და მიგრესილი,
ღრმ და ჟამის შესაფერათ—
ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი.

როდესაც მთა ბარს და ვაკეს
ემუქრება წარდგნა-ღელვას,—
ფაცხანც დრუბელს გარს იბურავს,
ეგრძალება ჭექა-ეღვას.

მაგრამ, როცა დაქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზათ
ეფინება არე-მარე,

მაშინ ფაცხა უბრალოდით
მომხიბლავათ ღამისა
და იმასთან ეგულა ტუუის,
რაც კი ცხე-ღარბასია.

გზა მოუძღვის სსცალოებს,
მიხვეული, მიხვეული;
მასზე გამგულს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;

ანუ ჰქვავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზდილ-გამოწვრთნილი:
კლდიდან კლდეზე გადამოგრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.

ამ შორეულ ფაცხა-ღვიძის
ვინ ჰატრინობს ვისი არის
და საამო კარ-მიღამოს
ვინ შეტრფის და ვინ შეხარის?

ერთი ვინმე ახალგაზდა
ათხასია, ამ მთის შვილი,
რთულ-ცხროვრების უარ მუფი,
მცირედითაც კმაყოფილი.

კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას ამის მეტს
კაცი, მასებრ დანაბადი?

მხალთ ერთს კი... და ის ერთიც
აჩინ მარტო სიუვარული,
რითაც მხალთ ქვეყნიური
ხატარება აჩინ სრული.

ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა, ვით რჩეული...
სიუვარულსა, მის მონაშუქს,
მონაშუქს სიუვარული:

ერთი თვეა, რაც რამ ცოლათ
მიიუვანა, ვინც უუვარდა,
ვისაც გულში ცასქეპითი
შეუწინა, შეუთვარდა...

ნაზი-ბრალა — სახელაია,
სამეგრელოს ასულია,
მონაშუქილი ცით ვარსკვლავი
ედელმის აფვად ასულია!..

ელ-ფერობით ვარდი აჩინ,
სინაზით-კი — მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ შირველათ
გულის კარი გაუღია.

ცა და ქვეყნის შუამავლათ
მიანჩინა მას აფხაზი!..
გულში გულს დებს, სულში სულს ცვლის,
ხორცს ეწმახნის სურა-ვაზი!..

ნეტავი მათ!.. მათ სიუვარულს
და მათ უხმო აღსარებს!..
ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე
სასუფეველის ნეტარებას...

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გახსარებს ვისმე განა?
თათულში ურევს მწარე ნაღველს
მტრისას მისი გამტანა!..

II

ბნელა ისე, რამ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭეჭამ
ნადიხსაც-კი უფროსო ძილი!..

ქარი ზუის გულ-საკლავათ,
წვიმა უშეებს კაკის ზირათ;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
გავარდება მენი სშირათ.

თვითქო მართლს თვით ჯოჯოხეთს-
აუშვია ქვეყნათ ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორათ მთა და ბარი!

ამ დროს ხელმე თვით ეშმაკიც
ეძებს ძრწოლით თავ-შესაფარს,
მაგრამ, დახეთ, ვიღაც მგზავრი
სტუმრათ მოდგა აფხაზის კარს!..

დაურეკა და ხმა მისცა:
„გამომხედეთ!.. ვინ ხართ შენა?
სტუმარი ღვთის კარზე ვდგავარ,
ცხენს და კაცსაც გვინდა ბინა.“

გაუკვირდა აფხაზს და თქვა:
„ამ თავსხმაში ეს ვინ არი?!“
შეუკიდა ცეცხლს და უცბათ
გამოაღო ფაცხის კარი.

გავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს,
შიიყვანა ცეცხლის ზირათ,
უდგამს სამ-ფეხ სკამს დადალულს.

ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის;
თავ-ზირი აქვს შებუღნული
უბაღიხით და იცინის!..

ჯერ ნაბადი მიაუუდა,
ბნელ კუთხისკენ მიდგა წენარა
და ბაშლიუი რომ გადაიძრო,
მოტრიალდა უკან ჩქარა.

— მასწინძელო! სიცილით თქვა,
წახდა ჩემი ხუმრობა!..
ვერ მიტანი, თუ გეწეინა
ეს უდროვო სტუმრობა?

— საფარ! შენ ხარ?... ენაცვალს
ძიძის შვილი მაგ შენს თავს...
ეს თვალები რაღას ნახვენ
შენს უკეთეს სანახავს?

—
მოეხვია, გადაკონა,
რეგორც ძმა და თვისი ტოლი
და მეჩუ კი გააღვიძა
შიგნით მწოლი მისი ცოლი.

—
შეხვეწი: აბა, ჩქარა
მომხადე ვახშამი:
შორი გზა აქვს გამოკლილი,
არ ექნება ნაჭამი.

— არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,
არ მცალია იმისთვის!
მე სხვა მადა მაქვს აშლილი,
სხვა ნაირი გულის თქმის...

—
უზასუნს და მოუყვას:
„მინდა გითხრა ჩემი ჭირი:
დღემდის მტკიცე ზიარანსა,
დღეს მიტელება, ძმაო, ზირი!“

— „აღმასხიტს ხომ კარგათ იცნობ,
თავმოწონე ინალიფას?
მის ცხენსა და მის იარაღს
ვერ ვინ დადებს ღირებულ ფასს.“

— „ვაშკაცია თვალ-ტანადი,
ცხენოსანი უბარი!..
მეტოქეა ჩემი მხლათ
ერთად-ერთი, საშიშარი.“

— „შოხს გაისმის მისი ქება,
ჩვენშიც სშირი სტუმარია;
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.“

— „ერთი მხლათ ზია-ხანუმი
არათ აგდებს, არც უუერებს,
რადგან იცის, რომ სხვებსაგვით
იმას ის ვერ იმსახურებს.“

— „ზია-ხანუმი, შენც კი იცი,
რომ შეენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზდა
მისი ეშხით დაბმულია!..“

— „მთვარესაგვით ხელ-უხლები,—
სხივებს ჭფენს და არვის ათობს;
მომხიბლავი შორეულათ
თანასწორათ უველას ატკობს.“

— „ჯერ დალაღვს, მიიბირებს,
დაიზინებს, იგდებს ხელში,
მეკე უნდა გამოცადოს:
აგდებს მის მსხვერზლს განსაცდელში!..“



— „მეტ მემხიბლას ჯადოსანმა,
 დამამარცხსა, დამიძინა!..
 და თუ ქალი მაჯობებდა,—
 არ ვფიქრობდი, არ შეკონა...“

— „დამჩემს: „თუ გიუვარვარ
 და ხარ ჩემი მოგვარეო,
 ინალიფას ლურჯი ცხენი
 ამ სამ დღეში მომგვარეო.“

— „ინალიფა მის ბედაურს
 არ დაუთმობს ნებით გამჩენს
 და თუ ვინმე ძალას იხმარს,
 შეაკვდება, არ შეარჩენს!“

— „სხვა გზა არ მაქვს: მონარვას
 მხლათ ერთად-ერთი ღონე,
 თუმც კი სხვა ღრეს არ იკადრებს
 ამას კაცი, თავ-მომწონე.“

— „აი, რისთვის მოვსუფვარ აქ,
 ჩემო კარგო მეგობარო!
 შე მინდა, რომ აღმასხიტის
 ლურჯი-ლათქა მოვიპარო.“

მოუსმინა ძიძიშვილმა,
 უველა კარგათ გაიგონა,
 მაგრამ საქმემ უკუღმართმა
 შეაწუხა, დააღონა.

უთხრა: „გწუხვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,
მაგრამ, რადგანც სიუფარულის
ტკბილი სენი შენც შეგებრია,“

— „გზა აღარ გაქვს!.. უნდა გულა
დაუდვას და ემსახურდეს,
რომ სატრფოს წინ შენ სინცხვილის
ოფლი აღარ მიიწურდეს.“

— „მის ოცნებას, მის გულის თქმას
უნდა მიჰყუდე, დაემონო,
კინდ სინცხვილს შენი ტკბილი
მწარე სიკვდილს შეუწინდ.“

— „ეს შენც იცი, — არ ხარ ქვეყნის
უცნაო და უმეტარო, —
საგაშკაცრო გამოსული,
უდრეკი და უშიშარი!“

— „მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილს გინივრული
დროზე მას არ დაეხმარა.“

— „ერთმანეთის მინამცხვარი,
შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე, როგორც სხვა და სხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.“

— „რომ მიდისარ, სად მიდისარ?
მართალია, გიჭრის თვალი,
მაგრამ ჩვენში, როგორც უცნოს,
აგებენვთა გზა და კვალი.“

— „შენ ეგ საქმე მე მამნდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიუვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!“

— „შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუშდი ცუცხლის შიკას!..
და თუ დამჩხა გამარჯვება,
მაშინ მოგთსოვ თუენის ქიკას“

გაკეუმჩა, გამოეწეო
სამგზავროთ და გაულო კარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დახუის თავზე ქარი.

III

ირიყრავა, ქარი ჩადვა,
გადიყარა, დაღვა დარი;
ფურჯ ბედაურს მოაკედეებს
მეგობრობისთვის მეგობარი.

მოიყვანა, დაბა და
შინ შევიდა წუნარათ, ფროთხილათ.
გძელ ნაბადში გამხვეულს
სტუმარს ძინავს იქვე თბილათ.

აუარს გვერდი, მიღის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია,
სუფს წირავს და თავს ევლება.

გულში ამბობს: ერთს დავხედავ
ტკბილათ მიძინარ ნახი-ბრალს,
თუ გავუძელ გულის ძკერას,
სუფის ბრუნვას, ხორცის ჟრუფლას...

სასრებით შედის ქვაბში
და რას ხედავს იქ საკვირველს!!
ნახი-ბრალა ჩუმათ ტირის,
ზირს იხკავს, იკაწრავს ეელს!..

თმა-გაშლილი, ტინის კედელს
თავს ახლის და სმას არ იღებს...
მინგრეულს და მონგრეულს
ხედავს იქვე მის ქვეშაგებს!..

მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაჭკრა, ელდა ეცა!..
და რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმით ჩაიკეტა.

დიდ ხანს იჯდა რეტ-დასხმული,
უეურება ცოლის ტანჯვას;
ბოლას ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას.



მივიდა და უთხრა მტირაღს:
„ჩუ, ნუ ტირი. გენაცვალე!
რაც გინახავს—სიზმარია,
დაივიწე ისევე მალე!“

— „ყოველ გვარი მისვალა
კაცის თავზე უნებუჭი,
ღვთის რისხვას და ტუვილათ ბედს
რას უჩივი, რათ ემდგური?“

— „გადაიგდე გუდიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლაშქარი.“

მოკვხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით,
დააწუნარა, დაამშვიდა
აღერსით და ბევრი ხვეწნით.

მაშინ მხალეთ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„ადე, ძიარ, გადვიძებას
არ აზირებ მგონია დღეს!“

წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენალი!..
მაგრამ, როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას დიმილი,

გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
 არაფერი შეუტევია,
 თვარა გუფ-მკერდს გამინგრეტდა
 ხანჯლის წვერი და ან ტევია!“

— „არ უთქვამს ქაღს, რაც შეგცოდებ,
 ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
 ჩემ საქციელს, სამარცხვინოს,
 ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“

მერე უთხრა მის ძიძიშვილს:
 „გატეობ, რამ ხარ კმაყოფილი,
 შეასრულე განა ჩემი
 ძნელი ნატვრა და სურვილი?“

— „შევასრულე: მოგიუფანე.
 დროა, აწ კი გაეშურე!
 ნუ დამძრახავ, საკადრისათ
 თუ რამ ვერას გამსახურე!“

ხან ესა თქვეს, ხან ისა თქვეს,
 ისაუბრეს ჯერ ერთ-ხანათ,
 მერე წყაღივ მოკუტანა
 მას ხელ-ხირის დასაბანათ.

გამოაწეო, არ დააკლო,
 რაც წესია, სამსახური,
 რამ სტუმარი არ გაუშვას
 გულნაკლი და უმადური.

შეუკაზმა ცხენი, შესვა,
თვითონ შეჯდა ნაჭურღალზე
და ორივემ მათრახები
ატაკცუნეს ერთხანს ძალზე.

გასხურვეს მით ცხენები,
სადეღვეს, ანჭარეს
და ვიწრო გზით ის დაღმართი
სულ კუნტრუშით ჩაატარეს.

რომ ჩავიდენ შორი-ახლას
მინდვრის პირათ, იქვე დაბლას,
მასშინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:

— „საფარ-ბეგო! პირშავობა
შენი ვიცი, შემიტყუია!..
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყუია!“

— „არა თქვა რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელათ საძნელთა...
არც შენდობა უხერხდება!“

— „ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილათ! არსად შემეუარო,
რომ ცუდ გულზე უცაბელათ
შენი სისხლი არ დაუღვარო!“

ეს რომ უთხრა, შეერთა საფარ,
გაშრა, ფერი დაუდგა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა ზირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის...

ძლივს წარმოთქვა: „მართალი ხარ!..
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემატდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვილს ხელი!..“

— „შენი ტყვე ვარ!.. ჭა, ხომ ხედავ,
იარაღი დამიურია...
სასიკვდილოთ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...“

— „ჩემ სიტოცხელს სიკვდილი ჯობს,
მომკაღ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგნოდე,
სინიღისი გამიმართლე!..“

— „აა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოთ ჩემი ტყვია:
დედი ჩემის გაზდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...“

— „რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესათ,
რომ გატეხე, ის გუეოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესათ.“

— „წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შენს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდის გულის
ერთმანეთს ვერ მივენდობით!“

— „მაგრამ ერთს კი დაგავალე,
ამისრულე უკუველათ:
რამ მისვიდე უბრდლოში,
იტოდე, რამ სულ პირველათ“

— „წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შეიღვივით გამოგზავნდა
და უამბე შენი პირით,
რაც სიბრძნვილი დაგემართა.“

გადმხრება და ლურჯი ლაფში
მისცა ხელში, ჩააბარა,
მოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

IV

არც გვარით, არც ვაჟკაცობით,
არც სიმიდიდრით, არც ქონებით,—
ჭაჭვი-უსუბ ცნობილია
მხალეთ ჭკუით და გონებით.

ჭირში, ღვინში საზოგადოთ
უმისობა არ იქნება;
ხელის გულზე უწერია
თვით მაჭმადის წმინდა მცნება.

ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,
მნახველია ცა და ქვეყნის;
ჯერ ისევე ჭანჭაკია,
თუმც არ არის კი მტირე ხნის.

ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის, —
არ ტყუილად ქადილია;
სადაც კია გვარიშვილი,
უველა მისი გაზდილია.

სათარ-ბეგიც მან გაზარდა,
ისე, როგორც სხვები უველა,
მაგრამ მარტო წრთუნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?

აი, სწორეთ ამ უსუბთან
მიდის ესლა სათარ-ბეგი,
მორღუობის გამტეხი და
ჩვეულების გადამდეგი.

ეუბნება უოველიფერს,
უნებურათ რაც შეემთხვა;
ცრემლები დის და ეჩრება
ბურთად ეელში მწარე სიტყვა.

ეურს უგდებდა ჭაჭი-უსუბ,
სახე მინაღვლიანა;
სადიადე ამ მუხთლობის
თვალწინ გაისიგტკანა.

თხევით ჭკითხა: „მერე? მერე?
რამ გავიგო, რა თქვა ქმარმა?“

— „მანათივა შეტადება,
რეგორც ძმამ და შეგობარმა!..“

— „მხლათ ეს კი დამავალა:
ნახე შენი გამზრდელო
და მაგ შენი სარტეოლის
ხასუხს მისგან მკველო.“

— მესმის, მესმის და ხასუხიც
ჩემი მხლათ ეს არიო,
რამ ნამუსის კასაწმენდათ
ჩემი ხელით სისხლს დავუღვრიო!..

შეაუენა ზედა ფეხზე
მან დამხანა კატენილი;
მორჩილებით გუელ-მკერდს უშეკრს
საფარ, მისი გამომზდილი.

მაგრამ უსუბე ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა დირსი ხარ?!
სასიკვდილო მევარ მხლათ,
რამ კაცათ ვერ გამიზდისარ!“

წარმოთქვა და საფეთქელში
მიიტედა ცხელი ტუფია!..
ჩაიკეტა სულთან-მბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...

შ ბ რ ა ლ ო ს ა შ ბ ა რ ი .

(„კრებულის“ ფესტა)

შ...წ...ს. ქუთაისის შესახებ რასაც მეკითხებით, სწორეთ რომ საკითხავია. მაგაზე მეც ჩემდა თავათ ბევრჯელ მიფიქრია და დავრწმუნებულვარ, რომ ეს პატარა ქალაქი ბოროტათ თვალ-ნაკრავია და გაღალღული.. საკვირველია მართლა, რომ ამდენი განათლებული ახალგაზდები, ერთად თავმოყრილი, რაც იქ არიან, სხვაგან სადმე ჩვენში არ მოინახება; მაგრამ არც იმდენი უკულმართობა და სისაძაგლე სხვაგან სადმე ვაგონილა! არ დაწყებულა ჯერ აქ მისთანა სწორი საქმე, რომ არ გაუკულმართებულოყოს! მისთანა წმინდა არა არის რა, რომ შებღალული არ იყოს!.. რაც უნდა ცუდი რამ ჩაიდინოს კაცმა, არავინ არას ფიქრობს, მხოლოთ წაილაპარაკებენ ერთხელ-ორჯელ და გაჩუმდებიან. დაავიწყდებათ, არ აპატივებენ და არ შეარჩენენ კაცს მხოლოთ სიკარგეს! ასეთი გახრწნა და დაცემა ამ ქალაქის საკუთრათ ინტელიგენციის ბრალია. მაგრამ მისაწუთებთ, რომ ვითომც ყველა ინტელიგენტთაგანი აქ მართლა ცუდი იყოს და კარგი არა სურდეს რა. ბევრი მაზგანი და თვითქმის უმეტესობაც ძლიერ კარგია, მაგრამ მაინც ბრძოლაში გამარჯვება უკულმართებს რჩებათ, რადგანაც არავითარ საშუალებას არ

ერიდებიან ბრძოლის დროს და მისთანა იარაღებსაც ჰკიდებენ ხელს, რომლებსაც რიგიანები გაურბიან. ნათქვამია: „კატას თევზი უყვარდა და წყალში ფეხის დასველება კი ეზარებოდაო“,—ასე მოსდის ამ ჯერ კიდევ გაუფუჭებელ და რიგიან ახალგაზდებსაც. სანამდი უნდა იყონ ასე განზე გამდგარი და გულ-გრილათ უყურონ იმ საზიზღარ მოვლინებას, რომელსაც ქუთაისში ფეხი გაუგდია და დღითი დღე იზდება და ძალას მატულობს? ხშირათ, ძალიან ხშირათ, შეხვდებით ქუთაისში ინტელიგენტს დაღვრემილსა და გულნატკენს, თვითქმის მტირალს, რომ ამ ქუთაისურ უკულმართობას ყოველ დღე თვალით ხედავს. ეკითხები: კაცო, რატომ ხმას არ იღებ, რატომ არ ებრძვი ამ ბოროტსა და მანე მოვლინებას?—„ეჰ, რა გამოვა? გეუბნება გულგატეხილათ—ძალა მათ ხელშია!.. რომ ვეწინააღმდეგო, გამსვრიან, გამაჩირქიანებებენ, საშიშ მდგომარეობაში ჩამაყენებენ, ყოველ გვარ ღონეს იხმარებენ, რომ გამაფუჭონ! მე დავიღუპები, საქმეს კი ვერას ვარგებ და უბრალოთ თავს გავიფუჭებ,—ჩემთვის რომ ვიყო მორიდებულათ, განზე, ის არ აჯობებსო? საკვირველია! ამისი მთქმელი განა ერთია ქუთაისში?—ძალიან ბევრია, მაგრამ შეერთებ-შეკავშირება ვერ მოუფიქრებიათ და ვერ მოუხერხებიათ ერთმანეთთან, რომ ესენიც დასობით გავიდნ საბრძოლათ. მოსაწონი არ არის მათი ამ გვარი თავ-შეკაულობა და კიდევანობა. ჩვენი ხნის კაცმა, რომელიც ცხოვრებას გაუტეხია და გარემოებას დაუჩაგრავს, რომ თქვას თავის გასამართლებათ ის, რაც ზემოთ მოვიყვანეთ, ისიც არ არის შესაწყნარებელი, თვარა ენერგიით სავსე ახალგაზდებს, ჯერ კიდევ ცხოვრებისაგან შეუბღალავს, განა ეკადრებათ ამ გვარი რამ?!..

და რა უნდა ვუწოდოთ მათ მოსაზრებასა და სიფრთხილეს, თუ არ უგულობა და უბატური თავ-მოყვარეობა? „ხალხი იმათკენ არის და რა ვქნათო?“ — რომ იძახიან ჩვენები თავის გასამართლებათ, დიდი ტყუილია. დიდი ხანია დაკვირვებული ვარ და ვიცი, რომ ჩვენი ხალხი, ღვთის მადლით, ავსა და კარგს არჩევს და იქ, სადაც ერთი რომელიმე მათგანი ცუდსა და ბოროტს თანაუგრძნობს, იმავე დროს ასი და ათასი წინააღმდეგია. მხოლოდ წინამძღოლი და მეთაური ექირვება და ეს მეთაურები კი არსად არიან და ან იმალებიან!.. აქ ამის მეტს აღარას ვიტყვი და ამით ვათავებ საუბარს, რადგანაც მალე გამოვცემ ვრცელ შენიშვნებს ამ საგნის შესახებ: „ქუთაისი და მისი ავკარგიანობა.“

თ...გ...ს. თქვენი წერილი მარრის შესახებ მივიღე და გადავიკითხე, მაგრამ ბევრში ვერ გეთანხმებით. საქართველოს სომხების შესახებ, რაც მაშინ დავწერე, დღესაც იმავე აზრისა ვარ და თუ ვინმე დამიმტკიცებს წინააღმდეგს და დამარწმუნებს, რომ მე შევმცდარვარ, მაშინ დიდი თავყვანის ცემით მადლობას მოგახსენებ, გინდ ბ. მარრი იყოს ის და გინდ სხვა ვინმე. მაგრამ უბრალო მუქარასა და კიჟინას კი ყურსაც არ ვათხვობ. რაც შეეხება უმართებულო კილოს, თქვენ ცდებით ისე, როგორც მართლის მოყვარე რედაქტორი „ნოვოე ობოზრენიისა.“ მე სრულიად მისი მიზეზი არავისთვის მიმიცია.

სომხების შესახებ რომ სტატია დავწერე, მე მხედველობაში კერძოდ არავინ მყოლია და მით უმეტეს ბ. მარრი. მარრმა კი პირდაპირ ჩემზე გამოილაშქრა და დიდად თავშეუკავებლათაც. აბა, დაუკვირდით მის ამ სიტყვებს: აკაკი ერთი უპირველესი და უკეთესი ქარ-

თველთაგანია, მაგრამ მაინც რაც იმან მხეცური, ველური აზრი წარმოთქვა სომხების შესახებ, ჯერ მისთანა რამ სომხების მხრით თავის დღეში არ წარმოთქმულაო! როგორ ფიქრობთ, ეს სიტყვები ზდილობიანია? მარტო მე რომ გაველანძღე, მხოლოდ გავიღიმებდი და არას ვეტყვოდი, მაგრამ იმან ხომ ჩემთან ერთად, ჩემი გამოი-სობით მთელი ქართველობაც შეურაცხველი! თუ კი უკეთესი და პირველთაგანი ქართველებში მხეცია და ველური, დანარჩენები, სხვები რაღა უნდა იყონ?.. მე მარტო ჩემი სხვაზე უმეტესათ დასახელებაც კი შეურაცხყოფათ მიმაჩნია ქართველებისათვის, არა თუ აქ ასე შეკაზმული!.. მე არ შემეძლო, რომ პასუხი არ გამეცა და მგონია, ის ჩემი პასუხი არ უნდა იყოს თავშეუკავებელი. რაც შეეხება ბ-ნი მარტის მეორე წერილს, აქ მე საპასუხოს ვერასა ვხედავ, აქ მხოლოდ რაღაცა ბავშვური მედიდურობა და ყოყოჩობაა!.. მე მეცნიერი ვარ და შენ კი უმეცარიო; ჩვენს, მეცნიერების, უბანში რა ნება გაქვს გაიარო... შენთან გამოლაპარაკებარომ ვიკადრე, ისიც დიდია, თორემ კითხვებზე პასუხს როგორ მოგცემო და სხვანი. აბა აქ მე რაღა მეთქმის და რაზე უნდა ვუპასუხო? და აქ არცა რა საწყენი და გასაჯავრებელია. ის კაცი გულწრფელათ აღიარებს, რასაც ჰფიქრობს და გულწრფელობა ადამიანისა მოსაწონია და არა საკიჟინო. ამიტომაც მე სრულიად აზრიც არ შემეცვლია ბ-ნ მარტზე, ხელსაკრავათ არ მიმაჩნია და ისევ ისე მომწონს, როგორც ადრე. კაცი შრომის მოყვარეა, მკდელი, მსურველი, რომ რამე შეძინოს და სხვანი. საქმე მხოლოდ გულწრფელობაა და აზრი კი ცვალებადია. ყმაწვილობაში მეც ბევრი რამ მჯეროდა და მისი საწინაღმდეგო რომ გამეგონა რამე, ყალ-

ყზე ვდგებოდი, მაგრამ ხანში რომ შევედი და აზრი გამოვიცვალე, თვითონ მეცინება მაშინდელ ჩემ მოქმედებაზე. კაცი მხოლოდ მაშინ არის საძრახი და შესაბრალო, როცა დარწმუნებული ერთზეა და მეორეს კი ამტკიცებს ჯიუტობით ან სხვა რამ ანგარიშით და მარტო კი დარწმუნებული ვარ ამ გვარი არა მოაქვს რა.

ა...ე...ს. თქვენი წერილის შემდეგ ადგილს უფრო მივაქციე ყურადღება: „მართალია შეძლება მაქვს, მაგრამ მაინც ღარიბი ვარ!.. ისე ვერა ვცხოვრობ, როგორც ჩემს ოჯახს და შთამომავლობას შეფერის!.. ცხოვრება გამოიცვალა: მოთხოვნილება ბევრია და ის შეძლება კი არა გვაქვს, ჩვენ ძველებს რო ჰქონდათ, თორემ დარწმუნდით, რომ ჩვენც ისევ ის ქართველები ვართ, რაც ადრე ძველები ყოფილან. სურვილი გვაქვს და ხელი კი არ გვიწვდება. ქველმოქმედება რომ კარგი საქმეა და საზოგადო გაჭირვებას დახმარება უნდა—ვინ არ იცის, მაგრამ საიდან, რომ, რაც გვაქვს—ჩვენც არა გვპყობისო“ და სხვანი.


ჯასუსი

კარგი ნათქვამია, მაგრამ დასაჯერებელი კი არ არის, თქვენო ბრწყინვალეზავ! აბა ინებეთ და გადაავლეთ თვალი იმ შემოწირულებათა სიას, რომელიც ხან-და-ხან ჩვენს გაზეთებში იწერება ხოლმე; ერთ ცნობილ გვარსაც ვერ შეხვდებით. შემომწირველები დიდი ოჯახის შვილები კი არ არიან, სულ ვიღაც ახირებული და უცნობი გვარისანი: უჭუთა ფართხალაია, მქაღიაშვილი, მუშაკაძე, ცალგვერდაძე და ცალქალამანიძეები! ვინ არიან.



ესენი? ის საწყალი მუშები, რომელნიც დღიურათა მანეთს შოულობენ, იქიდან კიდე თვითო-ოროლგროშს საზოგადო რამ საქმესაც უწილადებენ ხოლმე. თქვენ კი, თქვენო ბრწყინვალეზავ, დღეში ათასობითაც რომ შემოგდლიოდესთ, კიდევ არ გყოფნისთ და ვერას გადინარჩუნებთ! რაც თქვენ უსარგებლო და უმნიშვნელო ხარჯი გაქვთ, იმის ასის თავი რომ საქველმოქმედოთ გადასდვათ—ცოტა იქნებოდა? მაგრამ ამას გული უნდა, კნიაზო, და გული კი აღარა გვაქვს! აბა მე გასწავლით ერთრამეს, სულ უბრალოს, რომელიც არავის არაფერს დააკლებს და საქვეყნოთ სამადლო საქმე კი იქნება. მაგალითად, თქვენს სახლში ქაღალდის თამაში არის ხოლმე; დღეში, სულ ცოტა რომ ვთქვათ, საშუალო რიცხვით ხუთი „კალოდი“ გაიხსნება ხოლმე. მიღებულთა წესათ: კარტის გასასტუმრებლათ ხუთი რობერიდან აგიწერენ ხოლმე მომგებთ ორ-ორ აბაზს, რომ ორი მანეთი შედგეს ქაღალდის გასასტუმრებლათ. და ეს წამგებისათვის სულ ერთია და მომგებს კი არად მიაჩნია ცოტა რამეს დათმობა. ეს ერთხელვე წესათ არის დადებული. ახლა ავიღოთ ჩვენ და იმ მეექვსე რობერიდანაც ამოვწეროთ ხოლმე ორი აბაზი, რომელიც ყველასთვის უმნიშვნელოა და ჩავადლოთ ყულაბში. დღეში ორი მანეთი დარჩება. თქვენს სახლში ამისთანა დღე წელიწადში ჩავადლოთ, თუ ვნებავთ, ასი. მაშინ მარტო თქვენს ოჯახში შეგროვდება წელიწადში ოცი თუმანი. ახლა მთელ საქართველოში ვიანგარიშოთ: სულ ცოტა რომ ვთქვათ, ათასი ოჯახი ხომ იქნება, სადაც იგივე ქაღალდით შექცევთ. ყველამ რომ ხუმრობით მეექვსე რობერი საზოგადო საქმეს შეწიროს, — ოცი ათასი თუმანი იქნება. მე, რასაკვირველია, მცირეს ვანგარიშობ. ეს არავისი

საწყენი, არავისი სამძიმო და არავისი დასაკლისი გადასახადი ისე მოგვიმართავს ხელს, რომ შეიძლებს ყოველ გვარ საქველმოქმედო საქმის გასტუმრებას ჩვენში. რამდენი კიდევ სხვა რამ არის ამ გვარ წყაროთ გამოსაყენებელი, მაგრამ, ეჰ, გული არ უნდა ამას?! ტყუილათ კი არ არის ნათქვამი: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო.“ ნუ განრისხდებით, თქვენო ბრწყინვალეზავ, და ის აღარა ვართ, რაც ვყოფილვართ! პოეტმა თქვა ძველებზე: „გმირი, გულადი, პურადი, მტერთა მამცემი რისხვისაო.“ ახლა კი უნდა აღვიაროთ, რომ ერი დამფრთხალი, უგულო, პირშავი და გაუტანელია!..



საშხარო ინგლისელ ქალთან.

ამას წინათ ერთი ახალგაზდა, ცქრიალა, ინგლისელი ქალი გამაცუნეს, რომელიც კარგათ ლაპარაკობდა ქართულათ, მხოლოთ გურულათ კი უქცევდა კილოს. მე, რასაკვირველია, ის ჩვენში დაბადებული და აქვე გაზდილი მეგონა, მაგრამ გამოდგა, რომ სტუმრათ ყოფილა მოსული ერთ მის ნათესავთან და მას აქეთ, რაც მოსულა, ორი წელიწადის მეტი არ გასულა. გამიკვირდა და ვკითხვე: ასე ჩქარა როგორ შეისწავლეთ-მეთქი? სიცილით მიპასუხა: „თუ კი მოინდომა, ორი წლის განმავლობაში რომ კაცმა ენა ვერ ისწავლოს, აბდალი უნდა იყოსო.“ ეს რომ თქვა, ალბათ იფიქრა ჩემზე, რომ ამ გურულ სიტყვას „აბდალს“ ვერ გაიგებსო და გადაასწორა: „უვარგისიო.“ უნდა მოგახსენოთ, მისი უორდროპისა არ იყოს, პატივის ცემა ვიგრძენი არა მარტო ამ ქალისადმი, თვით იმ ხალხისაც კი, რომელსაც ამ გვარი ქალები ეკუთვნიან. და განა მარტო მისთვის, რომ ქართული უსწავლიათ? სრულიადაც არა. მე მომწონს იმათი ცნობის-მოყვარეობა და ხასიათი, რომ გარეშე არა ეუცხოებათ რა და ზიზღითა და დაცინვით არ უყურებენ სხვა ტომის ხალხს. შუაგულ საუბარში რომ ვიყავით, მოვიდა ჩვენთან ერთი ახალგაზდა ქართველი ქალი, მოგვესალმა და მითხრა: „რა საუცხოვოთ იმღერის ვარინკა თქვენს ლექსებს!.. ამას წინათ იმღერა

ჩვენსა და მეტათ დაგვატკბო. ძალიან ვწუხვარ, რომ სიტყვები არ მესმისო. — ნუ გაიკვირვებთ, ჩემი ბრალი არ არის: სასწავლებელში ყურადღებას არ აქცევდენ ქართულ ენას და ჩვენს სახლში ქართულათ არავინ ლაპარაკობსო. “გამიკვირდა. ამ ქალბატონის ოჯახს კარგათ ვიცნობდი: მამამ მხოლოდ „მაიამ-ტეიამ“ იცოდა, ისე ამტვრევდა ენას და დედას ხომ საყველ-პუროც უჭირდა; მაგრამ დახეთ, მაინც თურმე არ კადრულობდენ ქართულს!.. — კი, მაგრამ, მივუბრუნდი გადარჯულებულ ქალბატონს, თუ კი სურვილი გაქვთ, განა ახლა კი ვერ ისწავლით? აი, ბატონო, ამ ინგლისელ ქალს ორ წელიწადში შეუსწავლია შვენიერათ და თქვენ ოც წელიწადს როგორ ვერ შეისწავლეთ?

— ეგ, ალბათ, ისეთ წრეში ყოფილა, რომ სულ ქართველები ყოფილან და ჩვენს წრეში კი ქართული არავინ იცის. მაღალ წოდებაში როგორღაც არ ხერხდება ქართულის ლაპარაკი და არც მიღებულია.

ინგლისელმა ქალმა თვალები დააქყიტა და ჰკითხა: — როგორ, განა აკრძალული გაქვთ? ნებას არ გაძლევენ, რომ ილაპარაკოთ?

— ვის უნდა აეკრძალა?! მაგრამ უცხო ენები უფრო გვეხერხება. და მართალი რომ ვთქვათ, მაინც და მაინც სასიამოვნო ენა ვერ არის ქართული, ყურს ეჩოთირება, გამოასათქმელათაც ძნელია: წ, ძ, ყ, ჯ... სანამ გამოთქვამდეს კაცი, ენას დაიმტვრევს. ამას წინეთ კოლა შემოვიდა ჩვენთან და გვითხრა: აბა, ქალებო, თუ იტყვიან: „ბაყაყი წყალში ყიყინებსო?“ ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერავინ მოვახერხეთ ზ სულ „ბაკაკი ცქალში ქიქინებს“ ვამბობდით. ბევრიც ვიცინეთ.



— მაგ ნაირი რამეები განა სხვა ენებში კი არ არის? ყველა ენასა აქვს თავისი ღირსებაცა და ნაკლიც. ჩვენ, ინგლისელები, თვითქმის პირს არ ვაღებთ საუბრის დროს, კბილებზე კბილებს ვაჭერთ სიტყვების გამოთქმის დროს, მაგრამ ჩვენი დედა ენა მაინც კეთილ-ხმოვანი გვეგონია და არავისაში არ გავცვლით. ფრანცუზები ცხვირში დუღღუნებენ და მოსწონთ. თქვენ კი...

გადარჯულემულმა ქალმა უცბათ გააწყვეტია სიტყვა და ვითომ გამეხუმრა: „ვიცი გეწყინებათ, მაგრამ მაინც სიმართლეს ვიტყვი: ქართულათ ტკბილათ სიყვარულიც არ გამოითქმის!.. მი... ყვაყვა... ყვა... ყვარ... ხარ!.. თვითქო კაცს რაღაც ეჩრება ყელში და ისრჩობაო!.. თითქო სიყვარული ყელშიაო!.. ეს რომ თქვა ვადიკისკასა. მე ვავეხუმრე: მაშ ახლა სხვა ენაზედაც ვეიბძანეთ, როგორც გამოითქმის-მეთქი.

— აი, მაგალითად „ლიუბლიუ“ კეთილ-ხმოვანია და ტკბილი.

— კი, მაგრამ ეგ სიტყვა ხომ მარტო ტუჩების ცმაცურით გამოითქმის და მიტომაც ტუჩებს იქით ვეღარ მიდის თქვენი გრძნობა!.. მაგისთანა საბუთებს ნუ წარმოადგენთ, თორემ დამარცხდებით, კნიაჟნა!

— შეიძლება! შეიძლება! მაგრამ მე კი მაინც ამ აზრისა ვარ, რომ ქართული არაფერი სახარბიელოა! აი, მაგალითად, თქვენ რომ თქვენი ლექსები უცხო ენაზე გეწერათ, სულ სხვა იქნებოდა და ახლა კი.. მაგრამ ნურას უკაცრავათ, მეტი არ ძცალიან, მშვიდობითო—თქვა და მოგვეშორდა.

ინგლისელმა ქალმა გააყოლა თვალები, ცოტა ხანს დაფიქრდა და მკითხა: — ხუმრობს თუ ემიზეხება რამეო?

— არა, არც ხუმრობს და არც რამ ემიზეზება — ვუპასუხე მე—უმეტესობა მაგ აზრისაა მაგათ წრეში.

— საკვირველია!.. გონება გახსნილმა და განვითარებულმა ადამიანმა როგორ არ უნდა იცოდეს იმ ქვეყნისა და ხალხის ენა, სადაც დაბადებულია და გაზდილა, გინდ თვითონ არც კი ეკუთვნოდეს მკვიდრთაგანს?! ჩვენ რომ ინდოეთში შევედით, სიბნელით იყო ის ქვეყანა მოცუელი: ცოლები, ქმარი რომ მოუკვდებოდათ, საკირეში ვარდებოდენ: საიქიოს უნდა გავჰყვეთო!.. დღეს კი ისინი, განსაკუთრებით მაღალ-წოდებისანი, ევროპიულათ განათლებული არიან, არ ჩამოუვარდებიან ინგლისელ ქალებს, მაგრამ მაინც არა თუ უარსა ჰყოფენ თავისას, პირ იქით ცდილობენ, რომ შეისწავლონ, გამოიკვლიონ მათი ქვეყნის ავი და კარგი, რომ მოსაწონი მოიწონონ და დასაწუნი დაიწუნონ. ამით მათ ღირსებას თუ ემატება რამე, თვარა არა აკლდება რა.

— მერე თქვენ რას ამბობთ: ინდოეთში მოსამსახურე ინგლისელები არ ჰკიცხავენ და არ დაცინიან მათ?

— როგორ თუ დაცინიან! პირ იქით თვითონ სწავლობენ მათ ენას. და ჩვენც რა გვენადვლება, იმათ თავისი დედა-ენა იცოდენ და საკუთარი ზნე და ჩვეულება დაიცვან, თუ კი ისინი კანონის საწინააღმდეგო არ იქნებიან? ჩვენ მხოლოდ მოვითხოვთ მათგან კანონიერ მორჩილებას და ერთგულებას და არ შევარჩენთ ორგულობასა და ღალატს. სხვა კი, რაც უნდათ, ისა ჰქნან, მათი შინაური საქმე ჩვენ რას შეგვცხება!

— დიახ, როგორც გამიგია, თქვენ უფრო კომერციას მისდევთ და ამ ხრით დაჩაგრულიცა გყავთ: დიდ გადასახადს უღებთ.

— ეგ ტყუილია! ჩვენ ყოველგან, სადაც კი შევდივართ, სიმდიდრე და კეთილდღეობა შეგვაქვს. მართალია, ბევრ გადასახადს ვადებთ ადგილობრივ მკვიდრებს, დიდ ბაჟს ვადებთ ყოლიფერს, მაგრამ ეს ტყავის გაძრობა კი არ არის, როგორც სხვები გვიკიჟინებენ— ანგარიშია.

— ჰო და, კიდევ მაგ ანგარიშზე მოგახსენებენ.

— მომითმინეთ, მომითმინეთ! გამაწყვეტია სიტყვა— მაშინვე. ახლავ მაგალითით დაგიმტკიცებთ: ავიღოთ ორი თანასწორი ნაქერი მიწა; ერთი თქვენს ქვეშემრდომს ეკუთვნის ზე მეორე ჩემსას. თქვენს ქვეშევრდომს უნდა, რომ დაიმუშაოს ის მიწა, მოიყვანოს ზედ ან თუთუნი, ან აბრეშუმი, ან ბამბა და ან კიდევ სხვა რამე. თქვენ ასეთს კაცს ბაჟს ადებთ იმ თავითვე, საქმის დასაწყისშივე, წინ-და-წინ. მუშას რომ ხალისი ეკარგება მეურნეობის, ხელს იღებს, თავს ანებებს: ტყვილათ, თუ კი სარგებელი არა შექნება რა, რისთვის ვიშრომოვო. მართლაც ხელს იღებს და ის ადგილი, ის მიწა, ორივესთვის უსარგებლოთა რჩება, ვეღარც თქვენ სარგებლობთ და ვეღარც ის. მე კი ჩემ ქვეშევრდომს, რომელსაც, ვთქვათ, მაგალითად, იმ ცარიელ ადგილზე ხეხილის გაშენება უნდა, პირ იქით ვაქვებ, ხელს ვუწყობ, ვეხმარები, სანამ ბალი არ გაშენდება და არ დამთავრდება. როდესაც ნაყოფის ძლევას დაიწყებს, მაშინ მივალ და მეც ათის თავს მოვთხოვ. ნახევარიც რომ გამოვართვა ხოლმე, ამითი ის მაინც რასა ჰკარგავს? იმასაც ბევრი რჩება და მეც მიმაქვს. აი, ამას ეძახიან სხვები გაგლეჯას!.. ჩვენ სხვებსავეთ არ ვიქცევით: ვასწავლით, ვწვრთვით, ამოვუჩინთ ხოლმე ცხოვრების წყაროს და მერე ჩვენს საოსტატოსაც ვიღებთ.

— ეგ კარგი, მაგრამ რაც იქ სიღარიბეს ამბობენ!..

— და თქვენ კი გჯერათ? მართალია, ჩვენც ბევრი გამოგვაქვს იქიდან, მაგრამ იქაც კიდევ საკმაო რჩება. იქასოდენი სიმდიდრე სხვაგან, აბა, სად არის? ვაზეთებში მაინც აღარ კითხულობთ ხოლმე, რომ ესა და ეს ვინმე უმემკვიდროთ გადავიდა, ამდენი და ამდენი სიმდიდრე დარჩა და თუ მემკვიდრე სადმეა, გამოცხადდესო?

— როგორ არა, ხშირათ შემხვედრია.

— ჰო და, თუ ქვეყანა გატყაული იყოს და გაღარიბებული, ეგ სიმდიდრე საიდან რჩებათ ხოლმე?

— საკვირველია, რომ ვერე კარგათ გცოდნიათ თქვენი კოლონიების ამბავი!

— განა ქართველი ქალი ვარ, რომ არა ვიცოდე რა, არა თუ გარეშე, შინაურიც კი!.. გამეხუმრა, მაგრამ, რომ შემატყო სახეზე წყენა, მანუგეშა: არაფერია, ადრე თუ გვიან ისინიც ჩახვდებიან გონებაში და გამოიცივლებიანო.

— ვაი შენს მტერს-მეთქი!.. გავივლე გუნებაში...



ს ლ მ ქ ს ი.

(ზღაპარი ყმაწვილებისათვის)

თ ა ვ ი

I

შვილო ადექსი!
მსურს გითხრა ლექსი,
საკუთრათ შენთვის მცემართო ქნარი;
დამიგდე უური!..
ვით ლუკმა ზური,
ისე შეგერგოს შენ ეს ზღაპარი!
აბა დავიწყო:
იყო და იყო,
ღვთის უკეთესი არა იყო რა;
აქედამ წადმა,
ცხრა მთას გადადმა,
იდგა ზატარა, ლამაზი გორა,
რომელიც მუდამ
თვის სიმადლიდამ
რადაც მოცხენით დამზერდა ჭაღას,
მის წინ გაშლილსა,
სამოთხეთ ქმნილსა,
და მასში სჭვრეტდა ბუნების ძაღას.
ეს აგარაკი,
გაშენდა რაკი,
აღუკავდა ტურფათ, სხვა-და-სხვა ფერათ;

განდენ ჩიტები,
გაშაღეს ფრთები,
დაიწიეს მღერა გულის მადკერათ;
თქვეს: „ვნახეთ ზღუდე,
ვაკეთთ ბუდე,
ეს ხეები სულ ჩვენ-ჩვენთვის გავჭყოთ;
ვისინათ გული,
ზამთარ-ზაფხული
უზრუნველათა გვიჯობს აქ დავჭყოთ.“
თქვეს, გაინარეს,
წილიც არ ჰქარეს,
დაეპატრონენ ისე თითო ხეს.
შრამა დაიწიეს,
ზარმაცი ჰკიცხეს,
შველს უგლიდა თავ-თავის კუთხეს.
მშვიდობიანს გვრიტს,
იმ უწინანს ჩიტს,
ერგო მადლი ხე ნაკვერჩხალი;
ვერ ნახა წუნი,
იწყო ღუღუნი,
თქვა: „ხეტ ზურში დგას, ახლაც მაქვს წყალი;
რამ დავიბუდე,
კვერცხებსაც დავდე
და იქიდანა ორ ხუნდს გამოგჩეკ;
მათ გასაზრდელათ
მე ახლავს, ხელათ
წყალსაც ვიშოვნი და ზურსაც აგვეკ.“
დასკვნა ეს რჩევა
და ღმერთს კურთხევა
შეძღვნა და ძღვენიც არ იყო ის ცრუ:

დილა-სადამის,
ტობილს და სსამის,
ლოცულობს გვრიტა, იძახის: „ღრუ! ღრუ!“
ყვანხადა ყვავისა,
ავისა და შავისა,
ჰერ კაიტინა, მოჰყვას: „ხე! ხე! ხე!
ჩემ სამისსხლელს
ვხედავ მე ახლელს,
ძალიან მომწიფის დიდი ნიკვზის ხე;
ბუდეს ვიკეთებ,
ჩიტებს ვაფეთებ,
კვერცხებს დავდებ და ბარტყებს გამოვტყენ.
შორს აღარ ვეძებ
საკენკარს: უცებ
აქვე ვიშოვი, კაკალს რომ გავტყენ.“
ეს განიზრახს,
გააღო ხარხა
და შემოსძახს მადლა ხმათ: „ყვას! ყვას!“
თვით მოეწინა,
ასე ეგონა,
თუ მგალბებელა ტოლა აღარ ჰყვას!..
ხატარა მწიქრისა,
იმ ხურის მტყრისა,
ხე რომ იხილას, „რათ მინდაო?“ — თქვა
და ხუჭში შეტყრას,
მიწას დაეკრას
და იქ დაიწყო მან ჩუმათ გოგვას.
თქვა: „რას დავუქებ!
კვერცხებს ბევრს დავდებ
და წიწილებსაც ბლამათ გამოვჩეკ.“

ახრათ მატკეს ზური,
ბედს რათ ვეძღუერი?“
გაგოგდა, იწყო ზურში: „ბეკ! ბეკ! ბეკ!“
მგოგავმა შაშვმა,
არ ავმა, შავმა,
რომ დანახა დიდ ეკლის ბურდი,
მას მიაშურა,
სხვას არ უუურა,
ისე შეძვრა შიგ, როგორც რომ ქურდი.
თავისთვის ჩქარა
დაესახლ-კარა
და ოჯახობას მიჰყო მან ხელი.
ჭიან იქ ჰქონდა,
საზრდოც მიჰქონდა,
სამომთ სტუვენდა,
ვეუქას აღხენდა,
საღამურივით რა გაჰკიოდა,
იმ არე-მარეს,
ტკბილათ მღუმარეს, —
სხვა ზრუნვით თავი მას არ სტკიოდა.
შავი მერცხალი,
როგორც რომ მთვრალი,
დაბარბაცობდა, ჰფერენდა ტრიალით;
უჭრიდა რა გზებს
მომფრინავ ბუზებს,
საზრდომ უჭვრეტდა მათ მტრული თვალით-
რა გაძლებოდა,
შტოზე ჯდებოდა,
იწუებდა ხოლმე ჭიკტიკის საამოს;

მერე, ვით ქალი,
წუნარ მატარძალი,
შინ მიჭფრინავდა უოკუელ სადამოს.
მაგრამ გუგუღმა,
ცრუმ და ცივგუღმა,
ასე თქვა: „ბუღის არ მაქვს ჯავრიც,
სჯობს სხვის ზღუდეში,
მე მზა ბუდეში,
სხვის კვერცხებშია ჩემიც გავრიც!
მას ეგონება—
არ აქვს გონება—
მისი და ზედან კრუხათ დაჯდება.
და რას გამოტყის,
თავებს დაუტყის
ჩემი ბატონი სხვებს—თვით გაიზრდება.
სხვებს ვამსახურებ,
სეირს ვუყურებ,
მე ხის წვერზედა შევსჯდება დილით
და მე იქიდან
ბრაწებს დავატან
გამდეგ-გამომდეგს „გუ-გუს“ ძახილით.“
მაშინ ბუღბუღმა,
ტებილ გრძნობით სრულმა,
მიმართა ვარდნარს სიამოვნებით;
და რამ დაჭხედა
ვარდის ბუჩქზედა,
ბუდე გამართა თავ-მეწონებით.
კოკობი ვარდი,
იმისი დარდი,
თვალთ წინ სსამოთ ეფურჩქნებოდა;

და შით ბუღბუღი,
ადეღვებუღი,
მეტი ეშითა თითქოს ღნებდა.
ვარდი კაკობი,
ბადნისა მკობი,
ბუღბუღის გუღსა ტეტხლს უკიდებდა;
და არე-მარე,
მუღამ მღუმარე,
ვარდის მღერაღსა უღრსა უგდებდა.
ბუღბუღი ამკობს,
ვარდიც ამკობს,
შუერთ კი ჭკნება საბრადღა ია;
და იადონი,
თავის მომწონი,
რას დასდევს იას, სტვენს: „ტია! ტია!“
ასე, ამ გვარად,
მარად და მარად
სტვენს სხვა-და-სხვა გვარის ჩიტები;
დღიური საზრდღა
უეღას წინ ეღა
და შესქტევათ მარგაღიტები.
ეს ტურთა მხარე,
ტკბიღათ მღუმარე,
ეგუთვნღდა ერთ მშვიდობიან ცხვარს;
და კმაყოფიღი,
ის მადღის შვიღი,
მადღობას ძღვნიღდა თავის მაცხვარს.

თ ა ვ ი

II

ეს ტრუ სოფელი,
მწარ-სამოფელი,
ვერ ვის დაინდობს, არვის გაიტანს!..
უდრფოთ აღხენს,
უდრფოთ აწეენს
კაცს, აბურთავეებს, სად არ გაიტანს?!
ვინ არა ძრახავს?
არ ვინ მინახავს,
რამ ამ სოფელზე მადლობა ეთქვას!
და ეს კი მიგვირის:
სიტყვებზე თუ სჭირს,
რათ ვერიდებით ჩუენ საფლავის ქვას?..
მაგრამ იმედი,
უბედოს ბედი,
გვამხნეებს ჭირში, მით გვაძლევენებს;
და მწარ შავ დღეებს
მთლათ დაგვაუიწეებს
ტანჯვით დამაშვრალს, წაშს თუ გვატინებს.
ჭოი, სად ხარ დრო,
ტკბილო, ნეტარო!
კაცობრიობის მალამოთ გელით
და სასოებით
რს გელოდებით,
ეკლიან გზას გწმენდთ შიშველი ხელით.



და მკველით ღრცს,
 ტბილ-სანეტარცს,
 რცს იგრძნობს ერი ბედნიერებას!..
 აწმეც ცხვრება
 მითი გვიტბება
 და თანავუგრძნობთ იმ ნეტარებას!
 ეს აღსარება
 ვის ეუურება!..
 ბევრს უგვირს ჩვენს სხვა გვარი ქტევა;
 გიუებათ გვზღიან,
 და დაგვიტინიან...
 ხან გვესმის მათგან რისხვა და წეევა!..
 მაგრამ ჩვენ იმ ღრცს,
 რამ დაგვიფარცს,
 ქრისტეს სიტუებო გვაგონდებიან:
 „შენ ზეტეირც,
 მამავ ძლიერც!
 არ იტინ, თუ რასა შვრებიან!“
 რდეს მუშაკი,
 რფელსა ჭდვრის რაკი,
 შემოდგომისას თესვს სარბაღსა,
 შიმშილს არ ნადვლცობს,
 მაცრფარს მადლცობს,
 მრმავალ ზაფხულს უნატავს თვადღსა
 და წინეთ უმზერს,
 გული მით უძტერს,
 რამ მისი შრცმა კარგ ნაუფეს აძლევს,
 რამელითც მრავალი
 მშიერ საწვადი,
 საზრდელს ჭზრვებს და დღეებს ტბილათ ჭლევს.

მაშინ მდადარი,
მარად მაძღარი,
ამ ნეტარებს, ვით გიყურს, ძახხავს!..
მუქთად მუღაზავი,
საზიზღი სვაფი,
საბრადო მუშაკს ძმათაც არ სხხავს.
და ამაჟ-გული,
მძორ-დიდებული
სულებს ხხარებს, თავს უქტევს რა თვალს.
მაგრამ ჭკვიანი,
მართლ-გრძნობიანი,
უმალ თავიანთ სტემს მუშაკსა საწუალს;
და მით იმის გულს,
გრძნობით აღვსებულს,
ახალ შრამისთვის მარჯვედ ამხნეებს
და ასის ღვენას,
უსუსტარ წუენას
ერთის თანგრძნობით მალე ავიწუებს...
ჩვენც ხომ ისე ვართ,
ღვენა გუჩანს არად
ათასის, თუ რამ ერთი თანგვიგრძნობს.
მაგრამ ჯერ ჩვენში
სად არს ხუტეში?
ჩვენგანი თანგრძნობს ჯერ ვერვის იცნობს!..
და წელული გული,
აღელვებული,
ძვერს უიმედოთ, ხადვლით აღვსილი.
მით ამ ცრუ დრამა
დაგვიტყნო შრამა,
ჭლექში ვარდება ჩენი სურვილი...

განმრავლდით, მშრამნა,
სუფით ამაყნა!
თქვენი სათლავი ღრასა მომავალს
საძირკვლათ ჭქონდეს,
რამ აგონებდეს
თქვენი ცხვრების ხატისან კვალს!
და ვინცა აწმუეს,
რას ხელი მიჭმუეს,
თავის სიტყვისდეს შესწირავდეს მთლად
და უმარცხს მოძმეს,
ვითა მოწამეს,
შეიწირავდეს თავისთვის მსხვერზლად, —
ხალხში გაჭკიცხეთ
და შეარცხვინეთ,
რამ შეიღებმაცა მათ არ მიჭბადონ
და სუსტთ ამკლები,
კაცები — მგლები,
თვისის სამწესოდან მათაც განაძონ.
მაგრამ ეს ლექსი,
შვილთა ალექსი,
შენთვის აღრეა... ირჩევ ჯერ ზღაპარს?
მას კარგი, შვილთა,
მამულის წვლილთა,
მივმართეთ ისევ ჩვენს სიტყვად ცხვარს.

თ ა ვ ი

III

უზრუნველათა,
მწვანე ველათა
დანავარდობდა სიამით ცხვარი;

სჭამდა, ცხვრებდა
და ცივ წყალს ხვრებდა,
ფეხით გაჭქონდა სულ მთა და ბარი.
ვის რას უყოფდა?
მით ამაყობდა,
რამ კარგი კუთხე ბედმა მას მისცა;
და ისე სტოდა,
როგორც უნდოდა,
ცა ქუდათ უჩნდა, ქაღალხით მიწა.
მაგრამ ერთ დღეს კი
აკვნიტეს ნეკი,
როდესაც ჭირათ მოჭკრა მან უური,
რამ სხვა მხეცებს,
მის მეზობლებს,
გულში შესუღათ საბრალოს შური!..
დიდათ ჭკვირობენ
და უბირობენ
ძალით საბრალოს დამონებასა,
თუ რამ სურვილით
და სიტყვით ტკბილით
თვითონ არ დაჭყვა იმათ ნებასა!
ჯერ თავ-მოძწონე,
ამის გამკონე,
საბრალო ცხვარი მეტათ დადონდა;
თქვა: „ცა გამიწერა!“
ბევრი იფიქრა
და ბოლოს ხერხი მას მოაკონდა:
ის სამოღობოელო,
მისი სამშობლო,
სადაც კი თვალი მიუწვდებოდა,
ყოველი კუთხით
გაღავნით, ციხით
შეჭკრა, — მტერი ვერ მოუხტებოდა!

და შემდეგ მარად
ის უშიშარად
აბუნა სტუმრებს მარჯვედ უცდიდა
და თავის გულში,
დამშვიდებულში,
მისისხარ მტრებს ხამხულათ ხდიდა!
ერთხელ, ვით მტკერი,
მოადგა მტერი,
მაგრამ რა ხანეს გამაგრებული,
გაჭკვირდენ შეტად,
შეიქმნენ რეტად
და მოულოდნელად დაწვედათ მათ გული.
ვერსა გააწვეს,
ამოიძუეს,
დაბრუნდენ სახლში ბილწი მხეცები;
და ცხვარმაც საგზლათ
ხშირათ და ხან-გრძლათ
თან გაატანა იმით ბრწუბი!
უფრო დიდებით
და დამშვიდებით
ამ საქმის შემდეგ ცხვარი ცხვარებდა
და ის სხვა ცხოველებს,
ვერც დათვებს, ვერც მკვლებს
ძალით მომსევიდა ვერ უფურებდა.
ხანი გამოხდა,
ცვლილება მოხდა:
ეტკინა საწუალს ჩვენს ცხვარს მუცელი;
დასვა კრავები,
ნიკორ-შავები,
და გასაზღვლათ მიჰყო მათ ხელი.

ძუძუს სწოვდენ,
სხვას არას სთხოვდენ,
დედას დასდევდენ და ნაჯარდობდენ.
სილამაზითა
და სინაზითა,
ასე გასინჯეთ, ერთმანერთს სჯობდენ!
ჭკუა-გონება,
დიდი ქონება —
რაც ცხვრისა წისზე კი შეიძლება —
იმათაც ჭქონდათ,
თავი მოსწონდათ;
აკლდათ მათ მხალთათ გამოცდილება,
მაგრამ ეს ნიჭი,
ცხოვრების ბიჯი,
დედის მუცლიდან არვის დაჭუჭუება.
ცრემლ-ნაღველითა,
გულის მწველითა
ის მხალთათ შემდეგ მოიზრება.
და ერთხელც ვინცა
მას ხარკი მისცა,
ჭმუნვის ბეჭედი აზის მის სახეს;
და რაც ზირველათ
ჩნდა სასურველათ,
ბოლოს იქ ჭკონებს საფრთხეს და მახეს!..

თ ა ვ ი

IV

ხარბი რამ არა
და უმადლარი
ვნებითა სრული, აღმშოფთი გული:

რაც რომ ჩვენია, —
მოსაწუენია,
და რაც არა გვაქვს, — მიგვიღის სუფი!
მწანისა თხვრით
და ცრემლების ღვრით
როს ღვისრულებთ ჩვენ ერთსა სურვილს, —
კიდევ სხვას, ასაღს
გუფი იჩენს აღს
და არ გვასვენებს კრულსა და ურვილს!
ჩვენს ნაცნობ ცხვარსა,
შეუზოგარსა,
მოსაწუენდა მალე ის არე-მარე
და მოსაძოვრათ,
ნეკრის საშოვრათ
გადაბიჯა გალავანს გარე
და ის კრავები,
საცოდავები,
გალავანს შიგნით მარტოთ დაჭყარა!
მაგრამ იმავ დროს
უფროს და უმცროს
თრივე შვილებს ეს დაუბარა:
„ჩუმათ! ნუ ბღავით,
ფრთხილათ იყავით,
დაპეტეთ კარი, არვის გაუღათ!
მარტო რომ გნახონ,
არ მოგატყუონ
ჩემმა მტერებმა, არ დავიღუბთ!..
შე რთვა მოვალ,
შველასჯედ უმად
სამჯერ „ბეს“ ვიტყვი და „ბეკეკესა“

და შითი მიხვდით,
კარებს მოახტით,
ჩქარა გამიღეთ და გაჭმევთ რქესა!''
ამ გვარად ცხვარმა,
გულ-უშაძარმა,
კრავებს ეს სიტუვა რა დაუბარა,
მინდორი გავლელ,
მთებიც გადავლელ,
მთუხედავთ გასწია ჩქარა.
უდედურათა,
უძუძურათა
დარჩენ კრავები და მოიწეინეს;
ვერც იკუნტრუმეს,
ვერც ინუგეშეს,
მიწვენ ჩეროში და დაძინეს.
მათ ძილში მკელი,
ის სძაგელი,
შიადგა კარებს, ერა რა სუნი.
ერთი მან კარეთ
იზუვლას მწარეთ
და დაუწეო კარს ჩქარა კაკუნი.
ძილი, დაუფრთხათ
ტუბილი, მაგარი
ამ ხმაურობით ზატარა კრავებს;
და რამ წამოხტენ,
მაშინვე მიხვდენ,
რამ აბრეყვებდა ვიდაც მათ მტრობით.
მიცვივდენ კარზედ,
მაგრამ უარზედ
დადგენ და აღარ გაუღეს კარი:

„ვიდაცა ხარო,
თუ დედა ხარო,
ახა ნიშანი შენი გვითხარი!“
კულ გრძელმა მგელმა,
იმ სასარკელმა,
მოსტუეებლათ შეჭქმნა ზუილი,
მაგრამ კრავებმა,
ნიკორაებმა,
იტყვნეს და უთხრეს მათს მტერს: „ტუუილი!
გსურს გაგვაბრიუფ?!
დედა რამ იყო,—
სამჯერ იტუოდი „ბეს“ და „ბეკბეკს!“
ჩვენც მივხვდებოდით,
კარს მივხტებოდით,
გაგიღებდით და შენც გვაჭმეგდი რძეს.
შენ დედა არ ხარ,
სხვა გვარათ ჭყარხარ,
საიღამც მხხუელ, იქვე წადიო!“
მკელი დადონდა,
რადა გზა ჭქონდა!
თქვა: „დამეკარგა დილის მწვადიო!
ახლა ამ კრავებს,
ეშმაკებს, აკებს,
ვერ მფატუეებ, წახდა ფიცო,
მაგრამ მეორეთ
შეგატდენ სწორეთ,
რადგან ნიშანი მათი ვიციაო!“
მართლაც მეორეთ
დაბრუნდა სწორეთ
სამხრობის დროზედ, კარი მონახა.



ასუნ-დასუნა,
 დაუბაგუნა,
 „ბე“ და „ბეკეკე“ სამჯერ დასძახს...
 მაშინ კრავები,
 საცოდავები,
 მოტყუვდენ და წამს გაუღეს კარი.
 და ვაი მათ მტერს!
 მკელს შესვდენ მშიერს...
 ორნივე ჩაუღახა მკელმა უმწვარი!..
 და გამაძღარი,
 არ გასახარი,
 მკელი წავიდა სახლში ძუნძულით;
 და ის კძელ-კუდა,
 რეგორც რამ გუდა,
 გამოიბერა მუცლით და გულით.

თ ა ვ ი

V

დაბრუნდა ცხვარი.
 რამ ხახა კარი
 ღია, კრავებიც აღარსად იყო,
 მას ელდა ეცა,
 შინქვე დაეცა
 და საცოდავთ ბღავილი იწყო!
 თქვა: „ეს რა მოხდა!“
 ზეზე წამოხტა,
 თუმცა ცრემლები ადგა მას თვალში,
 და თავის მტერსა,
 გულის მძკერსა,
 გარისხებული ჩაუდგა კვალში.

მისდია ჩქარა,
მთა გადაიარა
და ერთ ღუგუში ნახა მან მტერი.
შეშინდა მგელი,
ის საძაგელი,
ცხვარს რომ შეხედა, წაუხდა ფერი!
ის, გამაძლარი,
ეგდო, ვით მკვლარი,
და აღარ ჰქონდა საომრათ ძალა.
და მონელება,
ომის შეძლება
იმ წყეულს ცხვარმა აღარ აცალა:
დროზედ მთასწრო,
იშოვნა მან დრო,
ამოჰკრა ფაშვში მრისხანემ რქები,
გააზო ჩქარა
და გამოჰყარა
ისევ ცოცხლები თავის შვილები!
ბეგრი იხარეს,
ცრემლები ჰღვარეს,
სიამოვნებით შეექნათ კოცნა...
და მერე ცხვარმა,
ბედით დამტკობარმა,
თავის შემოქმედს მადლობა უძღვნა
და წამოვიდა
დიდის ამბითა
თავის სახლისკენ გულ-დამშვიდებით;
და ძველებურათ,
ის მისებურათ
ისევ ცხვარება, იყო დიდებით.

სშირათ მტერები:
მგლები, ტურები,
დათუები და სხვა თუმც აწუხებდენ,
მაგრამ დიდ ზარადს
ვერ აძლევდენ მას,
რადგანც ტიხის კარს მათ არ უღებდენ.

თ ა ვ ი

VI

უსამართლობით,
ომით, ძალობით
აზვის შექდელ, გაედო კარი,
თუ რომ შეცდენით
და მოეგრის ენით
არ დაედუხათ საბრალე ცხვარი!
მოუღოდნელათ,
მოუწვეველათ
კანდა მოეგარე, მტერზედაც ავი.
ეს იყო მელა!
ცუნცულით, ნელა
მობრძანდა, თრუღში ის ნაკარავი,
და მოტეუებით,
ტკბილა სიტყვებით
მიმართა ცხვარსა კეთილ მზრუნველათ:
„კეთილ ცხვარო,
ღირს შესაყვარო,
მამაცო, სიმხნით ქებულე ძველათ!
ყოველი კუთხით
ღამითა და დღით
მტერი გუავს, არ გაქვს მით მოხვენება!

და შენ მოყვარე
არ გყავს მომხმარე,—
რომ მოგესმარო, მომეტი ნება.
მაღალ სუფით,
მიყვარხარ გუფით
და მისთვის მინდა გემო, გემოფერო;
და შენი მტერი,
როგორც რომ მტვერი,
ისე გავხადო, მინდა... ამოფუნრო.
მე ერთი მურა
თეთრი, შავ-ყურა
მყავს, თუმც არ არის ჩემი ფერია,
და როგორც მეღის,—
ჩემგან რას ეღის?—
ის უნდა იყოს დიდი მტერია,
მაგრამ სიბრეფით
ის, ერთი სიტყვით,
რადგანაც არ აქვს მეტი გონება:
რა გაეგება,
კიდევ ექება
თავ განწირულათ ჩემი მონება!
აი, ამ მურას
მოვიფიქრო, ტურას
და მგელს წავიფრენ მე წინ სიმწრათა!
და მაშინ შენა
მოგხედავს ზენა,
მტერს მოიგერებ უფიქვი მხრითა.
მოგაშორებ მტერს,
არც გთხოვ არაფერს
ამ სამსახურში მე გულ-წმინდა!


მეწმეთ შეაფს ღმერთი
მე მხელათ ერთი—
შენი მფურცობა გულის მინდა! “
ცხვარს რომ ეს უთხრა,
თავი დაუკრა
და ისე ჩქარა წავიდა შინა,
რომ იმ საწყალ ცხვარს,
მის სიტუვით დამტკბარს,
თითქმის მადლობაც არ ათქმევინა.
დარჩა მარტო და
ამას ამბობდა
ცხვარი: „ეს შეჯა სით გამიხნდა! “
ბევრიც უვლია,
შორეულია,
ჩემგნით რა აქვსო იმას სადა! “
როგორც ეტყობა,
ჩემი მფურცობა
მას გულისა სურს, უზაკველადო.
მას დამტკიცოს,
მტრისგან დამიცოს,
რომ გამართოს მტრებთან ველადო;
და მაშინ მეცა,
მეწმეთ შეაფს ზეცა,
რომ არ დაურჩები უმადურიო:
კარსაც გაუღებ,
ტკბილათ მივიღებ,
რომ ნახოს ჩემგან სამსახურიო. “
რა გადსწყვიტა
ეს, შინ მივიდა,
კრავებს უამბო, უმანარობლა.
და იმავ დღიდან
უფლის კუთხიდან
მისმა ნათელმა დღემ მოიდრუბლა!..

თ ა ვ ი

VII

დადგა ზამთარი.
მგელი, გამხდარი,
ტურა და დათვიც იერიშითა
მოადგენ ციხეს,
კრავებმა ნახეს
და გაიკმიდეს მათ ხმა შიშითა.
მაგრამ ამავე დროს,
ცუდს და სსზაროს,
ზირობისა მეტრ მოვიდა მელა,
თან მოჰყვა მურა,
დასძახა: „ურა!“
და წაიფრინა წინ მტრები ყველა.
დათვი აბლაღლეს,
ტურა ატყაფლეს,
მგელი გაბერეს, როგორც რომ გუდა!..
და ვით სარდალი,
მხნე და მართალი,
ისე მოიქცა აქ მელა გუდა.
უბრძანა მურას:
„ნუ მზოგავ ნურას,
რაც გინდა, მთხროვე, აგისრულებო!
და მართებულათ
მე უეჭველათ
ამ საცხვარეთში შენ გიგულებო.
მაგრამ კი ჯერე
მე დამიჯერე:
ფრისიკულურათ და ფრთხილათ ვიყოთ,

რამ არ შეგვიტყოს,
ცხვარმა რა გვეითხოს,
ჩვენი ჭაზრები და გავბერივით:
კარი გაგვიდოს,
ჯერ შინ მიგვიდოს,
ცოტა ხანს ვიყოთ ჩვენც, ვით სტუმარი,
და შერე, როცა
ხელთ ვიგდეთ დროცა,
გავგერიტეთ ჩვენი ცხვარი ხუმარი.
თუ იუაროს,
არ მოგვეკაროს
და არ მოტეუვდეს ჩემი ტკბილ-ენით,
მაშინ შენ მაღე
გადუბრიალე
თვალები რისხვით, მუქარით, დრენით!
რამ მაშინ შიშით,
ვაგლახით, ვიშით
ენა ჩავარდეს, ჩაიწუვიტოს ხმა
და ვითომც ნებით,
ძალ-დატანებით
სამარადისათ განდეს ჩვენი უმა.
ეს რამ დაწვევს,
საქმეც დაწვეს:
დიდ მოწიწებით მიდგენ ციხის კარს
და სიხარულით,
ვით მართლის გულით,
გამარჯვებამს უღოცაგდენ ცხვარს.
მოტეუვდა ცხვარი,
გაადო კარი
და შეიყვანა ციხეში შელა.



იმას თან მურა
შეჭევა შავ-ურა
და გაიზმორა სიამით ნელა.
ცნვარმა მაშინა
გამოიჩინა,
რატ კი შექდელ მას მასწინდლობა.
და შელა კუდაში,
ეშმაკის გუდაში,
ნაცვლათ შემდეგი უთხრა მადლობა:
„გმადლობო, ცნვარო,
შენ უწყინარო,
თავს რათ იწუხებ მასწინდლობითო?!
შენ ველარ შექდებო,
მე ვიმასწინდებო,
და შენც ქირაში უკველ წლობითო
მიხადე მადლი,
მადლიე მატული
ერთი სანახე, სანაიჭეო
და მით მშვიდობა
და ჩემი ნდობა
მინის საფერათ მიინიჭეო!
ბეჯრს ნულა ფიქრბო!
რადას აზირობო?
სიამ-ტობილობა სჯობს იმმარო,
რემ ბეჯრს ძალით
ფრივე თვალთ
არ იტირო და ცრემლი ღვარო!“
შექწუნდა ცნვარი,
გულს ჰკრეს ლახვარი!..
მაცრამ რაღა ღრბს? რადას იზამდა?

შელა კუდურა
და მასთან მურა,
რომლებიც წოდან მეკობრათ წწამდა,
მრისხანე ძალით,
თვალის ბრიალით
უღრენდენ და თანც იღესდენ კბილებს!..
და მაშინ ცხვარმა,
შიშით შემკრთაღმა,
ცრემლით ურჩია საბრალთ შვილებს:
„აწ კი გვიმართებს,
ამ მინდვრებს და მთებს
გამოგეთხროთ — მონა ვართ შელის...
გვაწვეს ღვთის რისხვა,
სანამ აწ ჩვენ სხვა
არ გამოგვიხსნის და არ გვიშუქის...
ვმონათ ჯერ შავ ბედს,
ნუ ვკარგავთ იმედს:
სოფელი ბრუნავს აღმა და დაღმა.
რომელმაც ჩვენა
არ მოგვასვენა, —
ეგებ დაჭკლიჯოს შელაც იმ ძაღლმა.
და ჩვენც მაშინა...
ჩუ! შემაშინა
რადაც ჩვენებამ, ამბობს: „ფრთხილადო!
ჯერ მისხვერბდი უნდა,
უმანკო, წმინდა
განსაწმენდელი შვილის-შვილადო!“
ეს რა წარმთქვა,
უელს შეიბა ქვა
ნიშნათ მონების... დადუმდა ცხვარი,

ძირს თავ-დახრილი!..

იწეო ტირილი...

დღესაც არ შრება იმას ცრემლთ ღვარი!..

იმ არე-მარეს,

ჩაგრულს, მწუნარეს

გულ მსაკლავათ რწევას ის ცრემლთ ღვარი...

და რამ შესწრას

ის ცრემლი ერთ დრას,

მისთანა გმირი ჯერ არსად არი...



ბ ა ტ ა რ ა ტ ა რ ი ე ლ ი.

(საყმაწვილო მოთხრობა)

დიდი ხანია ჩვენს გიმნაზიებში მისთანა გულის-ყურიანი არავინ ყოფილა, როგორც პატარა დიტო ცალქალამანიძე გამოდგა; ნიქს გარდა, ზნე-კეთილს, სწავლის ხალისიც დიდი ჰქონდა; დიდსა და პატარას, ვინც კი იცნობდა, ყველას უყვარდა და სულში იძვრებდა; როგორც პირველი მოწაფე, კლასიდან კლასში საჩუქრებით გადადიოდა. მეოთხე კლასამდის ტოლი არ ჰყოლია, მაგრამ აქ კი რაღაც აღაღმა დაუქროლა: გუნება შეეცვალა, სწავლაზე გული აიყარა, ახირებულობას მისცა თავი და აღრინდელი დიტოსი ნიშან-წყალიც აღარ შერჩენია, თითქოს თვალი ჰკრეს და გაღალესო—აღრინილი დადიოდა!.. სხვებრ კი გარეგნათ ავთამყოფობისა არა ეტყობოდა-რა; ფერ-ხორცათ კარგათ იყო და არც სიმსუქნე ჰკლებია, მხოლოდ საუღვაშის ძირზე-კი აქეთ და იქით ცერცვის ოდენა სიწითლედ დაჯდომოდა ჭ ხმაც აღრინდულათ აღარ უკრიალებდა, მკვებათ გამოხებოდა, ცოტა ნაძალადეობაც ეტყობოდა. შინაურები მაინცა და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდენ: „არაფერია, მოზარდია, ამ ხანში ასე იცისო; სანამ ამისთანა დარეზია, ტყე და ველსა ჰყავს წატყუებული, თავის ნებაზე ვეღარ ისვენებს და მისი ბრალიაო; ზამთარი რომ შინ შემოდენის, მაშინ ისევ ისე ძველ კალაპოტში ჩადგებაო.“

ასე ფიქრობდენ, მაგრამ გაუცუდდათ იმედი: ზამთარში უფროც გაჭირვებულდა ყმაწვილი; ნადირობის ჟინმა აიტაცა და დილიდან საღამომდე, რაღაი კი სასწავლებელს თავს დაანებებდა, სულ გარეთ იყო. იმ პატარა ჩიტუნებს, ადრე რომ ისე უყვარდა და ებრალებოდა, ახლა, სადაც კი შეიგულვებდა, მოსისხარ მტერივით მუსრს ადენდა! ერთხელ ახირხლა თავის ნანადირევი, დაიჭირა ხელში და გასწია მეზობლისაკენ. იქ, ერისთვის ოჯახში, პატარა, ათი წლის მეგობარი—თინა ეგულვებოდა და იმასთან მიჰქონდა ძღვენათ. პირდაპირ შევიდა ოთახში, მაგრამ ვერაფერს დაინახა, თუმცა აქეთ-იქით კი თავ-მოძწონეთ იცურებოდა. უცბათ ფარდა შეიბნა, გამოჰყო თავი დამალულმა თინამ და „ჭიტა“ო—მიადახა. ჯერ გაეცინა დიტოს, მაგრამ ბოლოს მოიქმუხვნა სახე, უეცრათ დაეშვა ძირს და გაინართხა გულ-შეწუხებული. თინამ დაიკივლა. მის კივილზე უფროსები შამოცვინდენ და გულ-შეწუხებული ბავშვი რომ ნახეს, მისცივდენ, ბევრი უსრისეს ცხვირი და ყურები, წყალიც ბევრჯელ გადაასხეს თავზე, მაგრამ არა ეშველა-რა!.. მართალია, ყოველთვის, როცა კი ცივი წყალი ესხურებოდა ხოლმე, შემკრთალი თვალებს ახელდა, მაგრამ ისევ ისე ხუჭავდა და ნაბავდა. ბევრი მეცადინეობის შემდეგ, რომ ველარა მოუხერხეს-რა, ერისთვიანი იძულებული შეიქნენ შინ გაეგზავნათ—ხელში აყვანილი ყმაწვილი. ახლა კი გამოაჭყიტეს დიტოს სახლში თვალეები, შეიცხადეს და ერომანერთს დაუწყეს საყვედური: არა, შენი ბრაღია და არა, შენიო. ცოლი ქმარს ამტყუნებდა: „შენ მომიკალი შვილი, შენი ბრაღიაო! იძახოდი, არა უშავს-რა, გაივლისო და მე, მზე-ბნელმა, დაგიჯერეო.“

— „ჩემი კი არა, შენი ბრაღიაო!—პასუხს აძლევდა ქმარი,

მიგიშვია მის ნებაზე თითის სიგძე ბავშვი, დარბის აქეთ-იქით ამ დიდ თოვლში, ჩიტების დევნაში ამოდის სული და ველარას გებულობსო, — გაცივდებოდა აბა რა მოუვიდოდაო!“ ბევრი იწუწუნეს, ბევრი ითავცემეს და ბოლოს, გული რომ იჯერეს, აფრინეს აქეთ-იქით კაცი ექიმზე. ექიმებიც მოვიდნენ, გაშინჯეს ყმაწვილი, ხან მუცელზე დაადვეს ყური, ხან გულ-მკერდზე, ხან ზურგზე, ხან სად და ხან სად. ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ყველამ კი სულ სხვა-და-სხვა გვარათ გამოიკვლია; ერთმა თქვა: ჭია მორვეიაო, მეორე ამტკიცებდა, ჩუმი, ჩაყოლილი ცივების ბრალიაო, მესამემ გულის სისუსტეს მიაწერა, მეოთხემ კუჭს და ამ გვარათ ყველამ თავისებური რეცეპტი დასწერა და მითი გათავდა საქმე. ავთმყოფს თვალის დასანახავათაც არ მიუკარებია მათი წამალი და დედ-მამას მხოლოდ იმას ეხვეწებოდა: სისხლი გამართვითო. უკვირდით მისი ახირებული ჟინიანობა და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. საქმლის მადა კარგი ჰქონდა ბავშვს; სიცხეც არ ეტყობოდა, მხოლოდ სუსტათ იყო მიგდებული და წამ-და-უწუმ ოხრავდა. ხან და ხან, როცა იმასთან აღარავინ იყო ხოლმე, წამოჯდებოდა და რალაც შეფერებული ღიმილით ბუტბუტებდა: „სევდა რამე შემომყრია, სამკურნალო არა მჭირს რაო.“

ნაცნობებმა დრო იშოვნეს, მიდიოდნენ ავთმყოფის სანახავათ და მთელი დღით რჩებოდნენ, რომ გამწარებული დედა ენუგეშებიათ. სადაც კი გაეგონათ რომელიმე სოფლის ექიმის სახელი, ყველაზე უთითებდნენ და არწმუნებდნენ: ვიცით რომ ის მოგირჩენსო; მარჩიელთანაც კი მიასწავლეს. ამასობაში რამდენიმე დღემ გაიარა და ღიტოს კი მაინც არა ეტყობოდა-რა.

ერთ კვირა საღამოს ერისთვის ცოლი შებძანდა სანახავათ და პატარა თინაც თან მოჰყვა. შემოდგა თუ არა ოთახში ფეხი, ავათმყოფმა მოიხედა და გამოცოცხლდა. „ღმერთმა ნუ მომაკლოს შენი იმედი და ნუგეში!“. დიდი ოჯახის შვილი ბრძანდები, დიდი ბედნიერი და ფეხიც ბედნიერი გაქვსო: სწორეთ შენ ფეხზე მოიხედა და გამომიბრუნდა შვილიო!“ ეუბნებოდა მასპინძელი სტუმარს. და მართლაც, დიტო წამოდგა ზეზე, ხელ-პირი დაიბანა, ტანთ ჩაიცვა და მარჯვეთაც გაიარგამოიარა. მთელი ის საღამო ერთათ გაატარეს იმან და პატარა თინამ. ის იყო და ის, — იმ დღიდან იმას აღარა ტკენია-რა, მხოლოთ უჩვეულო ახირებულობა კი თანდა-თან უფრო ეტყობოდა. რა იყო მიზეზი? რა და „ვეფხვის ტყაოსანი“!

დიტო ახალი გადასული იყო მეოთხე კლასში, რომ „ვეფხვის ტყაოსანი“ ჩაუვარდა ხელში და მისმა მომხიბლავმა შინაარსმა, უფრო ზღაპრულმა მხარემ, ისე გაიტაცა, რომ მეორე დღემდე თავი აღარ აუღია, აღარც ჭამა მოჰკონებია, აღარც სმა და აღარც ძილი; იმ დღიდან თავსა და გულში სულ „ვეფხვის ტყაოსნის“ გმირები უტრიალებდენ. — ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ ერთ დროს მეც ტარიელი არ გავხდეო! განა მე კი ვერ მოვახერხებ გმირობასო? — ამბობდა თავისთვის დიტო. ამ სურვილმა ისე წაიტყუა, რომ ერთ თვეს შემდეგ თავი მართლა ტარიელათ წარმოიდგინა: უღვაშებს იპუწკნიდა, ხმას ძალას ატანდა, სიარულის დროს ფეხს მძიმეთ, დინჯათ ადგამდა და ყოველ-გვარ თავის ქცევას ტარიელისას უტოლებდა გუნებაში. დარწმუნდა, დარწმუნდა, რომ მართლა ტარიელი იყო! ახლა საჭირო იყო მხოლოთ, რომ სადმე სამეგობროთ შეჰყროდა ავთანდილ-ფრიდონს

და ნესტან-დარეჯანიც გამოსჩენოდა. შემთხვევამ ხელი მოუმართა: ერთ დილას, ადრე, როცა გიმნაზიაში მიდიოდა, დაინახა, რომ მეორე მხრით პატარა ქალებიც სასწავლებელში მიდიოდნენ. წინა ლამის ნაავდრევი იყო და შუა ქუჩაში ნიავედვარი იდგა. პატარა მოწაფეები გაღმა გასასვლელათ ქვიდან ქვაზე აღდამდნენ ფეხს, რომ მშრალათ ევლოთ; ზოგიერთებს უსხლტებოდათ ფეხი, ჩაჰკრავდნენ ხოლმე წყალში და მაშინ სხვების სიცილს ბოლო აღარა ჰქონდა. იმათში ერთი პატარა, ათი წლის, ლამაზი გოგონა ერია; იმას კი ორივე ფეხები აუსხლტა და ჩავარდა წყალში; ამხანაგებმა სიცილი დაატანეს, მაგრამ პატარა დიტომ კი უცბათ გასტყორცა განზე წიგნებით გატენილი ჩანთა და მიაშურა. წყალი კოჭებამდის თუ შესწვდებოდა, მაგრამ დიტომ მაინც მღვღვარე ზღვათ წარმოიდგინა, ჩაწვა შიგ და ხელებსა და ფეხებს აპარტყუნებდა, ვითომ ვცურავო. მაყურებლებს ეგონათ, თუ ისიც წაიქცაო და მოუმატეს სიცილ-ხითხითს; მცურავს მათთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, სულ მუცლის ხოხვით მივიდა წყალში ჩამჯდარ პატარა ქალამდის, მოჰკიდა ხელი და გამოიყვანა გამოღმა, მერე წიგნები და კალოშები ამოუღო წყლიდან, ურჩია შინისკენვე დაბრუნება და თვითონაც, როგორც მხსნელი და მფარველი, თან გაჰყვა.

პატარა გოგო გამოდგა ერისთვის ქალი, — თინა. ერისთვისას გაწუმპული ბავშვი რომ ნახეს და მიზეზიც შეიტყვეს, ქალს ტანისამოსი გამოუცვალეს, დიტოსაც გაუმშრალეს, მადლობა უთხრეს და გაისტუმრეს. ამ დღიდან დაიწყო მათი ნაცნობობა და ხშირათაც ხედავდნენ ხოლმე ერთმანეთს. „ესეც ხომ შენი ნესტან-დარეჯანო!“ ფიქრობდა დიტო და სიხარულით თავს ზე-

ცას აქერდა. თავის აზრი და რწმენა ნელ-ნელა პატარა მეგობარსაც შეატყობინა; წაუკითხა „ვეფხვის ტყაოსანი“ და იმდენი ეჩიჩინა, რომ გულში ძალა უნებურათ შეჰგვარა ნესტან-დარეჯნობა. იმ სახლშივე მცხოვრებ მესარეცხეს პატარა გოგოსაც ასმათობა აკისრებდეს. გიმნაზიაშიაც დიტომ ერთი ამხანაგი გაიავთანდილა, ფრიდონიც უმცროს კლასში გაიჩინა და გაიმართა პატარა მეგობრებს შუა ნამდვილი ნესტან-ტარიელობა!.. დიტო ისე გატაცებული იყო სურვილით, რომ „ტარიელი“ დამიძახეთო— ეუბნებოდა თავის ახლო მეგობრებს.

ჩიტები რომ ძღვნათ მიიტანა, იმ დღიდან მაინც იქვი აღარ ჰქონდა თავის ტარიელობაზე. — ჩვენი ორივეს თავ-გადასავალი ერთი და იგივეაო, — ამბობდა. მოუმატა თავ-გასულობას ზმეზობლებს თავს აბეზრებდა. იმ უბანში, სადაც ცალქალამანიძის ოჯახი იყო, მოსვენება აღარავის ჰქონდა მისგან; კატა არსად გაეცდებოდა: ვისიც უნდა ყოფილიყო, თვალს მოჰკრავდა თუ არა, გამოუდგებოდა, დაიჭერდა, ხან ჰკოცნიდა და ხან კედელს ახლიდა, ვითომ და ტარიელის ვეფხვ-ლომებიო. პატარა ლეკვებსაც აწვალებდა, დიდ ძაღლებს კი შორიდან ესროდა ხოლმე ქვებს; პატარა ბიჭებს, რომელსაც კი დაიბრიყვებდა, უმიზეზოთ და უწყალოთ ანარცხებდა მიწაზე; დიდებს ერიდებოდა, მაგრამ გულში მაინც ამბობდა: ნეტავი ერთი ხელს მომკიდებდენ, რომ ისინი ყირაზე გადავიყვანო, გადავაბრუნო, დაბლა ზურგით მტვერი ვახვეტინო და მალლა ვარსკვლავები ვათვლევინოვო!.. ამას დატრახახებით კი არ ამბობდა, მართლა ეგონა! იჭიმებოდა, იბერებოდა და სწავლაში კი თანდა-თან იჩუტებოდა. ამ ხანებში თინამაც აიცრუა გული სწავლაზე. მისმა მასწავლებელმა ქალმა შესჩივლა ერის-

თვის კნენას: თქვენი ქალი აღარ სწავლობს ჭ ეს სულ დიტოს ბრალიაო: მეტათ ხშირათ მოდის თქვენსა, თამაშობენ, ცელქობენ და ველარას ასწრებენო.

კნენამ იუცხოვა: — ჩემი ბრალია, რათ მივეცი ნება, რომ ვილაც ცალქალამანიძის შვილს ჩემ ქალთან ტოლ-ამხახავობა დაექირაო! დაიკრა მუხღებზე ხელი და ბძანა დიტოს დათხოვა. დიტომ რომ გაიგო, მწარე ცრემლები დაღვარა, მაგრამ თავი მაინც მალე ინუგეშა მით, რომ რადგანაც ტარიელი ვარ, მისი ქირიც უნდა ვიტვირთო და უბედურება ავიტანოვო. დაემორჩილა შავ ბედს და წამ-და-უწუმ ბუტბუტებდა: „შორით ბნედა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით აღვაო...“

ამასობაში ერთმა-ორმა თვემ გაიარა; მეგობრებს ერთმანეთი აღარ უნახავთ, თუმცა პატარა თინა მის გუფერნანტს ხშირათ დაჰყავდა ხოლმე საღამოობით აქეთ-იქით ბაღებში, უფრო ხშირათ კი ვერისაკენ — სასაფლაოზე. მოთმინებიდან გამოსულმა თინამ აცნობა დიტოს: თუ არ დაგვიწყებოვარ, ვერის სასაფლაოზე გამოდი ხოლმე საღამოობით ჭ, ერთხელაც იქნება, იქ მნახავო. ეს იყო პირველი წერილი, თინასაგან მინაწერი, თუმცა რუსულათ, მაგრამ მაინც მისი ხელით დაწერილი. კინალამ გაგიჟდა სიხარულით დიტო! გულზე დაიდვა უსტარი და ზედ სიხარულის ცრემლები დაღვარა. წამ-და-უწუმ საათს დაჩერებოდა; წამი საათათ ეჩვენებოდა და საათი დღეთ. ძლივს მოესწრო საღამოს და გასწია სასაფლაოსაკენ. იქ მართლა დაინახა თინა, მისი გუფერნანტი და ერთი ვილაც უცხო ახალგაზდა და წინ შეეფეთა, ვითომ უცაბედათ. პატარებს იამათ ერთმანერთის ნახვა. ქალმა უთხრა ბავშვებს: „თქვენ აქ დარჩით, ითამაშეთ, ჩვენ კი ქვეითკენ წავალთ სასაფლაოს ქვების

დასათვალისწინებლათ“ — გამოუყარა ხელი მკლავში ახალ-გაზდა ვაჟს და გადაუხვიეს განზე. დარჩენ პატარები მარტო. ერთ ხანს შეჩერდნენ ხმა ამოუღებლათ, მერე ხელი მისცეს ერთმანეთს და აკოცეს, დასხდნენ იქვე საფლავის ქვაზე და დაიწყეს საუბარი. დიდი ხნის უნახავებს ბევრი ჰქონდათ სათქმელი და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს. იმდენი იტიტინეს, რომ დაღამებამ მოატანა და უფროსები კი ჯერ მაინც არსად ჩანდნენ. თინას გულში შიში შეეპარა, გამოუტყდა დიტოს და უთხრა: „წავიდეთ, ჩვენები მოვძებნოთ, დაეუძახოთო!“ დიტომ მელიდურათ გადაიქნია თავი და უსაყვედურა:

— ჰაი, ჰაი, რისა გეშინია?! მე აქ არა ვარ? მთელი ჯოჯოხეთიც გარს რომ მოგვადგეს, მაინც ვაგუშკლავდები, მოვიგერებ და შენ კი არას ვაგვიჭირვებო!

ჯოჯოხეთის ხსენებაზე თინა უფრო შეკრთა და დიტოსაც თვალები გაუდიდდა... ერთი კიდევ მოიხედა უცბათ უკან. პატარა ქალი მაინც არ მოეშვა და დააპირეს წასვლა. წასვლისა და გამოთხოვების წინეთ ფიცი დასდევს: ერთმანერთს არ ვულალათო და ჩვენც ნესტან-დარეჯანსა და ტარიელისავით ქირი და განსაცდელი ავიტანოთო.

— ვინც გასტეხს ფიცს—თქვა დიტომ—იმას მოხედეს შიგ გულში ცხელი ტყვიაო!..

— აგრე იყოს! გაიმეორა თინამ, — ცხელი ტყვიაო! ეს რომ თქვეს და გაათავეს, ზედ ბეჭდის დასმაც მოინდომეს ო მიიწიეს ერთმანერთთან საკოცნელათ. სწორეთ ამ დროს საფლავიდან ამოიძახა ვილაცამ, „ტყვიაო!“ ბავშვები შეკრთნენ, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს, ვერავინ დაინახეს, იფიქრეს, მოგვეჩვენაო, მაგრამ კიდევ გამოისმა ხმა სამაროდან სამჯერ ზედი-ზედ: „ტყვია, ტყვია,

ტყვიან!“ ახლა კი ფერი ეცვალათ პატარა გმირებს. თინას გული შეუწუხდა, დიტო დაფრთხა, იკადრა ტარიელობაზე ხელის აღება, დაავიწყდა მისი ნესტან-დარეჯანი, მიატოვა და მოჰკურცხლა ყვირილით: „გვიშველეთ, მკვდრები გაცოცხლდნო!“ მის ყვირილზე მოიქრენ სასაფლაოს მცველი, ფრანკუზის ქალი, ახალგაზდა კაცი და ერთი-ორი კიდევ სხვაც, იქ ახლოს მყოფი. მოასურსუმაღეს გულ-შემოყრილი თინა, დაამშვიდეს დიტო და მერე გამოჰკითხეს: რა ამბავია, რამ შეგაშინათო. ბავშვები ხმის კანკალით ძლივს იმეორებდენ, მკვდარი გაცოცხლდაო... გაუკვირდათ. სასაფლაოს მცველმა თქვა: აგერ ორი კვირაა, რაც ეს მკვდარი აქ დამარხეს და ახლა მოაგონდა გაცოცხლებაო? ახალგაზდა კაცმა უპასუხა: შეიძლება საღათას ძილით იყო შებყრობილი და ახლა გამოიღვიძაო. გადააბრუნეს საფლავის ქვა და რა ნახეს? თვალგამოკუსული ბაყაყი წამოაცურქულიყო ქვას ქვეშ და იძახოდა: „ყვია“ო. დიდებმა სიცილი აიტყხეს, მაგრამ პატარებს კი ძვირათ დაუჯდათ ეს შემთხვევა; თინას იმ ღამეს სიცხე მისცა, კინალამ ანთებათ გადაექცა და გათენებამდე აბოდებდა ტარიელს, ლომებს, დიტოს, ბაყაყს და სხვებს. დიტოს, გარდა სირცხვილისა, არა დამართნია-რა, მაგრამ ერჩია კი, რომ ავათაც გამხდარიყო და კიდევ მომკვდარიყო. „რალა ვარ ახლა და რა სახსენებელია? ჩემი თავი გმირთა-გმირი მეგონა, ტარიელობას ვჩემობდი და ნაცარ-ქექია კი გამოვდექიო!.. რას იტყვის თინა და რალა პირით შევხედო, რომ მთელი ჯოჯოხეთის მოგერებას ვპირდებოდი და ერთ ბაყაყს კი შევეუშინდი, მივატოვე გულ-შეწუხებული მეგობარი და გავიქეციო!“ ისეთ მწუხარებაში ჩავარდა, რომ სირცხვილით თავს ველარსად ჰყო-

ფდა. ამ კირს ზედ კიდევ უარესიც დაერთო: ავთანდი-
ლმა უღალატა და გამოამჟღავნა ტოლ-ამხანაგებში მისი
საკუდა-ბზიკო თავ-გადასავალი. ამხანაგებმა აიგდეს სა-
ცინლათ, აიბუეს და მოსვენებას აღარ აძლევდენ: — ბა-
ტონ ტარიელს გაუმარჯოსო — ეტყოდა ხოლმე ერთი;
— რასა იქმს თქვენი ნესტან-დარეჯანიო? — ეკითხებოდა მე-
ორე; — სულ გაწყვიტე ლომ-ვეფხები, თუ კიდევ დარჩე-
ნო? — დასცინოდა მესამე. საბრალოს სირცხვილით პირი
უშრებოდა, ნერწყვს ველარ ჰყლაპავდა და იყო თავისთვის
ჩუმათ. ისეთ სინანულში ჩავარდა, რომ აღარ იცოდა,
რა ექნა; თავ-რეტი ესხმოდა, კლასში ტყუილა იჯდა,
აღარაფრისა აღარა გაეგებოდა რა... დარჩა იმ წელიწადს
მეოთხეშივე. — მადლობა ღმერთს — ჰფიქრობდა — ეს უსი-
ამო ამხანაგები მაინც მომშორდენ და ეგებ მოვისვენ-
ნოო. გაუცრუვდა იმედი: ახლებმა უარესი დღე დაა-
ყენეს. აუტანელი იყო მისი მდგომარეობა: სახლში ში-
ნაურები უჯავრდებოდენ, კლასში ტოლები იგდებდენ
სასაცილოთ და მასწავლებლებიც ისე უყურებდენ, რო-
გორც ფუქსა და გამოუსადეგარ ახალგაზდას. განიზრახა
თავის მოკვლა, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანობდა, არ იცო-
და, რა გზა აერჩია, ხეზე ჩამოეხრჩო თავი თუ წყალში
გადავარდნილიყო!..

სადაც დიტო სწავლობდა, იმ გიმნაზიაში ერთი
ახალგაზდა ქართველი მასწავლებელი იყო, რომელიც
სხვებს არა ჰგავდა. ის მიტომ კი არ მსახურებდა, რომ
ჯამაგირი აეღო და უფროსების გული მოეგო, — თავის
პირდაპირ მოვალეობათ თვლიდა, რომ ნორჩი მოწაფე-
ების გულში კეთილი სურვილი აეძრა და ახალგაზდობა
სწორ გზაზე დაეყენებინა. ის ძალიან აკვირდებოდა სა-
ბრალო დიტოს ყოფა-ქცევას და სხვებს რომ აბუებულო

ჰყავდათ, ის სიამტკბილობით და მამა-შვილურათ ექცეოდა. დიტო აფასებდა მის ყურადღებას, სულით და გულით უყვარდა მხოლოდ ის ერთათ-ერთი კაცი და რომ გადაეხადა რითიმე მისი სიკეთე, მის საგანს საუცხოვოთ სწავლობდა, მაშინ როდესაც სხვებისას ყურადღებასაც აღარ აქცევდა. ბევრჯელ საკმაო იყო ხოლმე იმ მასწავლებლის ერთათ-ერთი აღერსიანი სიტყვა, რომ გაბორბტებული დიტო კარგ გუნებაზე დაეყენებია. ერთ საღამოს დაიბარა სახლში; დიტოც, რასაკვირველია, სიხარულით მივიდა მასთან. მასწავლებელი ისე კი არ დაუხვდა პატარა სტუმარს, როგორც უფროსი უმცროსს, — ამხანაგურათ მიიღო, მოისვა გვერდით და იმდენი ელაპარაკა სხვა-და-სხვა საქმეებზე, რომ სულ დაავიწყდა ბავშვს თავისი ვინაობა. პატარა სტუმარმა წარმოიდგინა, რომ ჩემ ტოლ-მეგობარს ვუზივარ გვერდითო, გაიხსნა ნელ-ნელა გული და თითო კაკლათ უამბო თავისი თავ-გადასავალი. მასწავლებელი გულ-დაგულ უსმენდა, ერთხელაც არ მოსვლია ღიმილი მის კუდაბზიკობაზე და რომ გაათავა თვალ-ცრემლიანდა ბავშვმა თავისი მწარე ამბავი, ჰკითხა: — მერე რა არის მანდ სასირცხო და სასინანულო? ძალიან კარგი სურვილები გქონია და კიდევაც ეცადე, რომ შენი განზრახვა შეასრულოო! ის ახალგაზდა, რომელსაც ტარიელი არ მოწონს, არ ცდილობს, რომ მას მიჰბაძოს, ჩალათაც არა ღირს და მისგან სახეიროც არა გამოვა-რაო. ტარიელ-ავთანდილობა რა დასაძრახისია? შენ მხოლოდ შემცდარხარ, სხვა გზით წასულხარ, თვარა კარგის მეტი არა ჩაგიდენია-რაო. გოცებულ დიტოს ეგონა, რომ ესეც დამცინისო და მიაჭყიტა თვალები. — ჩემო პატარა მეგობარო — განაგრძო მასპინძელმა — ტარიელ და ავთანდილები ყოველთვის და

ყოველგან ყოფილიან და არიან კიდევ საჭირო. ის ხალხი, რომელიც ტარიელ-ავთანდილებს ვერ წარმოშობს და ვერ გამოზღვის, ხალხათაც აღარ იხსენება, უბედურია და გაჰქრება დედა-მიწის ზურგზე; ჩვენს ქვეყანას ღმერთმა აშოროს ეს ხვედრი! ვყოფილვართ და კიდევ უნდა ვიყოთ. ერთი საუკუნე მეორეს აღარა ჰგავს, დრო სხვა-და-სხვა არის და ამიტომაც გმირები თავ-თავის შესაფერი ჰყავთ. ადრინდელი, რუსთველის დროს, სხვა იყო და ახლანდელი, ჩვენი, კიდევ სულ სხვაა, ერთმანერთს აღარ ჰგვანან ფერ-შეცვლილობით; მაშინ ფიზიკურ ძალაზე იყო ყველაფერი დამყარებული: მახვილ-იარაღით შემოესეოდა ქვეყანას მტერი და თუ დამხვდერთ ტარიელ-ავთანდილები ვერ მიეგებებოდნენ ფარ-ხმალით, რაღა გადაარჩენდა ქვეყანას? მაშინ ვაშკაცობა და მკლავის ძალა საჭირო იყო,—მტაცებლობისა და სისხლის ღვრის დრო იყო; დღეს კი სწავლა მეცნიერებაზეა ყოლიფერი დამოკიდებული, მკლავის ძალა გრძნობა-გონების ძლიერებათ შეიცვალა, ფარ-ხმალის ადგილი ენამ დაიჭირა და შვილდ-ისრისა—საწერ-კალამმა.

— მაშ დღეს ტარიელები აღარ არიან საჭირო? —
დაეკითხა ცოტა გულ-დაწყეტილი დიტო.

— უფროც! უფროც! — უბასუხა საჩქაროთ მასწავლებელმა, — მართალია, დღეს გარეშე მტრები აღარ გვესევიან, ვეღარც ქაჯებსა ვხედავთ და ვეღარც ხატაველებს, მაგრამ ის უგზურება და უმეცრება, რომელიც ჩვენს ხალხს გარს არტყია, იგივე ქაჯები და ხატაველები არ არიან? ქვეყნის ბედნიერება, თავისუფლება, ეს ყოველი ერის „წმიდათა-წმიდა“, უგზურებასა და უმეცრებას რომ ჩაუგდია ხელში, იგივე ნესტან-დარეჯანი არ არის, ქაჯეთის ციხეში ჩამწყვდეული? გამოხსნა

უნდა და თუ ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონები არ გვეყო-
ლებიან, ვინ უნდა გამოიხსნას? / დიახ, ჩემო კარგო,
როგორც ტარიელი იმ დროს ბურთაობით, ცხენოსნო-
ბით და ნადირობით იწვრთნოდა, იღიდებდა და იმაგ-
რებდა ძალ-ღონეს, სანამ არ დავაშკაცდა და მერე გა-
მოვიდა ბრძოლის ველზე, ისე თქვენც დღესვე, ამ თა-
ვითვე უნდა ავარჯიშოთ ჭკუა-გონება სატარიელოთ.
თქვენი სანადირო ტყე-ველი, თქვენი საბურთაო მოე-
დანი სასწავლებელია. როგორც ბატარა ტარიელი იჭერ-
და და ერეოდა სხვა-და-სხვა მხეცებს, ისე თქვენც უნდა
დაიჭიროთ ხოლმე ხელში და სძლიოთ, მოერიოთ სხვა-
და-სხვა სამეცნიერო წიგნებს, გაიმტკიცოთ, გაიმაგროთ
გრძნობა-გონება და მერე გამოხვიდეთ ქვეყანაში სავარ-
ჯიშოთ, საგმიროთ. მაგრამ უნდა გახსოვდეთ კი, რომ,
როგორც ტარიელი ვერას გახდა მარტო, სხვების დაუ-
ხმარებლათ, ისე ვერც არას თქვენ გახდებით. ჩვენი
ქვეყნის მზე და მთვარე მარტო ქართლ-კახეთში კი არ
ამოდის, — მრავალ-კუთხიანია საქართველო. უნდა გამო-
ნახოთ ყოველგან ავთანდილ-ფრიდონები, დაიმეგობროთ
და შეთანხმებული სურვილით, შეერთებული ძალით
იმოქმედოთ, რომ მათი თანაგრძნობით ჭირი ადვილათ
მოიქარვოთ და ლხინში თავი დაიჭიროთ.

— არიან კი ჩვენში მაგისტანა ქალები? — კიდევ
ჰკითხა დიტომ.

— ჯერ არა! ახლა უფრო ფატმანების დროა. ეს
დიდი შეცდომაა, მაგრამ ბრალი არ ედებათ ჩვენს ქა-
ლებს: ის დღევანდელი უკუღმართი გაზდის ბრალია!
მრუდე გზით მიჰყავთ და თქვენი ვალია, რომ დაუხვდეთ
ხოლმე გზაში, შეაჩეროთ და სწორზე გადაახვევოთ.

— ჩვენ?.. მაშ შეიძლება, რომ პატარა ერისთვის ქალიც გათინათინდეს?

— უეჭველია! ჩვენში, როგორც ერისთვის, ისე ცალქალამანიძის ქალებიც, ყველა ერთ გვარათ თინათინ-ნესტანებათ არიან გაჩენილი, მაგრამ დრო აუკუღმართებთ და აფატმანებთ.

— შეიძლება, ეს ყველაფერი, რაც ბრძანეთ, გადავცე სხვებსაც?


— ერისთვის ქალს?.. რატომ არა, მაგრამ ჯერ კინება არა გაქვს. როდესაც შენ თვითონ სწორ, სატარიელო გზაზე დადგები და ბაყაყით შეშინებულ ნაცარ-ქექიას აღარ ეგვანები, მაშინ გადაეცი და ისიც უფრო დაგიჯერებს.

პატარა მოწაფე აღტაცებით ისმენდა მოძღვრის სიტყვებს და ტანში რაღაც უჩვეულო, სანეტარო ჟრუანტელი უვლიდა. მივარდა უცბათ და მოუნდომა თვალცრემლიანმა ხელებზე კოცნა, მაგრამ, უფროსმა აღარ აცალა, მიიკრა გულში მტირალი ბავშვი და, ტკბილათ მომღიმარი, თავზე უსვამდა ხელს. ამ ერთმა წამმა შესცვალა სამარადისოთ დიტოს ბედი. სასიკვდილოთ თავგადადებული ბავშვი გამობრუნდა, გამოცოცხლდა და გაუსვა სწავლას ხელი. ბევრ ხანს აღარ გაუვლია, რომ დაკარგული პირველობა დაიბრუნა, უკვირდა ყველას და მიზეზი ვერ გაეგოთ; იცოდა მხოლოთ ორმა ამ მიზეზის საიდუმლო — დიტომ და მისმა საყვარელმა მოძღვარმა.

დიტომ ოქროს მედლით გაათავა გიმნაზია და გაიგზავნა უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით.

ერისთვის ქალი რაღა იქნა? იმანაც გაათავა საქალებო გიმნაზია, მაგრამ მერეც სწავლისთვის თავი არ დაუნებებია. თავის სამშობლოს დაუღდა გრძობა-გონე-

ბა და რომ მისი ქვეყნის წარსული და მომავალი უკეთ
გაეთვალისწინებია, შეისწავლა დედა-ენა, ისტორია, რამ-
დენიც კი შესაძლო იყო, ლიტერატურა და სხვანი/
სულ იმის გამოკვლევაში იყო, თუ რას აკეთებდნ ჩვე-
ნი ძველი დედები, რა ხელსაქნარი იცოდნ და რო-
გორ ცხოვრებდნ, რომ მათი მიბაძვით ახალი დროის
შესაფერათ ისიც მათ კვალში ჩამდგარიყო. სახელი გა-
ითქვა; გამოუჩინდნ საქმროები — ჯინჯილებიანი გვარის
„შვილები, მაგრამ თინა უარზე იდგა: „თუ კაცი თვი-
თონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო, —“ ამბობდა
გუნებაში ჭ თანვე მოიგონებდა ხოლმე ცალქალამანიძეს.
„მისმან მზემან, უმისოსა არვის მიხვდეს მთვარე მისიო...“



გ ა მ ო ს ა ნ ი ბ ი.

(შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან)

ა

არსი, მარსი, უარსი,
სხვა უარსი არსად არი,
არ არიან უმისონი,
არც ღრუბელნი, არცა ცანი,
არა ნება მის მიერი
განგვეშოროს—არსად არი. (დმერთი)

ამიერიდგან ნაკურთხი,
მალლა დგას მთაზე ბევრია,
წამთარ და ზაფხულ მის ფურცელს
არ ოდეს არა ვნებია,
მასაც მოუვა ერთი დღე:
თაყვანს სცემს ყველა ერია,
ის დღე ჩვენც გაგვეხარდება,
ხელში გვაძლევდეს ბერია. (ბზა)

ავდექ, ტყის პირას მივმართე,
ხე გამოვთალე სახმარი,
ტყის პირს სიმტკიცე ვახმარე,
ხერხი ვახმარე, სხვა ხმალი,

ოთხი ძმანი ჯორზე შეესვი,
ვალაპარაკე სხვა-სხვანი,
და ამის გამომცნობელსა
ჭკუა ექმნება სახმარი. (ჩანკურა)

აბურძგალამ სიპი შობა,
სიპმა აბურძგალა შობა. (ქათამი კვერცხი და
წიწილები)

აჯიჯარი, მაჯიჯარი,
ოთხი ფეხით მაბიჯარი,
არცა უნდა თივა-ქერი,
არც კეხი და უნაგერი. (სკამი)

ახალი ვიყავ უთვალო,
დავბერდი დავთვალთანდი. (ქადაბანი)

აქით გავჰკარ ისარიო,
ქალაქს შევძარ ფიცარიო. (კივილი)

აბლი, ბაბლი, ოქროს ტახტი,
მზით ავიღე, მთვარით დავდგი. (ეინუდი)

აყრა იყო, მაყრა იყო,
მაყრას ზევით გუდა იყო,
გუდას ზევით—ფიცარი,
ფიცარს ზევით—მიხრიჭი,
მიხრიჭს ზევით—მისვრიტი,
მისვრიტს ზევით—მიჭყიტი,
მიჭყიტს ზევით ჭალა იყო,
შიგ ტყე-ბურღით სავსე იყო. (ადამიანი)



აკიბული კიბეები,
ხვარასნული ციხეები,
შიგა სხედან მარწუხები,
დასძახიან ქილიკები. (გუთანი და მესხეები)

აზინა აზიზინისა,
ყაჭინა აბრეშუმისა,
ორსა მაღალსა ციხესა
საძირკველი აქვს რკინისა. (ქაშები)

აკრაკნილი, დაკრაკნილი,
კერიაზე დაკრა კბილი. (საქვანე)

ავხადე ფირფიტელასა,
დავხედე გულ-წითელასა. (ღვინო)

აკრეფით სულ-განაბული
სახლთა შევიდა მპარავი;
სახლი შიგ დაძვრა სარკმელში,
ქურდი შიგ დარჩა მპარავი. (ბადე ჭ თევზი)

ადი, ადი, აიმართე,
ყელ-მაღალო ციხისაო,
დუშაყო აბრეშუმისა,
საძირკველო რკინისაო. (წაღა)

ავსაცა აქვს, კარგსაცა აქვს,
ბატონსაც და ყმასაცა აქვს. (სახლი)

აბანოელი ბატები
აბანოს ებანებოდა,

მისი ნასროლი ფინთიხი
ხემწიფეს ეკადრებოდა. (წისქვილი)

„ასიანისა“ ქალი ვარ,
ასისა ვაჭრის რძალი ვარ,
ყარყუმის კაბა მაცვია,
ზედ ოქროს ღილი მაბია. (ეუბქენი)

აღის ფერათ მოფრინავდა
სალამოსა ბინდისასა,
ყავარჯენსა მოიქნევდა
ტარ მოკლესა, გიშრისასა. (ტიტინათელა)

არწივი წივის,
მეხრენი კივის,
ლომი იწიწვის,
ფუტურო სკდება. (გუთანი)

ასი მასრა მიხვევია,
ასი კაბა მაცვიაო,
ერთი ციდა ულვაშები
პირზე ჩამომფუცხვიაო. (სიმინდი)

აღხანია, მალხანია,
თავს აცვია ხალთაია,
გაზაფხულზე იცის მოსვლა,
ზოგიც მათში გლახანია. (სოკო)

ადამის წინ დაბადებული
ჯერ ერთი თვისა არ არი. (მთვარე)

ამპარტოვანი თათარი
დაიარება ყვირისო,
ნამეტნავათ მედიდურობს,
არ ეშინია ჭირისო,
ჭრისტე ღმერთსა მოგაგონებს,
გამფრთხობი არის ძილისო. (მამაჯი)

აღმკულს რასმე ქმნილებაში
ერთი რამე განძი დევსო,
მუდამ მატობს, არ კლებულობს
შიგ, სახელი არ ადევსო,
ვინც იუნჯებს, ვერც ის ნახავს,
ვერც სახარჯოთ მიჰყოფს ხელსო,
გამოღება არვის ძალ უძს,
თვით აღირჩევს მოსვლის დღესო. (არ-
სუდი ქადის ბავშვი).

ასომა საქონლისამა,
ვაზმა ვენახისამა
კაცი მართალი
შეაწუხა. (ურეებმა რამ იესო ქრისტე არეული
ნადგუდისა და ძმრის სმევით შეაწუხეს)

ბ

ბაღჩაშია გადვიხედე,
მწვანეთ იყო ამოსული,
ღობიღვან ხელი შეგყავი,
გამოვიღე გაპარცული. (კიტრი)

ბელტი დევს - მიწა არ არი,
ბალახს სჭამს — ძროხა არ არი,

კვერცხს დებს—ქათამი არ არი,—
გასაკვირველი არ არი?! (ციცაჩი)

—

ბოძი, ბოძი, ბოძანძგარი,
ზედ გუდა და ზესა-დგარი,
ზედ იკრიჭი, ზედ იქყიტი,
ზედ ქალა-ქულა მთა არი. (ადამიანი)

3

გაფრინდა შარავანდედი,
ვითა ლამპარი ენთება,
ცეცხლი აქვს ნაპერწკალისა,
აბედს არ მოეკიდება. (ციცინათეჯა)

—

გამოცანას მოგახსენებ,
გამოცანას ვარგებულისა:
სახლ-პატარა ჯალაბობას
ოქროს ფერათ ჩაწყობილსა. (ფუტკარი)

—

გამოცანას მოგახსენებ,
დიდი არაფერიაო:
ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ,
ალაგ ლალის ფერიაო. (საღიჩა)

—

გარეთ ატლასი,
შიგნით ათასი. (ბრწყეული)

—

გაუთლელი ჩხირი,
დაუფქვაფი ფქვილი,
შეუკერავი ტომარა. (ფშატი)

—

გომი ვგავე,
ვერ დავგავე. (ცხვარი)

გახტა რკალი,
გაპყვა ჯარი. (კრუხი და წიწილები)

გამოცანას მოგახსენებ,
ღვთის დიდებას ერთსა მეტსა:
— ვინ იყო, რომ არ ენახა
არც ქვეყანა, არცა ზეცა,
უხილავათ ეცნა ღმერთი,
სული წმიდა, მამა, ძეცა,
სიყვარულის მკრთალი იყო,
მაცხოვარსა თაყვანი სცა? (იოანე ნათლის-
მცემელი და ღვთისმშობლისა და ელისაბედის
ნახვა)

ღ

დედასა შეილი მოვტაცე,
სხვას მივაბარე ეუღლსა,
შევკარი, შევაკოჭოქე,
თავი მიუგავს სნეულსა. (ნამუენი)

დიდ მინდორში დავინახე
დიდი ოზურშაო,
თავით ღმერთსა ეხვეწება—
კუდით კვანტრუშაო. (აქლემი)

დავკეცე ფარის ოდენზე,
გავშალე ქვეყნის ოდენზე. (თვალები)

დედა—წლისა,
მამა—ნახევრისა,
შვილი საბარავად
მიდი-მოდიოდა. (დოქი და გოჭი)

დავაბამ—დაიარება,
ავუშვებ და გაჩერდება. (ქაჯაბანი)

დავდგი ტაფა,
დავდე ღუმა,
დადნა ტაფა—
არა ღუმა. (ქაჯაბანი)

დათვი იჯდა, ხროხინობდა,
ბასკუნჩეღა ბანს უმბობდა. (წისქვილი და
სარეკეკა)

დედა მისი—ბრანძი-ბრუნძი,
მამა მისი—ავი კაცი,
ძმისწულები—ლამაზები,
კაცის კლდეზე გადამგდები. (ვენახი უურ-
ძენი და ღვინო)

მ

ერთი გმირულათ ნაზარდი,
სიჭრელე ახლავს ვეფხვისა,
სახლი უდგია ისეთი,
ცეცხლი ვერ დასწავს მებისა,
სული არ მიედინება
თივა-ბზისა და ნეხვისა. (ოჩაგუჯი)

ერთი რამე სულიერი
ტურფათ იღებავს ყელსაო,
იმის ყელის მოღერება
მთლად დააშვენებს თემსაო,
სასიკვდილოთ სახლს იშენებს,
შეეფარება ბნელსაო. (ყაჭის ჭია)

✓ ერთი სტუმარი მესტუმრა,
მის დღეში უსტუმრებელი,
სასმელ-საჭმელი მივართვი—
სუფრაზე დაუდებელი. (ბავშვი ჭ ქუძუები)

ვევი ვვისა,
ხტომა დევისა,
ხმა საზანდრისა,
ქერქი ვერხვისა. (ბაყაყი)

ერთ სოფელში ორთა ძმათა
ორთავ ერთი ტახტი აქვსო,
ერთი მუდამ სიყმეზე დგას,
ერთს სიბერე ახლო აქვსო,
ერთს მრავალი ჯარი ახლავს,
ერთს კი მარტვა ტახტი აქვსო. (მზე და
მთვარე)

ერთი რამე სულიერი
მინდორს გავა მკალივითა,
ფარაჯასა წამოისხამს,
ხმას გაუშვებს ზარივითა,
გლეხი კაცი შეინახეს
მარგალიტის თვალივითა. (ცხვარი)

ერთი სახლი მაქვს ასეთი,
კაბა-კიბემდინ ნაშენი,
შიგა ვჯივარ და ვიმღერი,
გარეთ არა მაქვს სარბენი. (ზაჩა)

ერთი რამ არი უსულო,
სულიერისა მშობელი,
შვილსა შობს, დედა მოკვდება—
ძვირია გამომცნობელი. (კეკელა)

ერთი რამ არი წითელი,
ძირთავან ამოსულია,
ძვლის კუბო აქვს და შიგა ჯის,
არსზედაც გადასულია,
ავი და კარგი მისგან გვჭირს,
მწარე და გემრიელია. (ენა)

ერთი რამ არის საწყალი,
მალლა გაუდის ცანცარი,
ნეტავი გამაგებია,
რა არი მისი საგზალი? (პეპელა)

ერთი რამე სულიერი
არის ორბისა მსგავსია,
თავი მიუგავს პილპილას,
გულზე ჯაგარი ასხია;
ბოლო მიუგავს ბორბალსა,
იმათი გვარი ასეა. (ინდოური)

ეგერ, ეგერ მთაზედაო,
კურდღელი ჯის ქვაზედაო,
მივედი და შამოვკარი
მუჭუტუნი ყბაზედაო. (სახეჩედი)

ერთი რამე სულიერი
დაიარება ბლოჭვითა,
შვილებს ფეხებზე დაიზდის,
დაიარება კოჭვითა,
ვინც ამასა გამოიცნობს,—
ხვალ გავუხსნილებ გოჭითა. (აბობია)

ერთი თხა მყავდა ელაო,
ზურგზე ეკიდა ენაო,
მისი სიტყვა და პასუხი
ქვეყანას დაეჯერაო. (სასწორი)

ერთი რამ არი სულდგმული,
უსუსური და უძლური,
თავსა ჰყოფს თვალი ემსება,
მიწას რომ უწყოა ჯუჯგური. (მუღა)

ეს ჩემი ცხენი სოსანი,
სოსანზე უფრო სოსანი,
წავა ინდოეთს წყალს დაღვეს,
ისევ მომივა ცოცხალი. (მერტხაჯი)

ერთი დედა ზდის შვილებსა
დიდსა, პატარას, წვრილებსა,
დაზდის და თვითონვე დასჭამს,
კიდევ ილესავს კბილებსა. დე (და-მიწა)

ერთმა რამე უსულომა
(მას არა აქვს განი, სიგძე)
შვილი იცის მრავალ რიგი,
მას არა ყავს ქმარი, სიძე. (წეაღი)

ერთად ორი მეზობელი
დაბადებიდგან არიან,
ახლოს არიან დემურათა,
ერთმანეთს ვერ მიხვდებიან,
ამ წამში რომ აქ არაან,
იმ წამში გაფრინდებიან. (თვალები)

ერთი რამე სულიერი
მიწა-მიწა ზძრომელია,
კარგი ვაჟი-კაცისათვის
თავზე წამომდგომელია,
სამჯერ გეტყვი მის სახელსა,
თუ მიხვდები რომელია? (შეჯია)

ერთსა აღვისა ხეზედა
თორმეტი ტოტი გძელია,
ოთხ-ოთხი თხილი აბია —
გამოსაცნობათ ძნელია,
შვიდ-შვიდი კურკა შიგ უდევს,
ახალია და ძველია,
ამისი გამომცნობელი
ქკვიანი და ბრძენია. (წეაღი)

ერთი რამ არის ცაშია,
ქვეყანას არა ჰქონდაო,

შეგირდმა მისცა ოსტატსა,
ოსტატს-კი არა ჰქონდაო. (იფანესგან
ქრისტეს მონათვლა)

ერთი რამე სულიერი
აჯის ბროლის დანადარსა,
სამ კვირესა და სამ დღესა
გამოიყვანს განა მკვდარსა. (კრუხი)

ერთი რამ სულიერია —
უმიწოთ გაიზდებისო,
მოხვნა მოთესვა, მონერგვა —
არც ერთი მოუნდებისო. (იშმის რქა)

ერთი რამე ვნახე —
ეშმაკისა სახე,
მალლა-მალლა დადიოდა
ძირს დაედგა მახე,
წვრილი ჩიტი გაბმულიყო,
ჩემი თვალით ვნახე. (აბაზია)

ვეი ვვისა,
ფეხი დევისა,
ხმა ზურაბისა,
ხტომა ვერძისა. (ბაყაყი)

ერთი რამე სულიერი
თავსა იწვევს ყადივითა,
ცეცხლი სძულს და შეშა უყვარს,
მხდალი არის ქალივითა,

მე მინახავს თავადები—
დაჰყვებოდენ ყმასავითა. (ირეში)

ერთი რამცა,
თეთრი რამცა,
თეთრად გადაპენტილამცა,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს —
თხაც არის და ბეცი რამცა. (ცა)

ერთი რამე კარგ-კეთილი,
კარგ-კეთილს თავს მოაწონებს,
უარგისი ემდურება,
მახინჯს-კი თავს მოაძულებს,
გაუცინებს, გაგიცინებს,
ხარხარისგან არ ისვენებს. (საჭკე)

ერთი რამე სულიერი
ფრთოსანი, ორ ყუროსანი,
უკვერცხოთ სმიდის მშობელი,
ვით რომ ირემი ხმოსანი,
ამისი გამომცნობელი—
ჭკვიანი და მგოსანი. (შეღამურა)

ერთი რამე სულიერი
კუდიანი და ჭრელია,
ქათმის პატარა შვილისთვინ
სინსილას გამწყვეტელია. (გაჭკაჭი)

ეო, მეო, დაგრეხილო ხეო,
საიქიოს ცხონება ხარ,
სააქაოს სინათლეო. (სანთელე)

ერთი რამ უცხო ფრინველი
მთას მიადგება გმირულათ,
თავს ხურავს წითელი ქუდი,
ტანთა აცვია ბებრულათ,
მას თავის პირი ცუდათ აქვს,
ახალი გამოპირულათ,
ხმელს დაჰკრავს ნედლი, გამოაქვს
მას თავის სარჩო გმირულათ. (კოდაძა)

ერთი რამ უცხო მავალი
გვერდით ჩნდა, გამოკვირდაო,
თუ გავიქეცი გამომყვა,
დავდექი, დადგმა ისაო;
თუ ხელში ავიღე რამე,
მან ბარგი აიკიდაო,
თქვენი ჭირიმე, მიშველეთ,
ეს რა გადამეკიდაო! (ჯანდი, აჩრდილი)

ეს შავი ცხენი ნეფისა,
ჩქარა ამღები ფეხისა,
ლაგამს ვერავინ აუღებს
ერთი ამ ჩვენი ქვეყნისა. (რწეილი)

ერთი რამ არს გასართობი,
რიცხვითა ოცდა ათობენ,
მუსაიფსა მუსაიფზე
ზედი-ზედა დააცხრობენ,
მიკვირს, რატომ არ ებრაღვისთ,
ზოგსა კვლენ და ზოგს აშთობენ,
მამაცურათ ვინც ვერ იგებს,
უგნურებას მოუთხრობენ. (ხაჩდი)

ეწერს ცეცხლი უკიდია,
მუხას ებრიალება,
თუმც არა სწვავს,—მთელს მიდამოს
ნათლათ ეკრიალება. (ცისარტყელა)

ერთი რამ არის უსულო,
მშვენიერ მუცელ-ყელითა,
თავზედა ცეცხლსა დაიდებს,
გვაკვირვებს მისის მზერითა,
ლაპარაკობს და არ ესმის
ნეტა რა რჯული ენითა! (წარგიდა, თათ-
რული ჩიბუხი)

ერთი რამ სულიერია,
შორე მომკრეფი ვარდისა,
ჯერეთ ღვთის მოსამსახურე,
მერე ყოველი კაცისა. (ფუტკარი)

3

ვერ გამომჭრის კარგი მჭრელი,
ვერ შემკერავს ხარაზიო,
აღის ფერად ავყვავდები,
ხელთ დამიჭერს ლამაზიო. (ჭიქა ღვინით)

ვიწვი, ვდნები და ვიდაგვი
საიდუმლოებას ვინახავ. (ღუქი)

ზ

ზევითა მთა მამითოვა,
დაბლა ბარი მამიწათხა,
შორ მიმავალი სტუმარი
ერთობ ახლოს დამისახლა,
ორი ოთხათ გადამექცა,
მუშაც სულ მთლად დამითხლიშა. (სიბერე)

ზამთარ-ზაფხულის ურწყული
ზამთრობით შინაურია,
ტანსა აცვია ეკალი
გაიხდის—დაბრაწულია,
ზოგს წაიღებენ ქალაქში,
ვერ იცნობთ—სადაურია. (წახლი)

ზევიდგანა მოწიწინობს
კაბა-კუბა ქრელოსანი,
ყველა იმას დაედევნა
ქვევითი და ცხენოსანი. (მწევერი)

ზევიდგანა მოფრინავდა
უფთო, უფეხო, უყურო,
ვეტაკო? როგორ ვეტაკო?
არა და როგორ ვუყურო? (ბურთი)

თ

თუ არ ვარ—გულით მელიან,
თუ მოვალ—მემალეებიან. (წვიმა)

თავს მოვჭრი, ენას ამოვთლი,
წყალს ვასმევ, ვალაბარაკებ. (კალამი)

თავს ხერხი,
ბოლოს ნამგალი, (მამალი)

თეთრი არი თოვლივითა,
გამსრველია ქონივითა,
ფხვიერი მიწასავითა. (ცარტი)

თხა და ძროხა დაძმობილდა
ლორის შუამავლობითა. (მაჭიკი)

—
თავი ბუს უგავს,
ფეხი წალამსა,
ნახტომი — დევის ქალასა. (კაჯია)

—
თეთრი რამ არი ვარია,
წყალს დააქვს, როგორც გალია. (ქაფი)

—
თავ-შიშველი,
ტან-შიშველი,
სახელს გეტყვი,
ვერ გიშველი. (შეკელი)

—
თეთრი ხნული,
შავი თესლი,
თესლი მთესავს ეუბნება. (წეჩაღი)

—
თეთრად დავიბადე,
წითლად ავიზარდე,
შავათ დავბერდი. (მაყვავი)

—
თავი ქვის,
ტანი ხის,
ფოთოლსა სქამს,
ნაცარს ყრის. (ყაჯიფნი)

—
თეთრი ფქვავს,
წითელი ურევს, ✓
ურწმუნო უძახის:
აქ ჩამოდიო. (კბაღები, ენა და მუცელი)

თავზედა ჯილა ადგია,
მორთული მეფესავეთა,
ფეხებზე დააქვს დეზები,
ცხენზე მჯდომ მხედარივითა,
ყოველ კაცს ადრე აღვიძებს
ერთგული დარაჯივითა. (მამაჯა)

თემ-თემად მოდის ლაშკარი,
მოვა და მოიქცევისა;
ყრია უწყალოდ დაჭრილი,
სისხლი არ დაიქცევისა,
ღმერთმა ეს მოგვცა საზრდელად,
თუ კაცი მოიქცევისა. (ზურას მკა)

თავსა და ბოლოს იქნევდა
და ტანსა უჩინარისა,
ყვითელი ვარდის დედაა,
შვილისთვის შეინახოსა,
ვაი, თუ ფეხი წამოკრას,
ვაგლახი დაემართოსა! (სადღკებუჯი)

■

ინადირეს და გაიგდეს
მეფეთა და ხელმწიფეთა,
გამოუდგენ სუყველანი,
არ იზოგდენ ხელთა-ფეხთა,
ნაკრავსა ბევრსა აიტანს,
სისხლსა არ იდენს ჩქეფითა.
ბოლოს ჟამს მალლა წავიდა,
ძალლიც ვერ მისწვდა ყეფითა. (ბურთი)

იფლიფიონის საყდარი
იფლიფიონს ეუმბება,
შევხედე და შეჟომხედა,
პასუხს არას მეუმბება. (საჩკე)

ბ

კრიჭი, კრიჭი, კრიჭინასო,
მკვდარი ცოცხალს იჭირავსო,
ღმერთო, კითხე კრიჭინასო,
რავა ტყვილათ მიჭირავსო! (ბარკიჯი)

კიკლი, კიკლი, კიბესაო,
როსტომიანთ ციხესაო,
ზედ კურდღელი შემომჯდარა,
აწკაპუნებს ყურებსაო. (ზაჩა)

კაჭკაჭმა კაჭკაჭურამა
მზენი დასჭრა და მთვარენი,
მისმა პატარა ძმისწულმა
ზედ მიაკერა არენი. (მაგრატეჯი და ნემსი)

კამსი, კუმსი, კამსარასო,
ნადირობს და ჭამს არასო. (თფფი)

კვნესის და არა სტკივა რა,
ეძებს და არა დაკარგვია რა. (ჯგრი)

კაცი ყანასა სთესაედა
ბრძენი და გულის ხმიერი,
გუთანი ქონდა ჩაღისა
და ხარი მისი ძლიერი,

გვერდს ედვა თვალის ნაფქერი—
შავი კუპრისა მიერი,
მით ხალხსა უნდა ვშველოდეთ
ყოველი ადამიერი. (სამწერლო იარაღი)

ლ

ლალის ფერთ ავყავადები,
ხელს დამიჭერს ლამაზიო,
ვერ გამოძქრის კარგი მქრელი,
ვერც შემკერავს ხარაზიო. (ჭიქა ღვინათ)

მ

მე რომ ღმერთმა გამაჩინა,
ხმელეთად დავიარები,
მთა-ბარი ჩემით ცახცახობს,
ზღვაზე გამიდის გრიალი,
ბევრსაცა შევენატრები,
ბევრსაცა მივეც ზიანი,
არავის შევებუები,
თუნდ გზაზე დამხედენ ხმლიანი. (ქარა)

—

მალლიდგანა წამოვიდა
უთვალავი, ბჟირივითა,
ნაყოფი მიწას დააგო,
შამოგვიხტა ქირივითა,
ვხედავდით და ვერ ვშველოდით,
ყველა დაგვსვა ტირილითა. (სეტყვა)

—

მოდგა და მოდგა ჩაჩკანი,
მოდგა და მოიყარაო,
უჩხუბრათ სისხლი დაიქცა,
უომრად გაიყარაო. (წურბული)

მინდორს დადგება ლაშქარი,
დადგება, არ იქცევისო,
შეებმიან ამოსწყვეტენ,
მრავალნი წაიქცევისო,
უწყალოთ ყრია ლაშქარი,
სისხლი არ დაიქცევისო. (შკა)

მალლიდგანა ელჩი მოდის,
პირი აქვს და ენა არა,
ორი ღუმა მივუტანე,
წვენი ჭამა, ფოჩი არა. (ბავშვი)

მალლა ვჯივარ ბაქანზედა,
წვერი მცვივა კალთაზედა. (სახეხელი)

მალლიდგანა წამოვიდა
კაბა-კუბა ქრელოსანი,
ყველა იმას გამოუდგა —
ქვეითი და ცხენოსანი. (მწეკი)

მალლიდანა წამოვიდა
შავითა და ბნელითაო,
ზოგსა გული შეუწუხა,
ზოგი ელის ღხენითაო. (დრუბელი ჭ წვიმა)

მე მშვა მამა ჩემმა უდედლოთ,
მე ვშვი ცოლი ჩემი,
ცოლმა ჩემმა შვა ასული ჩემი,
ასულმა ჩემმა შვა მამა ჩემი. (ადამი, ევა,
დუთისმშობელი და ქრისტე)

მე ძმა მყავს შავი სახისა,
არ არს ჩემი დედ-მამისა,
ხან კვდება და ხან ცოცხლდება,
არის სხვა-და-სხვა ტანისა. (ჯანდი)

მიწაში დაბადებულა,
შორის მხრიდანაც მოსულა,
მაგრამ ერთ წამზე გამქრალა,
როცა წყალზე დაცემულა. (მარჯი)

მალლა შევდევნი—ქვა იყო,
ჩამოვიღე და სხვა იყო,
წყალი უყვარდა—თევზი არ იყო,
კვერცხს დებს—ქათამი არ იყო,
გამოიცანით, რა იყო? (კუ)

მე მალლობაზედა მინახავს
ზანზალა დაკიდებული,
მე ზანზალიდან მინახავს
მე ხმელი გამოღებული,
მე ხმელიდგანა მინახავს
მე ნედლი გამოღებული,
მე ნედლიდგანა მინახავს
მე წყარო გამოდენილი,
მე წყაროდგანა მინახავს
სამოთხე განათებული (კაკალი ჯეხანი და
ზეთი)

მე ერთი რამე მინახავს
გათლილი წმინდა ქვისანი

გარშამო შამოსხედლი
ოქრო, სპილენძი რქისანი,
ბერს სინათლეს მოუმატებს,
სარგო თუ ნახა მისანი,
თუ არა— უქმად ჩაუვლის,
ფიცი არ უნდა ღვთისანი (სათვაჯე)

6

ნადირი რამე მინახავს
უფთო, უნისკრტო ფრინველი,
სახლი აქვს ცეცხლი ვერ დასწვავს,
ძნელია მისაგნებელი,
ყოველი კაცი მას დასდევს
ერის კაცი და მწირველი. (თეგზი)

ნეტა რა არი მისთანა,
ამომავალი მზისთანა?
წყალში რო ფეხი უდგია;
იმ ოქროს ჩარდახისთანა. (ცისარტყეჯა)

მ

ორი ოროლასო,
ოთხი კოლოლასო,
თერთმეტი კელენჯარასო,
არც ერთი ნაპერწკალასო. (ძუძუები, ცხვა-
რი, ძრახა, ღერი და ქათამი)

ორბი ორბის ოდენა,
თავი კოჭბის ოდენა,
გადმოდგება დაიძახებს:
„მე ვარ ქვეყნის ოდენა.“ (ბუკი)

ორი ფრინველი ჯდებიან
დაბადებიდან ჩემთანა,
ამ წამში გაფრინდებიან,
ამ წამში მოფრინდებიან,
სხვისას გაშინჯვენ ჯავარსა,
თავისას ვერ მიხვდებიან. (თვალები)

ოთხით დავიწყე,
ორზე გადვედი,
ორმა მიმტყუნა —
სამს ვანდე ბედი. (სიუმე, სივაჟაკე, სიბერე)

ორი რამ ერთათ ჭიდაობს,
თავს ახლის ორივ მწარეთა,
წითელი არის ლალივით,
იცის ყოველსა მხარესა,
ყველა მითი მხიარულობს,
თამაშობს მომლიმარეთა. (წითელი კვერცხი)

3

პატარა რამ კურტანია,
ახლოს ჭვირთის მომტანია. (კოვზი)

პირველი იყო მამაჩემი,
შემდეგ დედათ მოვექეცი,
ჩემი გაზდილი ყმაწვილი
დედაჩემსა ქმრათ მივეცი. (მამა იყო დაზა-
ტიმრებუდი, ქალიშვიდი ნასვის დრას თავის
ძუძუს აწოკებდა და ამ გვარად დაიხსნა შიმ-
შილისაგან)

პატარია ველიაო,
ყველას საყვარელიაო. (ფუფი)

პატარა კელენწუტაო,
კედელზე მიესკუპაო. (საბუღაძი)

პატიოსანსა თვალსა გავს,
საუნჯეთ არ ჩაითვლება,
ამისი გამომცნობელი
სოლომონ ბრძენი იქმნება. (ციცინათელა)

რ

რა არი—გვარი არა შობს,
არც ოდეს გადაშენდების,
რა სხვა-სხვა გვარსა მიუდგეს,
მით იშვეს მითი შენდების,
რა ზომც პატივი მიაპყრა,
მამა არ დაუშვენდების,
როს გაიზდება მაშინა
ზურგი არ შეუსვენდების? (ჯორჯი)

რძესავით ტკბილი,
ნაღველივით მწარე. (ენა)

ს

სამი ასი, სამი ოცი,
სამს დაადევ კიდევ ორი,
მას ორმოცდა რვა მიმატე —
შეიქნება ესეც სწორი,
თორმეტია ყველა ერთად,
არ გეგონოს არვის ჭორი,
ექვსა შეიქმ ფალალათსა,
ექვსს მოიხვი გვერდზე ჭონი. (წელიწადი)

სული არი ღვთისა,
მუცელი აქვს ცხვრისა,
სოფელ-სოფელ ჩამოივლის,
ყველგან იღებს მინდსა. (მესტვირე)

სივაყვაცით მობურძღული
სიბერეში გამართული. (გვიმრა)

სახლი ავაგე ხისაო,
არ არის ნაფოტისაო,
შედიან და გამოდიან —
ბძანება არის მღვთისაო,
იმათი ნამუშავარი
მარგია ცოცხალ-მკვდრისაო. (ფუტკარი)

სუსტი, მსუშუქი ფრინველი
არ ითხოვს სასმელ-საჭმელსა,
კაცსა საზღოსა უტკბილებს
და ღმერთსა უნთებს სანთელსა. (ფუტკარი)

სახლი დავდგი უსაძირკვლო,
მდიდართაგან მოღებული,
ხან შეკრული, ხან გახსნილი,
ხან მგზავრი და ხან დებული (ბამბის კა-
რაჯი)

სახლი ვნახე უნათლესი,
ღვთისგან ჩვენთვის მინათენი,
შიგ ტახტი დგას მოკაზმული,
მძიმე სტავრით მონათენი,
ზედ მეფე წევს მოსვენებით,
სასოებით მინათენი,
თავ-შიშველი მსახურებენ
ერი, მღვდელი და მეფენი. (საყდარი)

ტ

ტყეში დავიბადე,
ტყეში გავიზარდე,
შინ რომ მოვედი,
კუკუ დავიძახე. (რადინი)

ტანი უდნება და გული ეწვის,
სადაც მინახავს, ყველგან ბნელს ებძვის.
(სანთელი)

ტახტი იჯდა ტახტაზედა,
ბღღვირს იყრიდა კალთაზედა. (წისქვილი)

უ

უცხო სტუმარი მეწვია,
მის დღეში უსტუმრებელი,
სასმელ-საჭმელი მივართვი,
სუფრაზე დაუდებელი. (ბავშვი)

უნნავ-უთესად მოსული,
ზამთარს მიწაში სძინავსო,
თეთრი პერანგი აცვია,
თავი მიუგავს ინასო,
დიდი კაცის ჭამაშია
საინებზე დაგლინავსო. (სოკო: ნიუვი)

უთვალო იყო—მიყვარდა,
გათვალთანდა—შემძულდა. (ფეხსაცმელი)

უსულო არის ორსული,
სულიერისა საშობათ,
დედა კვდება, შვილი რჩება,
ძნელია გამოსაცნობათ. (აბრეშუმი)

უცულოთ და უნაჯანოთ
სახლი მოხარატებული,
შიგ ჯის უქულო ვაჟკაცი,
ულვაშ გაწიკინებული. (ლექსები)

უცხოდ მოვიდა ლაშქარი,
უცხო მისითა სახითა,
ხან არის უნგარიშო,
ხანაც ვერავინ ვნახითა,
არც მოედების მას ბადე,
არც დაიჭირვის მახითა,
ბრძენი, იმათი მცნობელი,
ბევრი ვერავინ ვნახითა. (ვახსკვლავები)

ფ

ფაჩა-ფუჩი, მიქელაო,
გამოხტენი შიშველაო. (სიმინდის ტაჭო)

ფრთები აქვს და არა ფრინავს,
პირი აქვს და არა გმინავს,
უფეხოა, მაგრამ დარბის. (თეფზი)

ძ

ქვეყნის ჯარი ლაშქარს მიდის,
შენ რას შვრები, კინკარაო?
— ჩოხა, ჩაჩი, მივატოვე,
გადმოვევარდი ტვლიბანაო. (ნიკვზის კაკალი)

ქვეყნისა მოანგარიშე
ჩხირებზე ჩამოცმულია,
ვაჭრის მონა და ერთგული,
სოფლისა გამღვარძელია,

ზურგზე კიდია გროშები:
თუმნები, მილიონია,
ფასად კი ბევრად არა ღირს,
ადვილი საშოვნელია. (სახანგაჩიშო, „ჩოთ-
ქი“)

ქოთქოთამ დაიქოთქოთა,
გარს შემოისხა შვილები,
არც არის მისი შვილები,
არც არა შვილი-შვილები. (მღვდელი)

ქვეყანას გასწვდა,
ჭურის თავს ვერა,
სუყველას უნდა
იმისი მზერა. (ფული)

ქვესკნელში დაბადებულან
ორი ძმანი თეთრ-ყვითელი,
ჯოჯოხეთში მონათლულან,
ამოსულან გაწმენდილნი,
ვაჭრებად გადაქცეულან,
არიან ქვეყნის მყიდველნი,
იმათ მოყვრობენ ყველანი—
ბებერი გინდა ყმაწვალნი. (ოქრო და ვერ-
ცხლი)

ღ

ღმერთმა ბრძანა და კაცმა თქვა:
„ღვეს შევაბათ უნაგირი,
არცა უნდა თივა-ქერი,
არცა ლაგამ-უნაგირი.“ (ნაფი)

ლორს კოჭამდინ ვერ შეწვდება,
კაცზე უმაღლესი არის. (ქუდა)

ლორია, ღორღომელია,
მიწაში ჩამძრომელია,
სამჯერ გეტყვი იმის სახელს,
თუ მიხვდები რომელია? (მეღია)

ლორი, ღორი, ღორღომელი,
ტან-დაბალი საქონელი,
გარეთ გავა, გასუქდება,
შინ შემოვა, შეწუხდება. (ტიკჭორა)

ჟ

ყველა ხეში ნაქები ხარ,
ხეო, მაგრამ რავარ ხეო,
ამ სოფლიურათ უძლოურო,
საიქიოს სამოთხეო,
მეფისა და დედოფლისა
ყელზე ხელის გადამხვეო! (გენახი)

ყოველ თვისა და თვის თავზე
ბარდათ ამოდის კლდის თავზე. (მთვარე)

შ

შიდი ფიცარი—
შეფიცებული, შემტკიცებული,
ვერც გახსნის მეფე,
ვერც მისი ჯარი. (დიდ-მარხვა)

შიგნით გული-გურგუმალი,
გარეთ კანი ატლასია,

მას რომ ჯარი ახვევია,
მაჩხუბარი ათასია. (წაბღი)

შავია — ყვავი არ არი,
თეთრია — ყველი არ არი,
კული აქვს — თაგვი არ არი. (ბოლფაქი)

შავი არი შაშვივითა,
იკბინება ძაღლივითა,
გაძღება და გაგორღება
კულა მეძებარითა. (წურბეჯი)

შავ მიწასა მიაყრიან,
მწვანეთ ამოუა ძირი,
შტო მრავალი გაეზღება,
ფოთოლი აქვს მეტად ხშირი,
მწვანე, მკვახე ხილი იცის,
საჭმელია მეტად გრილი. (კატრი)

შიგნით ოქრო,
გარეთ ვერცხლი. (კვერცხი)

შავი რამ აყლაყუდაო
კედელზე აეყუდაო. (ჯანდი)

ჩ

ჩემი შავი საიდუმლო
უნდა ვანდო მაგ შენს გულსო,
თუმც კი ვიცი, ყველას ეტყვი
მინდობილს და დაფარულსო. (ქადაჯდი)

ჩვენ ხუთი დანი ვიყავით,
არც ერთს არ გვექონდა ზდილობა,
იმ თავიდანვე თან დაგვეყვა
ერთი მეორის ცილობა. (წინდისხეობები)

ც

ცეცხლია ნაპერწკალისა,
აბედს არ მოეკიდება,
აძისი გამომცნობელი
მეცნიერათ ჩაითვლება. (ციცინათეკა)

ცოცხალია—ბალახსა სჭამს,
მოკვდება და ღვინოსა სვამს. (ტიკი)

ცოცხალი ურტყამს,
მკვდარი ღრიალობს. (ზაზის რეკა)

ძ

ძირს მახია ორი ტოტი,
ზევიდან ვაჯივარ ხესა,
დიასახლის ვეხმარები,
სამოსლისთვინ ვაქნევ ხელსა,
შვილო, შვილო, ავაგროვებ,
შესაწმახნად ერთად ძმებსა. (სამხსველი)

ძაღლი წევს და კუდი ღრინავს. (ჯაჯა)

ძირი მიწას,
შუა საბძელს,
თავი შენს
მკვდარსა და ცოცხალს. (შური)



წყლის მშვილდი და წყლის ისარი
მოხვდა ჯირკს გადააბრუნა. (წისქვილი)

✓ წინ ზურგი, უკან მუცელი. (კანჭი)

წელი ხის—ტოტის ნაჭერი,
თავი მიწისა აბია,
თუ კაცი ხელს არ შეახლებს,
მას სული გაუნაბია,
მწარე ბალახს სჭამს ცეცხლითა
ზოგჯერ, ვით გველეშაპია,
პირით და კუდით ბოლი სდის,
ძვირიც არ არი, იაფია. (უაფიანი)

წითლათ ავლაჟღაჟებულვარ,
ათი კაბა მაცვიავ,
ქარმა რომ წამამიბეროს,
სწრაფათ ყველა გამცვიავო. (უაჟანა)



წიგნი

ფ ე ი ქ ა რ ი

(ზღაპარი, ჩაწერილი მ. როსტომაშვილისაგან)

შაჰაბაზი თავის ქალაქში შინჯავდა ხალხსა. სხვა-და-სხვა ტანისამოსს იცვამდა. ერთხელ უყურებდა თავის პალატიდამ ხალხსა. ნახა, რომ ერთ სახლში მუდამ ღამე სანთელი ანთია; შუა ღამემდინ ყველანი იძინებდნენ და იმას კი ისევ ენთო სანთელი. შაჰაბაზმა უთხრა თავის ვეზირსა: ერთი ვნახოთ, ის რაკაცია, რომ ამ დრომდინ ფხიზლობსო. ჩაიკო თითონ ფარეშის ტანისამოსი და ვეზირსაც ჩააცო. მივიდნენ იმ კაცის სახლში და უთხრეს: ჩვენ შორი გზიდან მოვდევართ ო თუ შეიძლება, ამაღამაქ შეგვიწახეო. — მობძანდითო, დაუძახა სახლის პატრონმა. შევიდნენ და ნახეს: ერთი მოხუცებული ფეიქარი მოთხრილში ზის და ქსოვს. ესენი დასხდნენ. უთხრა შაჰაბაზმა: რატომ ყმაწვილობისას არ იღვაწე, რომ მოხუცებულხარ და ეხლა სწვალობო? ფეიქარმა უთხრა: ბევრი ვიღვაწე, მაგრამ ოცდა თორმეტს ვერ გადავარჩინეო. ვეზირსა ჰკითხა: ოცდა თორმეტი რა არისო? ვეზირმა უთხრა: კბილები არისო. ადგნენ და წამოვიდნენ. მეორეს დღეს დაიბარა ფეიქარი და ერთი ქისა ოქრო მისცა: წაიღე ეს ფული, დახარჯე და როცა გამოგელიოს, ისევ მოდი, წაიღე და ღამე აღარ იმუშაოვო. გამოართვა და წაიღო. შინ მივიდა. ცოლს ერთი სტუმარი ჰყვანდა და იმასთან ვერ გამოაჩინა ფული; რამდენიმე ამოიღო ქისიდან და ნარჩენი ნაგვის გოდორში ჩაფლა ქისიანათ და თითონ ბა-

ზარში წავიდა. მანამდის ის ბაზრიდან დაბრუნდებოდა, ცოლმა აჰკიდა ეს ნაგვის გოდორი და გადააყრევინა ნაგავი. მოვიდა ფეიქარი და ჰკითხა ცოლსა: რა იქნა გოდორიო? ცოლმა უთხრა: გადასაყრელათ გავგზავნეო. მაშინ დაჯდა ფეიქარი და დაიწყო ისევ მუშაობა. შაჰ-აბაზმანახა, რომ ისევ მუშაობდა ფეიქარი, დაიბარა მეორეთ და ერთი შემწვარი ბატი, ოქროთი ვატენილი, მისცა და უთხრა: წაიღე და სუფრაზე დასჭერიო. წამოვიდა ფეიქარი და შემოხვდა გზაზე ერთი ურია. — სად იყავი ძმობილოვო? ჰკითხა ურიამ? — ხელმწიფესთანავო. რათაო? — ღმერთმა უშველოს, ერთი ბატი მიფეშქაშაო. ურიამ შეატყო, რომ შიგ რამე იყო და უთხრა ფეიქარს: აბა, ძმაო, ეგ რა გავიხდება, ერთ მანათს მოგცემ და მე მომეციო. აიღო და მისცა მანეთათ. წაიღო ეს მანეთიც შექამა და დაიწყო ისევ მუშაობა. შეხედა შაჰაბაზმა, რომ ისევ მუშაობს, დაიბარა მეორე დღეს და ჰკითხა: ბატი არა სჭამეო? — ერთი ურია შემხვდა, მითხრა: ეგ რა გავიხდება, მანეთს მოგცემ, მე მამეციო, — ავიღე და მივეციო. ჰკითხა ვეზირსა: ამ ოხერს რა უნდა უყოვო? ვეზირმა უთხრა: თუ კი ღმერთს არ უნდა მაგისტვის — შენი მიცემული არ შერჩებაო. შაჰაბაზმა უთხრა: დუქნები უყიდეთო, ქირა აიღოს ღ იმითი იცხოვროსო. — კარგი იქნებაო — უთხრა ვეზირმა. მოიყვანეს ეს ფეიქარი, მისცეს ერთი ყუმბარა და უთხრეს: ეს გაისროლე, სადამდინაც მიუწვდება, იმ დუქნებს შენ გიყიდითო, აიღე ქირები და ჭამეო. ფეიქარმა მოიქნია ყუმბარა, ეცა ერთ კედელს, იქიდან წამოვიდა, მოხვდა თავში და თავი ოთხათ გაუსკდა.



ბ ე ღ ი ს წ ე რ ა

(მასივე)

ერთი ხელმწიფის შვილი ნადირობდა; ერთი წყლის პირას გაიარა, ნახა ერთი კაცი ქალღღებსა სწერს და წყალში ჰყრის. ხელმწიფის შვილმა ჰკითხა: რასა სწერამო?—ცოლ-ქრმობის იღბალსო.—მაშ, რადგან ეგრეა, ერთი მეც დამიწერეო. იმან უთხრა: შენთვის დამიწერია: ერთ ქვეყანაში შვიდი წლის ავადმყოფი არის და შენ ის უნდა შეირთოო. ხელმწიფის შვილმა უთხრა: ეგ მოშალე და სხვა დასწერეო.—მოშლა აღარ შეიძლებაო. დაბრუნდა ნადირობიდან და განიზრახა: წავალ, იმ ქალს მოვკლამ დმ სხვას შევირთამო. ადგა და წავიდა. იმ ქვეყანაში მივიდა, სადაც ის ავადმყოფი იყო, შევიდა-სახლში და უთხრა: მგზავრი ვარ და ამადამ აქ დამაყენეთო.—მოდი, შეილო, სტუმარი ღეთისაო. ამოიღო ერთი თუმანი, მისცა და უთხრა: წადით, რაც მაგ ავადმყოფს იამებოდეს—მოიტანეთო. წავიდა იმ ქალის მამა და ყველაფერი იყიდა. დასხდენ სუფრაზე და ხელმწიფის შვილმა ჰკითხა: რათ არის ავათაო?—არც ჩვენ ვიცითო, შვიდი წელიწადი არის, რაც ეგრეაო.

სუფრა რომ აალაგეს, ხელმწიფის შვილს ცალკე გაუშალეს ლოგინი. იმათ რომ დაეძინათ, მივიდა ხელმწიფის შვილი ქალთან, ასი თუმანი თავ ქვეშ დაუდო, ამოიღო დანა და ყელში გაუსვა, მაგრამ ტყავის მეტი ვერა გასჭრა-რა. ხელმწიფის შვილი გარეთ გავარდა და გაიქცა, ქალმა-კი დაიწყო ყვირილი: „ვაიმე, მომკლესო!“ მაშინ დედ-მამას გამოეღვიძა, აანთეს სანთელი და ნახეს ლოგინი სისხლში მოსვრილი. ქალს ყელი შეუკრეს და ნახეს სტუმარიც აღარ იყო. თურმე ეს ქალი არამი სი-

სხლითა ყოფილიყო ავათ და იმ სისხლის დენამ მო-
არჩინა. გახდა მშვენიერი სახისა. მერე დედ-მამამ
სთქვეს: ეს მტერი რახან აგვიჩნდა, არ მოგვასვენებ-
სო, აქედან ავიყარნეთ და სხვა ქვეყანაში გადავსახლდე-
თო. აიყარნენ და სადაც ის ხელმწიფის შვილი სცხოვ-
რებდა, იმ ქალაქში დასახლდენ, ერთი ქუჩის პირში.
როდესაც ხელმწიფის შვილი გაივლიდა, თვალი ამ ქა-
ლისკენ რჩებოდა. ერთხელ ხელმწიფემ მოინდომა თავი-
სი შვილის დანიშვნა და ჰკითხა შვილს: რომელი ხემ-
წიფის ქალი გინდა გითხოვოვო? შვილმა უთხრა: მე
ხელმწიფის ქალი არ მინდა, ერთი ახლათ მოსული კაცი
არის და თუ მითხოვ იმის ქალს, თუ არა და ჩემ დღეში
ცოლს აღარ შევირთამო. — როგორ იქნება, გლევ კაცის
ქალი შეირთოვო?! — მე მსურსო. — მაშ რახან არა შვრები,
შენი ნება იყოსო. მაშინ წავიდნენ და იმ ახალ მოსულს
ქალი სთხოვეს. იმათ გაუხარდათ, ქალი მისცეს და
ჯვარიც დასწერეს. ხელმწიფის შვილმა ყელზე ხელი
მოუსო და ვაკერილი ეტყობოდა. ჰკითხა: ეგ რა გაქვს
ყელზედაო? ქალმა დაწვრილებით უამბო, როგორცა
ყოფილიყო. მაშინ იგრძნო და სთქვა: მადლობა ღმერთს,
თავის წერას არ ასცდენია კაციო და იმანაც თავისი
ვინაობა გამოუცხადა.

წყნული ცოლი

(მისივე)

ერთი კაცის ცოლს საყვარელი ჰყავდა. ქმარს რაც
მიჰქონდა სახლში, ცოლი სულ საყვარელს აქმევდა. ერ-
თხელ უთხრა ქმარმა: ხორცი რო გამოგვზაენე, — რა უყა-
ვიო? ცოლმა უთხრა: იქნება სიზმარში ნახე, თორემ შენ
აქ ხორცი არ მოგიტანიაო! ეს კაცი დაფიქრდა და თქო:

იქნება მართლა არ მომიტანიო, მეორე დღეს იყიდა. წა-
იღო და უთხრა: მოხარე და ამაღამისთვის შეინახეო.
კაცი წავიდა თავის სავაჭროზე. დედაკაცმა მოხარმა, ზოგი
თვითონა ქამა და ზოგი თავის საყვარელს გაუგზავნა.
ქმარი მოვიდა საღამოზე და უთხრა: აბა, დედაკაცო, პური
მოიტა, მშვიერი ვარო! მოუტანა პური. — კერძიც მოიტანე,
სად არისო? — არ არის კერძიო. — მაშ რა უყავი ხორციო?
— ხორცი როდის მოგიტანიო?! — უთხრა ცოლმა — ესეც
გახდა იმდღინდელიო? ეს კაცი დაღონდა და წამოვიდა.
მეორე დღეს ერთი ცხვრის ბარკალი იყიდა, გრძელ ჯიხ-
ზე ჩამოაცო, ზურნა დაიჭირავა, წინ გაუძღვა, მივიდა
თავის სახლში და დაუძახა მეზობლებს: ხორცი მამაქვსო.
მეზურნეები უკან დაბრუნდნენ. ხორცი შინ შეიტანა და
უთხრა ცოლსა: მოხარე, იქნება სტუმარი ვინმე შემხვ-
დეს და მოვიყვანოო. ცოლმა უთხრა: კარგი, მოვხარმა-
მო. ამ კაცს შეხვდა ერთი შორის სოფლის ნაცნობი
და სტუმრათ წამოიყვანა. ცოლმა პურის ყუთი დასცა-
ლა და უთხრა ქმარს: სტუმარი რომ მოგყავს, რატომ
პური კი არ მოგაქვსო? — წავალ და მოვიტანო. სტუმარი
შინ დასტოვა და წავიდა პურის მოსატანათ. დედაკაცმა
მოიტანა ერთი სიბი ქვა და ცეცხლში ჩადო. სტუმარმა
ჰკითხა: ეგ ქვა რად გინდა, რომ ახურებო? დედაკაცმა
უთხრა: ღმერთმა დასწყევლოს ჩემი ქმრის ხასიათი: რო-
ცა შენისთანა პათიოსან სტუმარს მოიყვანს — ჯერ ამ ქვით
დასდაღამს და მერე პურს აჭმევსო! ამ კაცმა თქვა: არც
პური მინდა მაგისი და არც დადაღვაო, წამოხტა და
გაიქცა. მასპინძელმა პური მოიტანა და ჰკითხა ცოლს:
სტუმარი რა იქნაო? ცოლმა უთხრა: თითო მაგისთანა ავა-
ზაკს შემოათრევე ხოლმე: ხორციც მოიტაცა და ქვაბიცაო.
ეს კაცი დაღონდა, ზურნით მოტანილი ხორცი ვედარა
ქამა და ამ დედაკაცმა კი თავის საყვარელს გაუგზავნა.

გაუმამლარი ცოლი

(მისივე)

ერთი საწყალი კაცი ჯაგებში დადიოდა და შეშას აგროვებდა. იმას შეხვდა ერთი მცურავი გველი და უთხრა: რას დადიხარო? კაცმა უთხრა: რა ვქნა წვრილ-შვილის პატრონი ვარ და უნდა შეშა მოვაგროვო და წავიღოვო. გველმა უთხრა: მე ერთ რამეს გასწავლი და იქ წადი: ხელმწიფეს ერთი სიზმარი უნახავს, წადი აუხსენი და რაც გაჩუქოს, მოიტანე და შუაზე გამიყავიო. — მასწავლეო, უთხრა გლეხმა. გველმა უთხრა, წადი, ხელმწიფე დალოცე და უთხარი: წუხელი სიზმარი გინახამს და უნდა აგისხნა-თქო. გეტყვის: მართალიაო და უთხარი: შენ წუხელის სიზმარში შენს თავზე ხმალი გეკიდა, სხვა ხელმწიფე მოდის შენზე საომრათა და თაღარაგი ნახე-თქო. მივიდა ეს კაცი ხელმწიფესთან და სიზმარი აუხსნა. ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა და ერთი გუდა აუვსო ფულითა და მისცა. წამოვიდა სიხარულით თავის სახლში, მოიტანა და ცოლს უთხრა: ხელმწიფეს სიზმარი აუხსენი და ერთი გუდა ფული მაჩუქა, მაგრამ ვინც მასწავლა, ნახევარი იმას უნდა მივცეო. — ვინ გასწავლაო? ჰკითხა ცოლმა. — მცურავმა მასწავლაო. — შენ ხომ არ გაგიყებულხარო — უთხრა ცოლმა — მცურავს ფული რათ უნდაო?! ამ კაცმა ცოლის სიტყვა დაიჯერა და აღარ წაუღო. ერთი კვირის შემდეგ ხელმწიფემ კიდევ ნახა სიზმარი და დაიბარა ეს კაცი. დალონდა ეს კაცი და უთხრა ცოლს: აბა ეს რა მიყავიო? ადგა და წავიდა გველთან. გველი თავის სოროს პირზე იწვა. მივიდა ეს კაცი და შეეხვეწა: შენი ჭირიმე, დედა-კაცმა შემაცდინა და ხელმწიფე მიბარებს, მასწავლე, რა

ვუთხრაო? მცურავმა უთხრა: ხელმწიფემ რომ გკითხოს, შენ უთხარი: სამი მქლე ხარი გინახამს და სამი წელიწადი შიმშილობა ჩამოვარდება, მოსავალი არ მოვა და, თუ შეგიძლიან, თადარიგი დაიჭირე-თქო. მივიდა ხელმწიფესთან და აუხსნა სიზმარი. კიდენ აუმსო გუდა და წამოვიდა; გამოიარა შინ და უთხრა ცოლსა: ახლა კი უნდა წაგულო მცურავსაო. ცოლმა უთხრა: კაცო, რას გაგიჟებულხარ, მცურავს ფული რათ უნდაო?! აიღე კეტი, მოკალი და სულ ჩვენ დაგვრჩებაო. ეს კაცი მართლა გაბრიყვდა, აილო ჯოხი და წავიდა მოსაკლავათ. გველს რომ მიუახლოვდა, ჯოხი უკან დაიჭირა, — გველმა იგრძნო, რომ ეს კაცი მოსაკლავათ მოდისო და მაშინვე სოროში შევარდა. კაცმა ჯოხი ესროლა, კუდში დასჭრა, გამობრუნდა და წამოვიდა. გავიდა რამდენიმე დღე, დაიბარა ხელმწიფემ და უთხრა: სიზმარი მინახამს და უნდა ამიხსნაო. ამ კაცმა უთხრა: ხვალამდინ დამაცადეო. წამოვიდა სახლში, ცოლს ცემა დაუწყა და უთხრა: შე მა...ლო, ეს რა მიყავი, ხომ ხელმწიფე დამახრჩობს, რა პასუხი უნდა მივცეო?! ადგა, წავიდა მცურავთან ჭ შეეხვეწა: მოვტყუვდი ცოლის სიტყვითა და მაპატიე ჩემი დანაშაულიო!.. ახლა ხელმწიფე მიბარებს ჭ თუ არ ავუხსენი, დამახრჩობსო; აქვე თავს მოვიკლამდა იქ კი არ წავალო. შეიცოდა მცურავმა და ასწავლა. წავიდა ეს კაცი და აუხსნა სიზმარი. მერე შეიყვანეს ეს კაცი ხაზინაში, აუვსეს ერთი გუდა ფულით და გაისტუმრეს. ეს კაცი შინ არ წავიდა, პირდაპირ მცურავს მიუტანა ის ფული და უთხრა: აი, ჩემო მეგობარო, რაც მამცა, სულ შენთან მოვიტანეო! მცურავმა უთხრა: მე რათ მინდა ფული? წაიღე, ეგეც შენი იყოს, მაგრამ მე თქვენ კაცობასა და ებტიბასა ვცდი, როგორი ხალხი ხართო.

გულ-კეთილი ახსანაზი

(მისივე)

ერთი კაცი ბატონის სანახავათ მიდიოდა. გზაზე ძვირფასი თვალი იპოვნა. ერთმა ურიამ დაინახა, მივიდა და უთხრა: რა მოგცე ძმობილო მაგ თვალშიო? იმ კაცმა უთხრა: არ გავყიდი, ბატონს უნდა ვუფეშქაშოვო. — მომყიდე, კაცო, ხუთ მანეთს მოგცემო. — არა, ბატონისთვის მინდაო. — აჰა, კაცო, ერთი თუმანი და მომეციო. ბევრი რომ გადაეკიდა ურია, იმ კაცმა უთხრა: არ მოგყიდი კია და წამოდი, რასაც ბატონი გვაჩუქებს, მე და შენ გავიყოთო. ურია დაჰყაბულდა და წავიდნენ. ბატონმა მოიკითხა ყმა. ყმამ თვალი მიაჩინა. ბატონმა ჰკითხა: ეგ ვილა არისო? — არ ვიცი, შენი ჭირიმე, ეს გზაზე გამიამხანაგდაო. — რა გერგებათ ამ ნივთშიო? უბრძანა ბატონმა. ურია ჩუმათ ეუბნებოდა: ბევრი თხოვეო. — რა უნდა გამოგართოთ, ასი ჯოხი გვეკუთვნისო. ბატონმა დაუძახა ბიჭსა: მოიტანე ასი ჯოხიო. ბიჭმა მოიტანა. — ბატონო, ნახევარი ჩემია, ნახევარი ჩემი ამხანაგისაო. აიღო ორმოცდა ათი და უთხრა: წააქციეთ ამხანაგისაო. წააქციეს ურია და მოარტყეს ორმოცდა ათი ჯოხი. ყმამ უთხრა: ჩემი წილიც მაგისთვის მიფეშქაშებიაო. იმის წილიც იმ ურიას მოარტყეს. ურია წავიდა კვნესით და ყმას საჩუქარი მისცა ბატონმა.



უცნაური ბიჭი

(მისივე)

ერთ დედაკაცს ქმარი მოუკვდა ზღაპრად ერთი შვილი. ეს შვილი, რომელ ხელობაშიაც მიაბარა, არ დადგა. მერე ერთი ლიტრა ცერცვი დაახალა და უთხრა შვილსა: მოდი, წამომყე, გზა და გზა უნდა გაქამო და სადაც გამოგელევა, იქ გაგიშვებო. წაიყვანა ეს ბიჭი ზღაპრად მისდევს ქამითა. ორი მთა გადაიარა, მესამეში რო გადავიდა, ნახა ერთი ცხენიანი კაცი მოდის. როგორც მიახლოვდა ცხენიანთან, კიდევ გამოელთა ცერცვი. დედაკაცმა უთხრა: ძმაო, ეს ბიჭი შენთვის მომიცია, გინდა მოკალი, გინდა იმსახურეო. ხელოსანი ხარ? შენი ხელობა ასწავლეო. ამ კაცს გაუხარდა, წაიყვანა და ერთ ბიბან მთაში მიიყვანა. თურმე შვიდნი ამხანაგნი ყოფილან მთელი ქვეყნის ამომგდებნი. უთხრა: აი, ძმანო, ეს ბიჭი მიშოვნია და მომიყვანიაო! იამათ ზღაპრად: საქმელებს მოგვიხარშამს, წყალს მოგვიტანს, სახლს მოუვლისო, კარგია, მაინც საქირო იყოვო. რასაკვირველია, როდესაც საყაჩაღოთ წავიდოდნენ ხოლმე, ეს ბიჭი სახლს უვლიდა, კერძს უხარშამდა. გაიარა სამმა თვემ, ეს ბიჭი უყურებს თავის აღებს, რომ დიდძალი საქონელი მოაქვთ და ოთახებს ავსებენ. ამ ბიჭმა თქვა: ერთი ამათ უნდა მივყვე, ეს ამოტელა საქონელი სიდან მოაქვთო. შევიდა ერთ ოთახში; იარაღით სავსე იყო. ერთი ხელი იარაღით შეიჭურვა და თავის აღებს მგელქაშათ მიჰყვა უკან. მივიდნენ ზღაპრად გზის პირზე ჩასაფრდნენ. ამოიარა ქარავანმა. ეს თულები დევრიგნენ ქარავანსა და სულ დაღეწეს. იმ ბიჭმა ნახა, რომ მისი აღები ხალხს სცარცვამენ, მაშინვე იძრო ხმალი და შეჰყვირა მაღალი ხმით. ეს სოვდაგრები მოარჩინა და მისი

აღები კი ცარიელები გაიქცნენ. თითონ ჩქარა წავიდა
სახლში, იარალი თავის ალაგას დაჰკიდა. მოვიდნენ ცა-
რიელები მისი აღები. მეორე დღეს კიდენ წავიდნენ.
ისინი რო წავიდნენ, ამ ბიჭმა აისხა იარალი, წავიდა ღნახა,
რომ სოვდაგრებსა ცარცვამენ მისი აღები, იძრო
ხმალი, დეერია, დაჰკივლა და სოვდაგარები მოარჩინა,
თავისი აღები კი ცარიელები გაუშვა. წამოვიდა საჩქა-
როთ, მოვიდა შინა და იარალი მოიხსნა. ეს თულები რო-
ცა წავიდოდნენ საყჩალოთ, ის ბიჭი თან მისდევდა და
მუდამ ცარიელებს უშვებდა. ერთხელ იფიქრეს და თქვეს:
რაც ეს ბიჭი მოვიყვანეთ, ჩვენ ველარა ვიშოვნეთ რაო,
იქნება ამის უნარი იყოსო. ერთმანეთს უთხრეს, მოდი,
ვცადოთო: წავიდეთ, საფლავები გავქრათ, ოთხნი შიგ
ჩავწვეთ და სამმა ვუთხრათ: სადაც მკვდრები ცოცხ-
ლდებიან, იქ საქმელებს მოხარშამო? თუ რომ არ
შეეშინდა და მოხარშა, სწორეთ ეგ იქნებაო და,
თუ შეეშინდა—ეგ არ იქნებაო. მერე უთხრეს: ბიჭო,
შენ შეგიძლიან, რომ სადაც მკვდრები ცოცხლდე-
ბიან, იქ საქმელები მოხარშოვო? ბიჭმა უთხრა: შემძლი-
ანო.—მაშ აიღე ქვაბები და წავიდეთო. წაიყვანა და სა-
ფლავები უჩვენა. შემოდგა ქვაბები და ხარშვა დაუწყო.
ერთმა ამოჰყო ხელი და უთხრა: ცოტა ხორცი მაქამეო.
აილო და ერთი ნაჭერი მისცა. ახლა მეორემ ამოჰყო
ხელი. იმასაც მისცა. მერე მესამემ ამოჰყო,—ბიჭმა ხე-
ლში ჩაარტყა: თქვე ოხრებო, თქვენ რომ გაქამოთ, ჩემ
აღებს რაღა მიუტანოვო?! როცა მოხარშა, წაილო სახლში
ქვაბები. მივიდნენ მისი აღები, ჰური ჯამეს და მერე
გულში ჩაიდეს ამ ბიჭის მოკვლა. უთხრეს: შვილო, ფლან
წყაროზე წადი და წყალი მოიტანეო. თურმე იმ წყაროზე
ვინც მიდის, ცოცხალი ველარ მოდის ღ ამიტომ გაგზავნეს.

ახსენა ღმერთი ზე წავიდა. მივიდა წყაროზე. კოკა აავსო თუ არა, ქვა-კლდე სულ თავზე დააყარეს, მაგრამ ვერა დააკლეს რა! გამოიარა. ოთახში ერთი ქალი თმით ჩამოეკიდა და იძახოდა: ვინა ხართ მადლიანი, რომ აქედან ჩამომიყვანოთო! იმ ბიჭმა კოკა დადგა და უთხრა: აბა, როგორ ჩამოგიყვანოვო? — ახლო მოდი, მხარზე ფეხს დაგადგამ და ისე ჩამოვალო. თურმე ვისაც ფეხს დაჰკრავს, დედა მიწაში ჩააძვრენს! შეუდგა ეს ბიჭი და ამ ქალმა ორჯელ დაჰკრა ფეხი და ვერა დააკლო რა. მაშინ ეს ბიჭი გაცხარდა, ჩამოჰკრა ხელი და ჩამოაგდო. ხელში ერთი აზარფეშა ეჭირა, ის წაართო და ქალი კი გაიქცა. წამოიღო წყალიც და აზარფეშაც ზე მოიტანა თავის ალებთან. იმათ თქვეს: რახან ეს აქედან მორჩა, მაგის მომრევი არავინ გამოვაო. უთხრეს: წაიღე, შეილო, ეგ აზარფეშა დაახურდავე და მოიტანე, ვჭამოთო. იმან წაიღო, ერთ ქალაქში დაჰქონდა და შეხვდა ერთი ურია. ნახა ურიამ, რომ კარგი რამ იყო. — ჩემია ეს აზარფეშაო, დაიჩემა სოვდაგარმა. წავიდენ ხელმწიფესთან საჩივლელოთ. ამ ბიჭმა უთხრა: ეს აზარფეშა დასახურდავებლათ დამქონდა და ახლა ეს ურია იჩემებსო. თუ მაგისია, ამისი საბადლოც ექნება სხვაო, მოიტანოს და მე ხელს ავიღებო. სად მოიტანდა? ერთ ქალაქად ღირდა! ურიამ უთხრა: აბა თითონ მოიტანოსო. ამ ბიჭმა უთხრა: თუ მე მოვიტანო, ურია სამართალში მერგოს თავისი ცოლშვილითა და თავისი სარჩოთიო, თუ ვერ მოვიტანე და შეიდი ძმა მყავს, მოვიყვან და მაგის ყმები ვიქნებითო. ურია დაჰყაბულდა. წავიდა, თავისი ალები მოიყვანა და ურიას გირაოდ მისცა. თვითონ ახსენა ღმერთი, წავიდა, იარადა ერთ ზღვის პირზე მივიდა. ნახა, რომ ხუთი გემი ღვას და ვერ გადიან. უთხრა: რატომ არ გადიხართო? იმათ

უბასუხეს: როგორ გავიდეთ? შუა წყალში რომ მიდის გემი, რაღაც არის, აბრუნებს, საქონელი იღუბება და ამისთვის ვერ გავდივართო. ამ ბიჭმა უთხრა: თქვენ მიჩვენეთ, რა ადგილას ბრუნდება გემი და მერე მე ვიცი, თქვენ ნუ გეშინიათო. გამართეს ერთი ხომალდი ლ დაჯდა ეს ბიჭი. უთხრა: აბა, ის ადგილი მიჩვენეო. მივიდნენ იმ ალაგას და უთხრეს: აქ არისო. მაშინ ასწია ქვეშიდან ერთმა, ეს ბიჭი თოკით დაეკიდა, ხელები დაუჭირა, იმან დაიწია და ორივე ხელის საბუვრეები წააძრო და თვითონ დაიკარგა. მაშინ გემები გავიდნენ და ამ ბიჭს უთხრეს: რადგან მოგვარჩინე, რასა გვთხოვ, რომ მოგცეთო? მაშინ იმოიღო აზარფეშა და უთხრა: ერთი ამისი ბადალი მომეცითო. იმათ ურხრეს: თუნდა ხუთი გემიც სხვა იყოს, მაგას არ აუხდება, თუ გინდა, რამდენსაც შეერევი, ოქრო-ვერცხლი წაიღეო. ბიჭმა უთხრა: მე ფული არ მინდა, მადლობელი ვარო, ადგა და წავიდა თავის გზაზე. მივიდა ერთ ქალაქში ერთ მოხუცებულ დედაკაცთან და უთხრა: დედავ, თუ შეიძლება, ამაღამ შეშინახეო. — მობძანდი, შვილო, სტუმარი ღვთისააო! იმ დედაკაცსაც ერთი შვილი ჰყავდა. იმ ღამეს გამოუცხადეს: შენი შვილი დარაჯათ უნდა წავიდეს საფლავზეო. დედაკაცმა დაიწყო ტირილი. სტუმარმა უთხრა: რა გატირებსო — როგორ არ ვიტირო? ხელმწიფეს ერთი შვილი მოუკვდა, ყოველ ღამეს დარაჯს უყენებს საფლავზე და ყოველ ღამე დარაჯები იხოცებიანო. ახლა ჩემ შვილსა რგებია, ამის მეტი არა მყავს და ამაღამ მომიკლავენ ლ რაღა ვქნაო?! დაიწყო ტირილი. სტუმარმა უთხრა: ნუ გეშინიან, დედი, მე წავალო! დედაკაცმა უთხრა: შენ როგორ გაგგზავნი, ღვთის სტუმარი ხარო!.. — არა უშავს-რაო. ეს დედაკაცი მუხლებზე ეხვე-

ოდა. სტუმარმა ღმერთი ახსენა და წავიდა საღა-
რაჯოთ. მივიდა საფლავთან, მოთხარა, ცოტა შორს
ქვის სანგარი გააკეთა და შიგ ჩაჯდა. შუალამის დროს
მოვიდა ერთი ქალი საფლავზე, დარაჯი ვერა ნახა, თქვა:
ამალამ ხელმწიფეს დარაჯი არ დაუყენებიაო. ამ ქალს
სამ-წვერი მათრახი ექირა. ერთი წვერი დაჰკრა და საფ-
ლავის სახურავი გაღიხადა; მეორე წვერი დაჰკრა — მკვდა-
რი გაცოცხლდა და იმ ღამეს ერთათ იყვენ; რა დილა
გათენდა, ქალი წამოდგა, ხელმწიფის შვილს ერთი მათ-
რახის წვერი დაჰკრა და მოჰკლა. მაშინ გამოვიდა
დარაჯი, დაუჭირა მათრახი, წაართო და ქალი კი გაი-
ქცა მკვდარს ერთი წვერი მათრახისა დაჰკრა, გა-
აცოცხლა ამ ბიჭმა ო უთხრა: წაღე მამა შენთანაო! ხელმ-
წიფის შვილი მივიდა მამასთან. ხელმწიფე დიდს სიხარულს
მიეცა და იკითხა: ამის დარაჯი ვინ იყოო? — ბებერი
დედაკაცის შვილი იყოო. ხელმწიფემ დაიბარა დედა-
კაცი. დედაკაცმა უთხრა: მე ერთი სტუმარი მომივიდა
და ის წავიდაო. მოიყვანეს ხელმწიფესთან დარაჯი.
— რადგან ჩემი შვილი სიკვდილისგან დაიხსენი, რა გინდა
მოგცეო? ამოიღო აზარფეშა და უთხრა: ერთი ამისი სა-
ბადლო მომეციო. ხელმწიფემ გაშინჯა და უთხრა: ჩემი
სახელმწიფო მაგას არ აუხდება, მე საიდგან გიშოვნოო!
თუ გინდა, აგიკიდებ რამდენიმე ჯორ-აქლემ ოქრო
ვერცხლსა და წაიღეო. ბიჭმა მიუგო: მე ეგენი არ მინ-
და, მშვიდობით ბრძანდებოდეო. გასწია და წავიდა.
დაადგა ერთ გზას, გავიდა ერთ მინდორზე. საღამომაც
მოატანა. ერთი კოშკი გამოჩნდა მინდვრის ბოლოსა. თქვა:
წავალ და ამალამ იმ კოშკში დავდგებიო. გასწია კოშ-
კისკენ და მივიდა. დაბნელდა კიდევცა. ამ კოშკის კარი
იპოვნა, ავიდა, ნახა, რომ ერთი ოთახიდგან სინათლე გამო-



დის; შევიდა, ნახა: ოქროს ტახტი დგას ზედ სამი ქალი
ზის. ეს ბიჭი მიიმალა კარებთან. ამ ქალებმა მოიტანეს სუ-
ფრა ზე ყველა ნაირი საჭმელი. დაიწყეს ლაპარაკი. სამნივე
დები იყვნენ. უფროსმა დამა თქო: რამდენი ხანია, ერთმანე-
თის გულის პასუხი არ გვითქვამსო! მეორე დებმა უთხრეს:
ბრძანე და ჩვენც ვიტყვითო. უფროსმა სთქვა: რომ
იცოდეთ, უკვდავების წყარო მეჭირა, ჩემი შიშით ფრი-
ნველი ვერ მოდიოდა! მოვიდა ერთი ყმაწვილი ბიჭი ზე
წყალი ააფსო; ქვა-ღოდე თავზე დავაყარე, ვერა დავა-
კელი-რა! მივედი, თმით დავეკიდე, მინდოდა ფეხი და-
მეკრა, ქვეშ კლდეში ჩამეტანა, ორჯელ დავკარი და
ვერა დავაკელი-რა!.. მერე ჩამომავდო და ის ჩემი ძველი
აზარფეშა რომ მქონდა, წამართვა და ღმერთმა აღ-
ღეგრძელოს, რომ არ მომკლა, ესეც იმისი საღღერძელო
იყოსო!.. შუათანამ სთქვა: რომ იცოდეთ, ზღვაში ვიყავი
და რამდენი ხომალდი დავლუბე და რამდენი ოთახი
სავსე მაქვს თვალ-მარგალიტითა. ერთ ღღეს ავწიე
მე, მინდოდა გადამებრუნებია, ერთმა ბიჭმა დამიჭირა
ხელები, ის ჩემი საბურეები წამაძრო, მთელ ქვეყანათ
რომ ღირდა, ღმერთმა აღღეგრძელოს, რომ არ მომკლაო!..
უმცროსმა სთქვა: მთელი ქვეყანა მოვიარე, ერთი ხელმ-
წიფის შვილი მომეწონა, ის მოვკალი; როდესაც დამა-
რხეს, ყოველ ღამეს დარაჯს უყენებდენ საფლავზე და
ვხოცამდი. ღამე ვაცოცხლებდი და ერთათ ვწვებოდი
და ღღისით ვკლამდი. ერთ ღამეს დარაჯი ვერა ვნახე,
გავაცოცხლე და ერთათ დავწექით; როგორც დავკარ
მათრახი ზე მოვკალი, საიდგანდაც მომეპარა ერთი ბიჭი, და
მიჭირა და ის ჩემი სუამ-წვერა მათრახი წამართვა... ღმერ-
თმა აღღეგრძელოს, რომ არ მომკლაო! ზე დალია ღვინო.
მაშინ ყურს უგდებდა ეს ბიჭი. მოვიდა, მიესალმა და



უთხრა: ეს შენი აზარტემა, ეს შენი ხელის საბუვრე, ეს შენი მათრახიო. ეს ქალები გაჰკვირდნენ და გაუხარდათ. ამ ბიჭმა დაწვრილებით უთხრა თავის ამბავი, როგორ დაიჩემა ურიამ აზარტემა და უთხრა: მთელი ქვეყანა დავიარე, ამ აზარტემის ცალი ვერ ვიშოვნე და შვიდი ამხანაგი გირაოთ მყავს იმის გულისათვისაო. ქალმა უთხრა: ერთი ოთახი სავსე მაქვს უფრო მაგაზე კარგებითო. უთხრეს: რამდენი თვის სავალია თქვენამდინაო? —სამი თვისაო. —სამი თვე აქ იყავი, სამი თვის უკან რაზე შეგსვამთ და სამ დღეზე მიგიყვანსო. დარჩა სამი თვე იქ. მერე მისცეს წყვილი აზარტემა, რაში და გაისტუმრეს. მივიდა, სადაც მისი აღები იყვენ დაქერილი ურიასთან, შევიდა ხელმწიფესთან და წყვილი აზარტემა მიართვა. ხელმწიფემ უთხრა: ურია სამართალში გერგოაო. იმ ურიის სარჩო ხუთ ამხანაგს მისცა, ორი თავისთან წაიყვანა და მივიდნენ იმ ქალებთან. უფროსი და უფროს ამხანაგს შერთო, შუათანა — მეორეს ღ უმცროსი თითონ შეერთო.

✓ ბლახი და მიქელ-გაბრიელი

(მისივე)

ერთ საწყალ კაცს შვილი ეყოლა. ხან ვისა თხოვდა და ხან ვის, მაგრამ არავინ არ მოუხათლა. მერე თქვა: წავიყვან და თათრებში მოვანათვლინებო. წაიყვანა, გზაზე შეხვდა უფალი და ჰკითხა: სად მიგყავსო? ამ კაცმა უთხრა: ყმაწვილი არავინ მომინათლა და ეხლა მიმყავს თათრებში, უნდა მოვანათვლიოვო. უფალმა უთხრა: მოიყვა, მე მოვანათლავო. — შენ ვინა ხარო? — მე ღმერთი ვარო. — შენ არ მოვანათვლინებო. — რატომაო? — იმი-



ტომა, რომ ზოგს იმოღენას აძლევ, თვლა და ჯამა კი იცის და ზოგს იმოღენას აძლევ, რომ მუცელი გაიძლოსო. ადგა და წაიყვანა ყმაწვილი. ღმერთმა გამოგზავნა მიქელ-გაბრიელი და უთხრა: წადი, შენ მოუნათლევ, თორემ წაიყვანს და გაათათრებსო. გადაუდგა მიქელ-გაბრიელი და უთხრა: სად მიგყავს ყმაწვილიო?—თათრებში, მოსანათლათო. — მოიყვა, მე მოგინათლოვო. — შენ რა კაცი ხარო? ჰკითხა გლეხმა. — მე მიქელ-გაბრიელი ვარო. — შენ გენაცვალე, შენისთანა სწორე კაცს ვერ ვიშოვი, მაგრამ რამდენი წლის სიცოცხლეს მაძლევო? — რამდენი წლის გინდაო? უთხრა ანგელოზმა. — ასი წლისაო. — მოგცემო — მიუგო ანგელოზმა. — მაშ, ერთი რამ შეწვენაც უნდა მომცე, რომ ყმაწვილი ვაცხოვროვო. მიქელ-გაბრიელმა უთხრა: შენ დაიწყე ექიმობა, რა ავათმყოფთანაც წახვიდე, მე იქ გეჩვენები: თუ ფეხით ვიდგე, იმ ავადმყოფს უწამლევ, წყალიც რომ დააღვეინო, მორჩება, თუ თავით ვიდგე, ხელი არ დასდოვო. მოუნათლა ყმაწვილი და გაისტუმრა შინ. ეს კაცი მიდიოდა ავადმყოფებთან, ყველას არჩენდა და გავარდა ამისი ხმა, ყველა ავადმყოფებთან მიჰყავდათ. ამ კაცმა შეიძინა ცხოვრება. როდესაც ვადა შეუსრულდა, მოვიდა მისი ნათლია და უთხრა: აბა, შენი ღრო მოვიდა და სული უნდა მომცეო. — ნათლი-მამამ უთხრა: მოიცადე, ერთი „მამაო ჩვენო“ მათქმევინე და მერე სული ამომართვიო. — კარგო — უთხრა მიქელ-გაბრიელმა. — ნათლიმამამ უთხრა: ღვთის ფიცი მომეცი: სანამ არ დავასრულო, ნურას მიზამო. ფიცი მისცა მიქელ-გაბრიელმა. როდესაც დაიწყო, „მამაო ჩვენო“, ნახევრობამდინ მივიდა და მერე შეწყვიტა: ნახევარსაც, როდესაც ჩემი ნება არის, მამა მე ვიტყვიო — უთხრა სულთა-მხუთავს. სულთა მხუ-

თავმა თავი დაანება. გაიარა რამდენმამე წელიწადმა, და ეს ნათლი-მამა ტყეში წავიდა. მაშინ გამოეცხადა მიქელ-გაბრიელი მკვდრათ და ერთს აღაგას დავარდა. გაიარა ნათლიმამამ და თქვა: ეს საწყალი კაცი აქ სად მომკვდარა, მადლი იქნება, რომ ეს აქ დავმარხოვო. გათხარა საფლავი, ჩაღო მიწაში და თქვა: აქ მაინც მღვდელი არ არის და „მამაო-ჩვენოს“ ვიტყვიო და თქვა. როდესაც დაასრულა „მამაო-ჩვენო“, წამოდგა მიქელ-გაბრიელი და უთხრა: ახლა ხომ დაასრულეო? სული ამოართვა. და თავის მოთხრილ საფლავში თვითონვე ჩააწვინა. ჭირი იქ დავტოვე, ლხინი აქ მოვიტანე.



ნ ა ზ ა რ ა

(ზღაპარი, ქვემო იმერეთში გაგონილი და ჩაწერილი ნიკოლოზ
სტურუასაგან)

ძველ დროში თურმე იმერეთში ცხოვრობდა ერთი სახელ-განთქმული ხურო კაცი—ნაზარა, რომელიც თავის ხელობით ცის კიდემდის ნაქები იყო. ნაზარას მჭულღლე მოწიფულობაში გადაეცვალა ძეობით და დარჩა ორი დღის ვაჟი; სახელათ მამამ „იმედო“ დაათქვა, რადგანაც მთელი თავის იმედი და ცხოვრება ამ შვილში გამოსახა. ამ უსუსური ყმაწვილის გაზდაში ნაზარას ბევრი კეთილი ადამიანის ხელი აღმოუჩნდა შემწეთ. გავიდა ორი-სამი წელიწადი, იმედომ აგერ, აგერ სიარულიც შეიძლო. ნაზარამ მეორე ცოლი არ შეირთო; თავის ცხოვრებას ლოცვა-ვედრებასა და ხელოვნებაში ატარებდა. გავიდა კიდევ წელიწადები და იმედო ეხლა კარგა ნიჭიერათ შეუდგა მამის ხელობას და შეისწავლა კიდევ; ბევრი თავისიც დაძინა. როცა იმედო შეიქნა ოცდახუთი წლის და ნაზარასაც კარგათ დაეტყო მოხუცებულობა—გადაწყვიტა, რომ ჩემს შვილს შესაფერი ცოლი უნდა შევრთო და უთხრა: ჩემო ძვირფასო შვილო, იმედო! ჩემი აზრია, ცოლი შევრთო და ცხოვრებდე ბედნიერათ, საკმარისია ამოდენ ხანს უქალოთ ოჯახის მოვლაო. მხოლოთ ჩვენ ვეძებოთ რიგინი ოჯახის შვილი, გულ-კეთილი და მასთან გონიერიო. ეს იყო მამის სიტყვები, რომ იმედო სირცხვილის აღმურმა გააწითლა და სიტყვების ჩასაფუჩჩებლათ მაგრათ გაუს-გამოუსვა შალაშინი, მაგრამ ნაზარამ ეს რა-



მოდენჯერმე განუმეორა შვილს, ასე რომ იმედო ეხლა კმაყოფილიც არის მამის რჩევითა, მაგრამ, თვითონ არა და, ერთი მეზობლის პირით შეუთვალა: რაკი არ იშლის მამაჩემი, ყაბული მაქვს მისი სურვილისაო. ნაზარამ, როგორც ეს შეიტყო, — ერთი პატიოსინი ოჯახის შვილი არჩეული ჰყავდა კიდევ, სახელათ მზისადარი, — მეორე დღესვე ქორწინება გამართა. იმ დღეს და იმ ღამეს ილხინეს და სტუმრები, ვინც იყო, წავიდ-წამოვიდენ. მესამე დღე რომ გათენდა, გამოიყვანა ნაზარამ რძალი, ჩააბარა მთელი ოჯახის ავლა-დიდება ყოველი საიდუმლოებით და კლიტეებით და უთხრა: აი, შვილო, ეს ოჯახი შენთვის ჩამიბარებია, შენ იცი და შენმა ქალობამ, როგორ რიგიანათ მოიქცევი! მე და იმედო დღეს სტამბოლის ქალაქში უნდა წავიდეთ და სამ წლამდის არ დავბრუნდებითო. იმედომაც მამის თანახმათ გამოიტანა ყოლიფერი ბარგი და ხელ-საწყობები, ჩააწყა, აიკიდეს ზურგზე, დაემშვიდობენ მზისადარს და გასწიეს გულ-გრილათ. დატიეს მარტო გულ-ჩათუთქული ადამიანი სახლის მცველათ.

ბევრი იარეს თუ ცოტა, სამი დღის შემდეგ ერთ დიდ მთას მიადგენ და იქ მამა შვილს ლაპარაკი მოუხდათ. ილაპარაკეს, ილაპარაკეს და ბევრი საუბრის შემდეგ ისევ დაბრუნდენ უკან და მოვიდენ სახლში. გაიხედა მზისადარმა: ქმარი და მამამთილი დაბრუნებულან; მიეგება წინ სიხარულით და დაბრუნების მიზეზი იკითხა. იმედომ უთხრა ცოლს: ჩვენი დაბრუნების მიზეზი საარაკოა, ჩემო ძვირფასო მეუღლეო! მე და მამა ჩემი ერთ მაღალ მთას მივადექით, მამამ მითხრა: ამ ხაბაკებით ამიკიდე ზურგზე და წვერამდი ამიყვანეო, მერე მე აგიკიდებ და იქეთ ჩავიყვანო. ეს მე ვერ

შევიძელი, იმას მამა ჩემი ვერ შეიძლებდა და ისევ და-
 ვბრუნდითო. მზისადარმა გაიცინა და თქვა: თქვენზე
 ახია, რაც მოგივათ! გუშინდელი მოყვანილი, უცხო ადა-
 მიანი მიმატოვეთ და წახველით, ჩემი ცოდვა რას არ
 გიზამდათო, თუმცა მაგი თქვენი ლაპარაკი არც ისე შე-
 უძლებელია, თქვენ რომ გგონიათო. ნაზარას ეს უკანა-
 სკნელი სიტყვები მეტათ იამა რძლისაგან, თუმცა წინა-
 ნდელი საყვედურები გულს დაღვდა და უთხრა: თუ
 გონიერი ადამიანი ხარ, მაშ შენ გვასწავლე, რა რიგათ
 შეიძლება მოგზაურობა, რომ სამაგიეროთ მოგიტევეო სა-
 ყვედურები, თვარა ერთ დღეს არ დაგაყენებ ჩემ შვილ-
 თან, სიდანც მოსულხარ, იქეთ დაიკარგეო. მზისადარს
 მამამთილის სიტყვები არ წყენია და მორიდებით თხოვა:
 მპატივე, მამა, რაც შეგცოდეო! ჯერ არ მეძრახება,
 რადგანაც გამოუცდელი ვარ; თქვენის სიცოცხლით, მეტ
 დარიგებას და ჭკუის სწავლას ველიო. მერე მიუბრუნ-
 და ქმარს მზისადარი და ასე უსაყვედურა: შე კარგო
 კაცო! მამამ რომ გიბრძანა: ამიკიდე და ამიყვანეო,
 განა მართლა ზურგზე უნდა აგეკიდა? მაგას გამო-
 ცანა უბძანებია და შენ ასე უნდა აგეხსნა: ისეთ
 საუცხოვო ზღაპარს ვეტყვოდი, იმის სიამოვნებითა და
 აღტაცებით აღმართში მოგზაურობა არაფრათ ჩაეგ-
 დო; წვერზე რომ ახვიდოდით, მაშინ ის ბრძანე-
 ბდა და დაღმართსაც დაუღალავათ ჩაივლიდითო. ასე-
 თი სიტყვები მზისადარისგან ორივე მამა-შვილს მო-
 ეწონა და სიხარულით ერთი წელიწადი დაიცადეს სახში,
 რომ გაემხიარულებიათ მზისადარი; ნამეტნავათ ნაზარას
 უსახდრო სიხარულით რა ექნა, არ იცოდა და ღმერთს
 მადლობას წირავდა: გონიერი საცოლო მაპოვნინა შვი-
 ლისათვისო. ერთი წელიწადი გავიდა თუ არა, ნაზარა

ისევე გამოეწყო თავის იმედოთი წასავალათ, გამოემშვიდობენ ოჯახობას და წავიდენ კიდევ. ხსენებული მთა მშვიდობით გადაიარეს და მიალწიეს სტამბოლის ქალაქში. იქ გამოეცხადენ ხუროთ მოძღვრებს და უამბეს: ჩვენ ვართ უცხოელი მოხელეები, რაც კი ხისაგან შეიძლება გაკეთდეს, არაფერი გაგვიცდება და თუ საქმეს ამოგვიჩენთ, მაგიერი სასყიდელი მიიღეთო. ხუროთ მოძღვრებმა სიცილი ატეხეს და ასე უთხრეს: თქვენისთანა ოსტატები ჩვენს ქალაქში უკანასკნელათ ითვლებიან და აქ ძნელია სათქვენო საქმის ამოჩენა, ამისათვის გირჩევთ, უკანვე გაბრუნდეთ, თვარა სირცხვილს სჭამთო. ლ, თუ მაინც და მაინც არ იშლით, ამ ქალაქის მეფეს სასახლე აქვს ასაგები და თუ წახვალთ და გაურიგდებით, თქვენ იცითო; თუმცა ბევრია საქმის მსურველი, მაგრამ ჯერ არავის გაუბედია მაგ საქმის აღება, ვინაიდან მეფეს ასეთი პირობა აქვს დადებული: ვინც უნაკლულთ შეასრულებს, იმას ხუთი მილიონი უნდა მისცენ, და ვინც თავს ვერ გაართმევს, იმას ის თავი უნდა მოაშორონ, თუ დაუწყია და ვერ გაძლოლიაო. ნაზარამ ამ სიტყვებზე მადლი გადაუხადა ხუროთ მოძღვარს და მეორე დღეს გამოეცხადა მეფეს. მეფემ გაიგო უცხოეთის ოსტატები მოსულანო, სიამოვნებით მიიღო ორივე მამაშვილი და შენობის გეგმა აჩვენა. ახედ-დახედეს საქმეს ზეს ამათთვის მეტათ საადვილო აღმოჩნდა. ნაზარამ მოახსენა: დიდებულო მეფეო, დიდი სიამოვნებით ვიკისრებ ამის აშენებას, მხოლოთ ვითხოვ სამი წლის ვადას და მასთან, თუ ნებას მიბოძებთ, რაც ამ შენობისათვის უსაჭიროეს საგანს შეადგენს და თქვენ ის აზრათ არ მოგსვლიათ, მე იმას უფასოთ გავაკეთებ, თუმცა ექვსი თვის შრომა მეტი იქნებაო. ამის გამგონე მეფე, ნაზირ-

ვეზირები და ხუროთ მოძღვრები დიდ გაკვირვებას მიეცენ: აბა, რა დასაჯერებელია ამათთანა მათხოვრების-გან ასეთი ძნელი საქმის გაკეთებაო. ბოლოს არჩიეს, იფიქრეს და ასე გადაჭრეს: ყოველი მასალა, რასაც შენობა და ოსტატი ითხოვს, სახელმწიფო იქმნეს და მასთან დღიური საზრდო ოსტატებს შრომის ფასი კი არაფერი მისცენ, სანამდი არ შეასრულებნო; და თუ ვერ გააკეთებენ, მეფის სურვილისამებრ, თავები დასჭრანო. ეს განჩინება გამოუცხადეს ნაზარას და მის შვილს და ესენიც კმაყოფილები შეუდგენ საქმეს, დაიწყეს მუშაობა, იქირავეს სხვა ოსტატებიც და ორ წელიწად-ნახევარს აკეთეს. ახლა აკლია ვადას ნახევარი წელიწადი. ნაზარამ დაიბარა მეფე თავის ამალით: მობრძანდით და დაათვალიერეთ ნამუშევარიო. მივიდენ, ნახეს, რას ნახვენ?! სასახლე უნაკლებლოთ შესრულებულია! ნაზარამ თხოვა მეფეს: მე ფული არ მინდა, კიდე აქ ნახევარი წლის სამუშაო მაქვს, მხოლოთ ამ სხვა მოხელეებს გაუსწორდით და დაითხოვეთო. მეფემაც ბრძანა: ოსტატები დააკმაყოფილეთ და დაითხოვეთო. მაგრამ ის კი მაინც ფიქრობს: კიდევ რაღა აქვს ამაებს გასაკეთებელიო? შესრულდა სამი წელიწადი თუ არა, ნაზარამ ხელ მეორეთ დაიბარა მეფე თავის ნაზირ-ვეზირებით, ხუროთ მოძღვრებით, დედოფლითა და მათი ამალით. დანიშნულ დროზედ მობძანდენ ყველა ესენი, ასინჯ-დაშინჯეს შენობა ცალკე მეფემ, ცალკე ვეზირებმა და ცალკე ხუროთ მოძღვრებმა, მაგრამ, რაც ნახევარი წლის წინეთ იყო, ერთი დრამი მეტი ნამუშევარი არაფერი ჩანს! მეფე გაგულისდა და უთხრა ნაზარას: რათ მომატყულიე, შენ უცხოელო, სად არის აქ შენი ზედ მეტი ხელობაო?! ნაზარამ მოახსენა: დიდებულო მეფეო, აქ ხე-



ლობა ბევრია, მაგრამ უჩინარია და ვინც გნებავს, შეგზანე მეცხრე ოთახში, აბა რა ამბავი მოგართვასო. ამ დროს შეგზანეს უფროსი ვეზირი. ბევრი უცადეს, მაგრამ არ დაბრუნდა! მეფემ თქვა: მოდი, ჩვენც წავიდეთ, რა ამბავია, ამოდენ ხანს რას შერებოა? წავიდენ, მივიდენ, ვერაფერს შეხედეს და ვერაფერი ნახეს ცარიელი ოთახის მეტი! მეფემ თქვა: ეს რა მასხრობააა?! მიადო ნაზარამ ერთ მარტვალს ხელი, გამოვიდა ვეზირი სიცილით და მოახსენა: მეფეო, რაც იმ ოთახში ცა და ქვეყნის წარმოდგენა და საკრავების ხმა ისმის, ეს ჩემს ყურს არ გაუგონია და არც ას წელიწადს მოსწყინდება კაცს იქ ცხოვრება, თუნდაც უსმელ-უტყმელი იყოსო! მეფისათვის თუმცა ჯერ საჯერისი არ არის ამისთანა ზღაპარი, მაინც იამა და უთხრა ნაზარას: კიდევ რა გაქვს გაკეთებულიო? ნაზარამ მოახსენა: აი, იმ მესამე ოთახში თქვენ შებრძანდით და თვალთ იხილავთ ყოლიფერსო. — კი, მაგრამ ეხლა იქარ ვიყავითო? — მაშინ სხვა იყო და ახლა სხვა არისო — მოახსენა ნაზარამ. ადგა მეფე და შებრძანდა მესამე ოთახში; ოთახი უკაროა). მეფე შევიდა თავისუფლათ და დანარჩენებს, ვისაც სურდა შეჰყოლოდა, ყველამ თავი შეახეთქეს, გულ-შემოყრილი იქვე წაიქცენ და ვერცარაფერს შეხედეს! მეფემ მესამე ოთახში იხილა სამოთხესავით მოწყობილი ბაღი მოჭიკჭიკე ბუღბუღებით, ძვირფასი აუზებით და თან ორი საწოლი მეფე-დედოფლისათვის. გავიდა დრო, ხანი, მიადო მეორე მარტვალს ხელი ნაზარამ და მეფე გამობრძანდა მეტათ გაკვირებული და გახარებული. აქ ვეზირები და ხუროთ მოძღვრები თავ-სისხლიანები დახვდენ. იკითხა მეფემ მიზეზი. მოახსენეს: თქვენ რომ შებრძანდით, ჩვენც გვინდოდა გხლებოდით, მაგრამ ასე დაგ-



ვემართა: კარი ღია გვეგონა და თურმე დაკეტილი
ვო! მეფემ ბევრი იცინა და ჰკითხა ნაზარას: ეს როგორ
არისო? ამან მოახსენა: ეს მეორე საიდუმლოს ოთახია:
კაცი რომ მოსაკლავათ მოგდევდეს, თუ იქ შეასწარი,
ის გარეთ დაგრჩება თავ-გაპობილიო.—კარგი და კეთი-
ლი.—სხვა რა არისო—ჰკითხა კიდევ მეფემ.—სხვა ოთ-
ხივე ყურეში ორღანოებია მოწყობილი. როდესაც ისუ-
რვებთ მთლათ თქვენს სასახლეში მყოფთა მხიარულე-
ბას, მაშინ ამას აუშვებთ და დაიკვირისო და კიდევაც
მიადო მესამე მარტვალს ხელი. გამოხთა ორღანოების
საუცხოვო ხმები, მკვდარსაც კი მოუნდებოდა იმის მო-
სმენა!.. მეფემ კიდევ ჰკითხა: სხვა რა გაქვს გაკეთებუ-
ლიო? ნაზარამ მოახსენა: ეს არის ყოველივე ჩემი
ხელობა, ქეც ავაშენე და ქეც დავაშენეო. მეფემ
მადლობა გამოუცხადა და მეორე დღისათვის დაიბარა
სასახლეში ანგარიშის გასასწორებლათ.


იმ ღამეს მეფის სასახლეში დიდი ბაასი ატყდა საერ-
თოდ, თუ ისეთი საჩუქარი რა მისცენ ნაზარას, რომ სხვა
სამეფოში მზგავსი სასახლე არ ააგოს, მხოლოთ მარტო ეს
იყოს თაყვანის საცემი და სადიდებელი ქვეყნათო. ბევრი
არჩიეს, ბევრი იფიქრეს და ბოლოს უფროსმა ვეზირმა და
ხუროთ მოძღვარმა ეს აზრი გამოთქვეს: ჩვენ, რაც უნდა
საჩუქარი მივცეთ, რაც ერგებათ მაზე მეტი, მთელათ
სალაროებს ხომ ვერ დავაცალიერებთ და აქედან რო-
გორც გავლენ, სხვაგან კიდევ უკეთესს ააგებნო; ისევ
სჯობა, გაიყვანეთ ხვალ ორივე მამა-შვილი და თავე-
ბი დასკერიითო. ეს აზრი მართლაც საშინლათ მოიწო-
ნეს მეფის სასახლეში და მეფეც კმაყოფილი შეიქნა. იმ
ღამეს, რიცხვთა შორის ერთი მოხუცი ვეზირი იყო,
რომელიც სამეფო კრებაში თუმცა ერია, მაგრამ ბევრ

მონაწილობას არ იღებდა. იმას ეწყინა ასეთი სულიწმინდობა და მისი ამალის და იმ ღამეს ნაზარას საიდუმლოთ ყოველივე უანბო. იმედო, როგორც ყმაწვილი კაცი, ნამეტნავათ შეშინდა და ტირილი დაიწყო, ნაზარა კი მაგრათ იდგა და ეუბნებოდა შვილს: ის სამი მარტვალი თუ შენი გაკეთებულია, რომელის ხილვამ ასე დააბრმავა მთელი მსაჯულეთი და ჩვენ გვიპირობენ დახოცვას, მეოთხე ჩემი ხელობაა და ის დაგვიხსნისო. იმ ღამესვე მივიდა ნაზარა, მიადო მეოთხე მარტვალს ხელი და მთელი ეს ძვირფასი სასახლე მიინგრ-მოინგრა, ცალ გვედრზე წამოწვა და საკრავები მოიშალა. გათენდა მეორე დღე თუ არა, ეს ამბავი მეფეს მოახსენეს. ამათ თავზარი დაეცათ. მოვიდენ, ნახეს, რას ნახვენ უარესს სახანავს?!.. დაიბარეს ოსტატები ნაზარა ღ იმედო და უთხრეს: ეს რა ამბავიაო? ამათ მოახსენეს: ეს თქვენი გარემოების შედეგია და ღმერთი გარისხებულაო; ამის გასწორება შეიძლება, მაგრამ ერთი ხელ-საწყო დაგვრჩა სახლში ღ ის უნდა მოვიტანოთო. მეფემ უთხრა: თქვენ გინდათ წახვიდეთ და არ დაბრუნდეთ განაო? არა, ჩვენ გავგზანით კაცს და მოვატანიებთო. ნაზარამ მოახსენა: მაღალო ხელმწიფეო! ის ისეთი ნივთია, რომ იმის მოტანას უბრალო ვინმეს ვერ ვანდობ, არც შესაძლოა ოთხი კაცის ნაკლებმა მოიტანოს და რაკი მე არ მიშვებთ, სანდო პირებათ ვიცნობ: უფროს თქვენს შვილს, უფროს ვეზირს და ხუროთ მოძღვარს, მათ ერთი თუთხმეტი წლის ყმაწვილი, ვინც უნდა იქნეს—სულ ერთია, გააყოლოთ და დღესვე გაისტუმრეთ, უბრალოთ გვაგვიანდებოა. მეფეს არ იამა ამ საუკეთესო პირების გავზაფნა, მაგრამ რას იზამდა? ბოლოს დაეთანხმა და უთხრა ნაზარას: წერილი მისწერე

შენს სახლში მყოფს, რომ მისვლის უმაღლვე არ დაუქი-
როს რაღაც ნივთიაო. ნაზარამ ასეთი წერილი დასწერა:
„ჩემო ძვირფასო შვილო, მზისადარ! მად მეცხრე კლი-
ტულში რომ „უსამართლოს სამართი“ ბურღია, ის გა-
მოგზავნე ამ საპატიაო კაცების ხელით. ჯერეთ ჩვენ,
ღვთისა და შენი იმედით, კარგათ ვართ და აწი-
რაც მოგველის, მადლი უფალსო!“ ეს წერილი ქა-
რის უმაღლესათ წამოიღეს მაშინვე ხსენებულმა პირებმა
და ორი თვის შემდეგ, როგორც იყო, მოაღწიეს ნაზა-
რას სამშობლოში, მონახეს სახლობა და გამოუცხადეს
მზისადარს და წერილი მიცეს. წაიკითხა მზისადარმა,
ჩაფიქრდა ქალი და თქვა გულში: უთუოთ ღმერთი მი-
წყრება და ჩემ ძვირფას ქმარსა და მამას უსამართლობა
რამე დამართეს, თვარა, რას იწერებთან? რის უსამართ-
ლოს სამართი ბურღია, იმათ აქ არაფერი დარჩენიათო?!
უსათუოთ ასე იქნებაო, გადაწყვიტა ქალმა და მოახსენა
მოციქულებს: ცოტა მოითმინეთ და ამავე წუთში მი-
ირთვითო. აიღო კლიტე, გააღო ცხრაკლიტული და
ბოლოს მეცხრე ოთახში შეიყვანა მეფის შვილი, ვეზი-
რი და ხუროთ მოძღვარი; აჩვენა ერთი შავი საგანი და
უთხრა: მიდით, სამივემ მოჰკიდეთ ხელიო. როგორც
წავიდენ, მზისადარი მაშინვე გამობრუნდა უკან და
ცხრავე ოთახი გამოიკეტა. თუთხმეტი წლის ყმაწვილს,
რომელიც გარეთ იცდიდა, უთხრა მზისადარმა: ამ წუთ-
ში დაბრუნდი შენს ქვეყანაში და თქვენს მეფეს მოახ-
სენე: ის ჩემი ქმარი და მამა მშვიდობით გამომიგზავნეთ,
თვარა ამ სახლს ცეცხლს მოვუკიდებ და თავსაც დავ-
ლუპავ და თქვენცაო. ეს როგორც გაიგო ყმაწვილმა,
მაშინვე გამოქანდა უკანვე და ორი თვის გზა ერთ თვეს
გაირბინა, გამოეცხადა მეფეს და მოახსენა ყოველივე



ანბავი. რასაკვირველია, მაშინვე თავს ზარი დაეცა ყველას — მეფეს, ვეზირებს და ხუროთ მოძღვრებს. დაიბარეს ნაზარა შვილით და თხოვეს: იწამე შენი გამჩენი ღმერთი, ეს სასახლე გაასწორე, როგორც იქნეს, თვალის ნუ დაგვთხრი, შვილი, ვეზირი და ხუროთ მოძღვარი გამოგვიგზავნე უვნებლათ და რაც გსურდეს — მიიღეთო! ნაზარამ მაშინვე მიაღო ხელი მეოთხე მარჯვალს და შენობა გაასწორა ისე, როგორც იყო. რაც გარიგება იყო, არი იმოდენი მიიღო, შინ მშვიდობით დაბრუნდა, ტყვეები გაათავისუფლა ჭ ვეზირს და ხუროთ მოძღვარს ენის წვერი წაჭრა, რომ კვლავ არ ერჩიათ მაგ გვარი რამე შეთვისათვის. მერე აღარსად წასულან მამა-შვილი საოსტატოთ, ცხოვრობდენ მზისადართან და იყვენ. ნაზარა მოხუცებაში გადაიცვალა სიხარულით, იმედოს ჭ მზისადარს შვილები ეყოლათ ჭ ბედნიერათ იცხოვრეს.



კ ვ ე ბ უ ლ ა

(ზღაპარი, ჩაწერილი ნ. მაჭავარიანისაგან)

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა კაცი. ორი ძმა ჭკვიანი იყო, ერთი-კი სულელი ეს სულელი ძმა გამოაგდეს კარში ლ მისცეს მარტო სამი სული ცხვარი. ამ სულელ ძმას ერქვა კვებულა. კვებულამ წაიყვანა ეს სამი სული ცხვარი და გაუშვა მთაზე. როდესაც გამოვიდა რამოდენიმე ხანი, ისევ წავიდა კვებულა მთაზე ცხვრის ჯოგის მოსარეკათ. ბევრი ეძება, მაგრამ ვერ იპოვა; ბოლოს შეხვდა მგელი და ჰკითხა: მე აქ ცხვრის ჯოგი ამოვრეკე, შენ შეგიქამია და უნდა მოგკლაო! მგელმა უთხრა: ოღონდ ნუ მომკლავ და მე წავალ, მეცხვრეს მოვსტაცებ ერთ ცხვარს და წავიყვან, მეცხვარე თავის ძაღლებით მე გამომიდგება, მაშინ მოუარე იმის ჯოგს თავი და წაიყვანო. მიეპარა მეცხვარეს ეს მგელი, მოსტაცა ერთი ცხვარი და წაიყვანა. როდესაც გაიგო მეცხვარემ, გამოუდგა ძაღლებით მგელს მოსაკლავათ. რომ გაშორდა მეცხვარე თავის ჯოგს, კვებულამ მოუარა თავი ჯოგს და წამოიყვანა სახლში. კვებულას ძმებს გაუკვირდათ და ჰკითხეს:

— კვებულა, კვებულა, სად იშოვნე ამდენი ცხვრებიო? კვებულამ უპასუხა:

— თქვენი ნარგები ცხვარი გავრეკე მთაზე და ახლა რომ ავედი, მოშენებული დამხვდა და ჩამოვრეკეო.

ახლა იფიქრეს კვებულას ძმებმა თავის გუნებაში: ამას სამი სული ცხვრის მეტი არა ჰყავდა და ასე მოშენებულა, ჩვენ-კი ექვს-ექვსი სული ცხვარი გყვამს და უფრო მოგვიშენდებაო. იმათაც წაიყვანეს ეს ცხვრები

და გაუშვებს მთაზე. რომ გავიდა რამოდენიმე ხანი, წავიდნენ ჯოგის ჩამოსარეკათ. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. ჩამოვიდნენ კვებულასთან და უთხრეს:

— რა გვიქენი ეს, ამდენი ცხვარი დაგვაკარგვინე, უნდა მოგკლათო!

— ოღონდ ნუ მომკლავთ და ეს სახლი დაწვითო — უთხრა კვებულამ. მოუკიდეს ცეცხლი ამის სახლს და დაუწვეს. როდესაც დანახშირდა, აბოჭა ნახშირი კვებულამ, ჩაყარა ტომარაში და წავიდა სხვაგან. დიდი იარა, პატარა იარა და როდესაც დაღამდა, მივიდა ერთი მდიდარი გლეხისას და შეეხვეწა: ხელმწიფის ხაზინა მიმაქ და ამაღამ დამაყენეო. შეიყვანეს ერთ სახლში; მოიხსნა ტომარა და კედელზე მიაყუდა, თვითონ დაწვა. როდესაც შეიქნა შუა ღამე, ადგა კვებულა, გამოიტანა საფაფურში ეს ნახშირი და გადაყარა ტბაში, ტომარა კარებთან დააგდო, ერთი აბაზიანი ჭიშკართან დააგდო და თვითონ შემოვიდა სახლში და დაწვა. როგორც გათენდა, ჩამოვიდა ეს გლეხი ამ კაცთან და რომ ნახა ცარიელი ტომარა, ძალიან შეეშინდა, მაგრამ მერე ისევ გაამსო ეს ტომარა ფულით და მიაყუდა კედელზე. იმ დროს კვებულაც ადგა, მოიკიდა ეს ფულით სავსე ტომარა, გამოეთხოვა ამ გლეხს და წამოვიდა სახლში. როდესაც მოვიდა სახლში, ძმებმა ჰკითხეს: ვინ ნოგცა მაგდენი ფულიო? კვებულამ უპასუხა: ერთი სახლი მქონდა, ისიც დამიწვით, ამის ნახშირი წავიღე ბაზარში და დავიძახე: ვის გინდათ ფულში წყეო ნახშირი-მეთქი? გამოიტანეს ნახშირში წყეო ფული და წამოვიღე. ამ კაცებმა სთქვეს: იმას ერთი სახლის მეტი არა ჰქონდა და მისი ნახშირი წყეოთ გაცვა-ვალა ფულში, ჩვენ-კი ორჯე სახლი გვაქვს, დავსწვათ ზე

ჩვენ უფრო ბევრ ფულს ვიშოვითო. დასწევს მარტო თავის სახლები და როდესაც დანახშირდა, გაამსეს ორი დიდი ტომარა და წაიღეს ბაზარში გასაყიდლათ. როცა მივიდნენ დაიძახეს: ვის გინდა ფულში წყეო ნახშირიო? მეღუქნებმა უთხრეს: ვინ მოგცემს წყეოთ ნახშირში ფულსო?! კიდევ გალახეს ეს ორი ძმა კაცი ზე გამოუშვეს სახლში. მივიდნენ კვებულასთან გულ-მოსული და უთხრეს: რა ქენი, კვებულა, ესო, სახლები დაგვაწვევინე, წყეოთ მოგცემენ ნახშირში ფულსო, სწორეთ უნდა მოგკლათო! შეეხვეწა კვებულა: მე ნუ მომკლავთ და ერთი ცოლი მყავს და ის მოკალითო. დეიდვეს ეს ქალი და მოკლეს. კვებულამ ჩააცვა, დაახურა ამ ქალს კარგათ და წაიყვანა. დიდი იარა, პატარა იარა მივიდა ერთ ხიდზე და დაინახა სამი ლამაზი ქალი; რომ შედგა ხიდზე მიიძახა: არიქა, ხელმწიფის გამდელი მიმყავს და პატარა ხანი მოიცადეთო! ამ ქალებმა არ დაუჯერეს და შამოდგენ ხიდზე. რომ მივიდა კვებულა შუა ხიდზე, გახვანხვადიდა ერთი და გადააგდო წყალში ეს მკვდარი. მასუკან დაიწყო წუხილი კვებულამ და უთხრა: რაღა გვეშველება ახლა, ხელმწიფეს რითი გადვურჩეთო? ეს ქალები ძალიან შეეხვეწენ კვებულას: ოღონდ ნუ გაგვამხელ ხელმწიფესთან და ერთი ჩვენგანი წაგვიყვანეო. რომელიც კარგი ქალი იყო—წამოიყვანა კვებულამ თავის ცოლათ სახლში. კვებულას ძმებს, როდესაც ნახეს ეს ქალი, ძალიან გაუკვირდათ და კვებულას ჰკითხეს: ვინ მოგცა, კვებულა, მაგრე ლამაზი ქალიო? კვებულამ უპასუხა: თქვენი მოკლული ცოლი წავიღე ბაზარში და დავიძახე: ვის გინდათ მკვდარი ცოცხალში-მეთქი? გამომიყვანეს ეს ქალი ზე გამიცვალესო. ამ კაცებმა იფიქრეს თავის გუნებაში: მოდი, ჩვენც მოვკლათ

ჩვენ-ჩვენი ცოლები, წავიღოთ ბაზარში და უკეთესში
გავვიცვლიანო. მართლაც ასე ჰქნეს: მოკლეს თავის
ცოლები და წაიღეს ბაზარში გასაცვლელათ. როდესაც
შევიდნენ ბაზარში, დაიძახეს: ვის გინდათ მკვდარი ცოც-
ხალშიო? მედუქნებმა სულ თავ-პირი. დაამტვრიეს და
უთხრეს: ვინ მოგცემს მკვდარში ცოცხალსო?! წამოვი-
დნენ დაღონებული ეს კაცები სახლში, მივიდნენ კვებუ-
ლასთან გულ-მოსული და უთხრეს: ჯერ ცხვრები გა-
დაგვაშენებია, მერე სახლები და ახლა ცოლები დაგვა-
ხოცინე, სწორეთ უნდა დაგახოთ წყალშიო! წაიყვანეს
კვებულა და მიაკრეს ხიდის ბოძზე. ამ კაცებს დაეძინათ.
შეხედა კვებულამ და დაინახა ერთი მოხელე კაცი. მი-
ვიდა ეს მოხელე და ჰკითხა: რათ აგაკრეს მაგ ბოძზეო?
კვებულამ უპასუხა: ამ ბაზრის უმფროსობას მაძღვევენ,
უარი ვთქვი და იმიტომ ამაკრეს ბოძზედო. ეს მოხელე
შეხვეწა კვებულას: ჩემი ტანისამოსი შენ ჩაიცვი, ჩემ
ცხენზე შეჯექი და წადი, მე კი შენი ტანისამოსი ჩამა-
ცვი და მე ავეკრები ამ ბოძზედო. მართლა ჩაიცვა იმ
კაცმა კვებულას ტანისამოსი და აეკრა ბოძზე. კვებუ-
ლამ მოხელის ტანისამოსი ჩაიცვა, იმის ცხენზე შეჯდა
და წამოვიდა სახლში. რომ გავიდა პატარა ხანი, გამოე-
ღვიძათ ამ კაცებს და გადააგდეს წყალში ეს მოხელე
კვებულას მაგივრათ. მასუკან მოვიდნენ ეს კაცები სახლ-
ში, შეხედეს, აგერ არის კვებულა ჩინებით გაკავებული!
მივიდნენ კვებულასთან და ჰკითხეს: წყალში რომ გადა-
გადეთ, აქ ვინ მოგიყვანაო?! კვებულამ უპასუხა: შე
კაცი, იქ ყოფილა სამყოფი! აქ თქვენ სანახავათ მოვე-
დი პატარა ხნით, თორემ ისევ იქ უნდა წავიდეო. ამ
კაცებმა სთქვეს: მოდი, ჩვენც გადავხტეთ იმ წყალშიო.
მართლა წავიდნენ და ჯერ ერთი გადახტა წყალში ჭ
მერე მეორე. დარჩა კვებულა თავისუფალი. ჰირი იქ
დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე.



მონადირის უვილი

(ზღაპარი, ჩაწერილი ნ. ქავთარაძისაგან)

იყო ერთი კაცი და ქალი. იმათ ეყოლათ ერთი ვაჟი. ეს კაცი იყო კარგი მონადირე, ასე რომ ცხრა მთა სულ ფეხით ჰქონდა დავლილი. მოკვდა ეს კაცი და დარჩა ცოლი და ვაჟი. ეს ვაჟი გაიზარდა, გამოვიდა კარგი, ლამაზი და მოყვანილი. ერთხელ აღდგომა დღეს ეს ბოვში გავიდა საყდარზე და ბურჭალი დაიწყო კვერცხებით; დააჯინა კვერცხები და სხვები ესვრიდნენ. ამ ბოვშმა იმდენი კვერცხი მოიგო, რომ თორმეტი მანათი აიღო შიგ. ბოლოს სხვებმა სთქვეს: მაგას ვინ მოუგებს, მაგისი მამა იმისთანა მონადირე იყო, რომ ცხრა მთა ფეხით ჰქონდა დავლილიო! ბოვშმა რომ გაიგონა, წავიდა შინ, მივიდა დედასთან და უთხრა: დედა, ძუძუ, მაწოვეო! რა დროს შენი ძუძუს წოვა არის, მიუგო დედამ და მერე მიცა ძუძუ. ვაჟმა კბილი მოუჭირა და უთხრა: დედა, მამა ჩემს იარაღი არ ჰქონია? არა, მიუგო დედამ. მერე მოუჭირა კბილი ძალიან შვილმა დედას და უთხრა: მითხარი, თორემ ძუძუს მოგჭამო! დედას შეეშინდა და უთხრა: კი ჰქონდა, შვილო. ბოვშმა სთხოვა იარაღი დედას და დედამ მისცა; მერე კითხა დედამ: სად მიხვალ, შვილო?—სანადიროთო.—წადი, შვილო, მაგრამ ცხრა მთას იქით არ გადახვიდე, თორემ დაიღუპები.—არაო, მიუგო ბავშვმა და წავიდა. როდესაც მივიდა, სულ დაიარა ცხრა მთა, მოკლა ერთი შველი და წამოიღო შინ, მოიტანა შინ და აჭამა დედას. მეორე დღეს კიდევ უთხრა შვილმა დედას: უნდა წავიდე და მეათე მთა ვნახოო.—მამა შენი ძალიან კარგი მონადირე იყო, მაგრამ ცხრა მთას იქით არ გადასულაო და ნურც შენ გადახვალ, თორემ დაიღუპებიო, უთხრა დედამ. არ მოიშალა

ბოვშმა და წავიდა. იარა, იარა და გადვიდა მეთათე მთა-
ში. რომ გადვიდა კიდევ დაბინდდა და მოკლა ერთი კუ-
რდღელი. აქეთ გამობრუნებას იქით წასვლა არჩია, გა-
ვიდა ერთ მინდორში და ერთ ხის ძირს დაიბინავა.
დაინთო ცეცხლი, შესწვა კურდღელი და ჭამა ვახშამი.
მერე ბოვშმა დაინახა, რომ ტყიდან გამოვიდა ერთი
რაღაცა მხეცი, რომლის ტყავიც ისე ანათებდა, რომ
სულ გაანათლა მთელი მინდორი. ბოვშს შეეშინდა და
სთქვა: ერთ დღეს დაბადებული ვარ და ერთ დღეს
მოვკვდეთ. როდესაც გამოვიდა, ამ ბოვშს დაუწყ-
ყო ყბედობა შორიდგან. ბავშვმა არ გასცა ხმა, და-
ასო ტარით ხანჯალი, გადაათარა ნაბადი ზედ და თვი-
თონ შევიდა ხეზე. როდესაც მოვიდა ეს მხეცი ახლოს,
აიწია და დაეცა ხანჯალზე—იმას ბავშვი ეგონა. რომ
დაეცა, ხანჯალი გულში შეესო და დაიღრიალა; მერე
ისევე წამოღდა, მაგრამ ბავშვმა ზევიდგან თოფი დააყოლა
და მოკლა, მერე ჩამოვიდა ძირს და გაატყავა. ამ დროს
კიდევ გათენდა. ეს ტყავი წამოიღო შინ. როდესაც
მივიდა შინ, დედას უთხრა: მამა ჩემის შემშინებელი
მოვკალიო! ეგ კარგია, შვილო, მაგრამ მე მშიაო,
უთხრა დედამ. ბავშვმა წაიღო ეს ტყავი გასასყიდლათ.
როდესაც მივიდა ქალაქში, ერთმა ვაჭარმა აძლია ასი
თუმანი, მეორემ ორასი, მესამემ სამასი, მეოთხემ ოთხას-
სი; ათას თუმნამდი აძლიეს, მაგრამ არ მისცა. მერე ამ
ბავშვმა იფიქრა: ესენი ამდენს მაძლევენ და ხელმწიფეს
რომ მივართვა, ის უფრო ბევრს არ მომცემსო?
ჟუციდა დედას პური და მიუტანა. ის ტყავი წაიღო და
მიართვა ხელმწიფეს. ძალიან გაუხარდა ხელმწიფეს და
რამოდენიმე აჩუქა და გაისტუმრა შინ. ის ტყავი ისე ანა-
თებდა, რომ ხელმწიფეს არ დაჭირვებია სამთელი. მერე



ვეზირებმა მოახსენეს ხელმწიფეს: ამ ტყავს ერთი სპი-
ლოს ძვლის სახლი ეკადრებაო. — ვინ გამიკეთებსო?
მიუგო ხელმწიფემ. ვეზირებმა მოახსენეს: ის გაგიკე-
თებს, ვინც ეგ ტყავი მოგართვაო. ხელმწიფემ დაიბარა
ის ბავშვი და უთხრა: რახან ამდენი სიკეთე მიქენი,
სპილოს ძვლის სახლი უნდა გამიკეთოვო. — კარგი, მაგ-
რამ მომეცია ჯარი კაცისო, ათასი კოკა არაყი და
გაგიკეთებო — მიუგო ბავშვმა. ხელმწიფემ მისცა. ამ
ბავშვმა ამ ჯარით ამოთხარა ერთი ორმო ტყის ახლო,
სადაც გამოდიოდნენ სპილოები, მერე ჩაასხა ეს არაყი
შიგ, მერე ბავშმა მიუყურა მის ახლოს. როდესაც შეი-
ქნა შუა ღლე და დაცხა, გამოვიდნენ ტყიდან სპილოები
საცურავით და ჩაცვინდნენ ამ არაყიან ორმოში; ზოგი
დაიხჩო, ზოგი დათვრა. მაშინ ეს ბავშვი მივიდა და
სუყველა გაატყავა და გამოაცალა ძვლები; მერე მიიტა-
ნა ხელმწიფის სახლში და გაუკეთა სპილოს ძვლის სა-
ხლი. მასუკან ვეზირებმა კიდევ მოახსენეს ხელმწი-
ფეს: ამ სახლს ერთი კარგი ქალი ეკადრებაო. — ვინ
მომგვრისო? მიუგო ხელმწიფემ. ვეზირებმა მოახსე-
ნეს: ის მოგიყვანს, ვინც ეგ სახლი გაგიკეთაო. ხელ-
მწიფემ მოიხმო ის ბავშვი და უთხრა: ერთი კარ-
გი ქალი უნდა მამგვაროო. — გამიკეთე ერთი ხომალდი
სულ ვეზირების ფულით და მოგიყვანო. ხელმწიფემ უბ-
ძანა ვეზირებს, რომ მოეტანათ ფული, სადაც ქონდათ,
თორემ თავებს დასხლავდა სუყველას. ვეზირებმა გასწი-
ეს ფულზედ და რაც იშოვეს, მოიტანეს, მაგრამ არ ეყო
ხომალდს. ხელმწიფემ, გულ-მოსულმა, სუყველას დას-
ხლა თავები. მერე ამ ბავშმა უთხრა ხელმწიფეს, რაღა
ისინი დაახოცინა: შენი ფულით გააკეთეო. ხელმწი-
ფემ მოატანინა თავისი ფული და გააკეთეს ხომალდი


იმისთანა, რომ სულ ანათებდა. მერე ეს ბავში ჩაუჯდა ხომალდში და წავიდა; იარა, იარა და შეხვდა ერთ ბოროტს კაცს, რომელიც არწივს უსხამდა შვილებს, ეს ბავში შეეხვეწა ამ კაცს და გააშვებინა. მერე მოვიდა არწივი და შვილებმა უთხრეს: წამ ბავშმა გვიშველაო. — მომგლიჯე ფრთა და სადაც გაგიჭირდეს მახსენე, მე და მაშინვე იქ გავჩდებიო — უთხრა არწივმა ყმაწვილს. ყმაწვილმა მოგლიჯა ფრთა და წამოიღო. იარა, იარა, შეხვდა ერთ კაცს, რომელსაც თევზი დაუჭირავს და შუაზე ჭრის. ამ ბავშმა ფული მისცა ამ კაცს და გააშვებინა. მერე ეს თევზი მოუბრუნდა ამ ყმაწვილს და უთხრა: მომგლიჯე ფრთა და სადაც გაგიჭირდეს, მახსენე და იქ დავიბადებიო. ყმაწვილმა მოგლიჯა ფრთა და წაიღო. იარა, იარა, შევიდა ზღვაში და იქ დაიწყო სიარული. ეს ხომალდი დაინახა თავგ-ხელმწიფის შვილმა და უთხრა მამას: უნდა წავიდე, ის ხომალდი უნდა ვნახო. მამამ მისცა ნება და წავიდა თავის ვეზირებით, მივიდა და ჩაუჯდა შიგ ვეზირებთანა. მერე ამ ყმაწვილმა უწიანა ხელი ვეზირებს და გადაყარა ზღვაში. ბავშმა გააქროლა ხომალდი ამ ქალიანა. ამ ქალმა ჩააგდო ზღვაში ბექედი და გაუჩერა ხომალდი. მაშინ ბავშმა ახსენა თევზი და მაშინვე მოვიდა იმასთან; ის თევზი დაფათურდა და მოუტანა ბექედი. ხომალდი წავიდა, იარა, იარა, და როდესაც მივიდა შუა ზღვასთან, ამ ქალმა კიდევ ჩააგდო ბექედი და გაუჩერა ხომალდი. მაშინ ბავშმა ახსენა არწივი და მასთან გაჩდა, დაფათურდა და მოუტანა ბექედი. ხომალდი მაშინვე წავიდა, იარა იარა, და მივიდა ხელმწიფისას. ამ დროს ხელმწიფე მომკვდარიყო, ეს ქალი და ეს ხელმწიფის ცხოვრება დარჩა ამ ყმაწვილს და დაიწყო ცხოვრება; თავის დედაც იქ მოიყვანა. ჭირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე.

მ ა ტ მ უ ა რ ა

(მისივე)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სოფელი. იქ იცოდნენ ამაღლება და შენახული ჰქონდათ საამაღლობოთ ღვინო და პური. ერთ დღეს მივიდა იმ სოფელში ერთი აქლემიანი კაცი და მიადგა ერთი გლეხის კარებს. კაცი არ იყო შინ, მარტო ქალი იყო.—რა არის აგიო, ჰკითხა ქალმა.—ეს არის ამაღლება და რაც გაქვთ შენახული ამაღლებისთვის—მოუტანეთო, უბასუხა მოტყუებით კაცმა. ქალმა მიართვა ოთხი კოკა ღვინო და ორი ტომარა პური. ამ კაცმა წაიღო ესინი შინ. მერე მოვიდა იმ ქალის ქმარი.—ამაღლება მოვიდა აქ დღეს და მივართვი ღვინო და პურიო, უთხრა ქალმა. კაცს გული მოუვიდა, გალახა ცოლი და მერე მოკვლას უბირებდა.—მოდით წავალ და თუ მოვატყუე სხვისი ქალი, აღარ მოგკლავ ცოლსო, სთქვა კაცმა. მერე მოიკიდა გულა ზურგზე, წავიდა, გადვიდა ქართლში, მივიდა ერთი გლეხის ეზოში და დაწვა სიცხეში. გამოვიდა ერთი ქალი სახლიდან: ბატონო, მოდი და ჩეროში დაჯექიო, უთხრა კაცს.—საიქიოს არ მეყოფა ჩეროში ჯდომა, რომ აქაც ჩეროში არ დავეჯდეო? მიუგო კაცმა.—იქნება ჩემი ართენას ამბავი იცოდენ რამეო? ჰკითხა ქალმა.—როგორ ვიციო? დამაბარა შენთან არა, რომ იქნება პატარა ღვინო, პური და ერთი ოთხიოდენ თუმანი გამომიგზავნოო, მიუგო კაცმა. ქალმა გაატანა ღვინო, პური და ფული. ბოლოს მოვიდა ამ ქალის მახლი.—ჩემ ართენას შამოეთვალა ფული და გავუგზავნეო, უთხრა რძალმა მახლს. მახლს გული მოუვიდა, შეჯდა ცხენზე და გამოუდგა იმ კაცს. როდესაც მიუ-

ახლოვდა, მატყუარამ უკან მოიხედა და დაინახა, რომ ცხენიანი მისდევდა უკან, ველარაფერი მოახერხა და მერე დაინახა, რომ ერთი ბებერი კაცი ხნამდა, რომელსაც ჰქონდა ბელატი, მივარდა იმასთან და უთხრა: ხომ ხედავ, ეგერ ცხენიანი კაცი მორბის, ის არის გამოგზავნილი საიქიოდგან და ყველას ატყავებს ბელატს თავზე, დაიმაღე ხეზე შენ, თვარა შენც აგატყავებს, და მე ამ ხარებს მოვეკიდებიო. ეს ბებერი კაცი შევიდა ხეზე და დაიმალა. გამოიარა ცხენიანმა, ვერ იცნო მატყუარა და ჰკითხა: აქ კაცს ხომ არ გაუვლიაო? — ეგერ დაიმალა ხეზეო, უთხრა მატყუარამ. ცხენიანი გადმოხტა ცხენზე, მისცა მატყუარას ღ თვითონ მიდიოდა მაღლა ხეზე. ბებერმა კაცმა დაიწყო ყვირილი. რომ ავიდა შუა ხეზე, ეს მატყუარა ცხენზე შეჯდა, წავიდა და მერე დაუძახა: მე ვარ ის, მაგას რას ერჩიო? ბებერი და ის კაცი ორივე ჩამოვიდნ ძირს. მასუკან გამოუდგა ცხენის წასართმევათ, მაგრამ ვერ მიეწია და თავი დაანება. გამობრუნდა და წავიდა შინ. როდესაც მივიდა სახლში, რა ქენიო? ჰკითხა რძალმა. — ცხენიც ეთხოვა და ისიც გაფუჭავნეო, უბასუხა მახლმა. რაქალმა ძალაან მაღლი გადუხადა.



ს მ ფ. ს ა რ მ

(ჯავახეთი, ახალქალაქის მაზრა)

მასალა შესხი კონსტანტინე გვაჩაშვილისა.

მთელ ჯავახეთში საროც ხიზაბავრასავით შესანიშნავი სოფელია, როგორც ბუნების სიშვენიერით, ჰავაწყლის საუკეთესო თვისებით, ბალ-ვენახების და მრავალგვარი მცენარეობის შემკულობით, სხვა-და-სხვა გვარცხოველებით, მწერ-ფრინველებით და თევზეულობით, ეგრეთვე ხალხის ერთნაირობით („ხიზაბავრა“ იხილეთ, „კრებული“-ს № I-ში.) საროცლების ცხოვრებაც ხიზაბავრელებისაგან თითქმის არაფრით განირჩევა; იპურებენ თავს ერთი და იმავე მეურნეობით და ნაწარმოებით; იცმენ ტანთ ერთნაირათვე, თუმცა ამ ბოლო დროს, ქართლიდან მოსულ მღვდლების შემწეობით, ქართლურებ იწყეს ზოგიერთმა ახალგაზდებმა ჩაცმა-დახურვა, მაგრამ წვერ თეთრები კი თავიანთებურს მაინც არ იშლიან. სახლების შენებ-წყობილობა ვეჯებითურთ და სასმელ-საჭმლის ხმარება სულ უცვლელათ ერთნაირია ხიზაბავრელებთან. ცხოვრება და ჯან-მრთელობა, ენა, ზნე, ხასიათი, ჩვეულება, ზეპირ-სიტყვაობითურთ სრულებით განურჩეველია, გარდა იმისა, რომ ეს მეზობელნი ასრულებენ სხვა-და-სხვა, თუმცა კი ქრისტიანულ, სარწმუნოებას.

საროში ცხოვრობს 60 მართლმადიდებელი ქართველი, გარდა ერთი მაჰმადიანისა, რომლის გვარი ორბელიანია. ეს ორბელიანები ძველადანვე მემამულე ყოფილან, ბეგათ წოდებული. მთელი საროს მიდამო იმათ ხელში ყოფილა და დღეს კი, ამას მოკლებული არიან, თუმცა აქა-იქ კიდევ შერჩენიათ ცოტაოდენი მამული.

საროელები ყველანი გლახობის წოდებისანი არიან. აი გვარები: ასპანიე, ახოტოვი, ალიშანოვი, ბერიძე, გურგენიძე, გიორგაძე, მალრაძე, იველიშვილი, ჭედლიშვილი, ხმალაძე, სანდაძე, წითლანაძე და ჭონიშვილი (იგივე გვარამაძე). ესენი ყველანი ნიჯგორიდან ყოფილან ამოხახლებული ამ 70 წლის წინეთ. ნიჯგორი საროს გადასახედზეა, დასავლეთის მხარეზე, მტკვრის თვალუწვდენ ხეში, მტკვრის პირას, სადაც დღეს საროელებს ძველადანვე გაშენებული ბალ-ვენახები აქვთ. აქვეა უწინდელივე სახლები, საყდარი და ჯამე, რომელიც დღესაც უწინდელსავე სოფელს წარმოადგენს, მაგრამ ხალხი-კი არა ცხოვრობს აქა, არამედ ზევით (ქარაფის წვერზე), ს. საროში, რომელიც ლეკობისას გაუშენებიათ საცხოვრებლათ. სარო მანამდინაც ნასოფლარი ყოფილა, რასაც ძველი კოშკ-ციხე-საყდარი წარწერთურთ ამტკიცებს.

სარო მდებარეობს ხეობის გადასახედზე, რომელსაც სამი მხრით ვაკე-სერ-გორაკები ამკობს, გარდა დასავლეთის მხარისა, საიდანაც თვალ-უწვდენელი ღრანტე-ხევი-ღელეები აკრავს. აღმოსავლეთით აკრავს სოფლები: ვარგავი, თოკი და ვარევანი — შ-ნ ვერსის მანძილზე. სამხრეთით — დაბა ხერთვისი, რომლის საზოგადოებასაც ეკუთვნის ეს სოფელი და ჩრდ. ხიზაბავრა.

საროელებიც, როგორც ხიზაბავრელები, არ მისდევენ სწავლა-განათლებას, თუმცა აქვთ კი ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი დაბა ხერთვისში.

საროში შესანიშნავი შენობებია: ორი კოშკი, ერთი საყდარი, სადაც წირვა-ლოცვას დღესაც ასრულებენ და ერთი ციხე, რომლის გვერდით დიდ ლოდზე ძველისძველი ხუცური წარწერა აქვს; გადმოღებული აქვს მღვდ. გვარამაძეს 1876 წელს.



აქაურ მიდამოში შესანიშნავი ადგილებია:

ნიჯგორი — (მტკვრის ხეობაში) ბალ-ვენახებით და სახლებ-საყდარ-ჯამეს შემკულობითა.

საწველეა. (მტკვრის ხეობაში) მაღალ-კლდეში მალარობია; არის შვენიერი წყაროცა.

სახსა წყარო ანუ ხევი, შვენიერი წყაროა.

სარძხ ხევი. ეს საზღვრავს საროს ხიზაბაერასაგან.

მლაშე წყალი, სარძ-ძირი, ჯანდი და გორ-გვერდა — ესენი სერებია.

ხულა, კურდღელაური, უნაგინა, საბძლის ვაკე — ესენი ყანის სახელებია.

ორმეტი — მტკვრის პირათ, ახალქალაქის გზა-ტყე-ცილზე, მომადლო გორა ადგილზე შვენიერი ციხეა აგებული.

ზვიკრ ბაღმოცემები

ორმოცს გაღმა ძველათ სოფელი მოქცევი ყოფილა. ეს ნასოფლარი დღესაც კი ეტყობა; ის ლეკობის დროს აოხრებულა. აოხრებამდი მოქცეველებს, როცა თავისი თხა-ცხვარი იაილზე (საკვირიკო მთის წვერზე, აქედან 3-4 ვერსი იქნება) საბალახოთ რომ ჰყოლიათ და მტრის შიშის გამოვერ უსარგებლიათ ერბო-ყველის კეთებით, გამოუგონიათ შემდეგი ხერხი: საკვირიკო მთის წვერიდან მტკვრის პირამდე, მოქცევამდე, დაუგიათ მიწაში მიღები, იაილზე მონაწველი რძე უსხამთ მიღებში და მთის ძირში, მოქცევში, რძის წყარო უდენიათ; ასე ჩუმათ უმზადებიათ ერბო-ყველი მთელი ათი წლის განმავლობაში. ბოლოს რძეს მილში უსახელო (გველი) გამოჰყოლია; არ იციან ზევიდანვე წამოჰყოლოდა, თუ იქავე ქვევიდან შეჰყოლოდა. იმის ზიზღით მოუშლიათ ზე შემდეგ სხვა მოსაზრებას დადგომია.

II

ს. მოქცევის ახლოს, ერთ კაცის მჭამელს უცხოვრია ძველათ. ეს სულიერი დილით წავიდოდა თურმე ადამიანის შვილზე სანადიროთ და სალამოს კი შინ ბრუნდებოდა ხოლმე და ნანადირევიც რამე თუ ექნებოდა, იმასაც თან მიიტანდა. სხვათა შორის, ამან ერთხელ ლამაზი ქალი ინადირა და შექმის მაგიერ ხასათ დაისვა. მთელი დღის განმავლობაში თავისი ხასა დაკეტილში ჰყავდა, როცა კი თვითონ ნადირობდა კარში. ასე, ამ გვარათ, წლითი-წლობით დატყვევებული ჰყავდა საწყალი ქალი. წლამდი ამათ ვაჟიც შეეძინათ, რომელიც დიდის ჯანმთელობით იზრდებოდა.

ერთხელ კაცის მჭამელი ჩვეულებრივ სანადიროთ რომ წავიდა, კარი დაუკეტავი დარჩა. ტყვე ქალსაც ეს უნდოდა: წამოხტა საჩქაროთ, მოისვა ზურგზე თავისი ოთხი წლის შვილი, გამოვიდა ხუთი წლის უნახავი მტკვრის მიდამოზე და მოუსვა ფეხი. დაინახა შორიდან პატრონმა, კაცის მჭამელმა, და ყვირილით გამოეკიდა თავის ხასას და შვილს. ქალმა იცნო ხმა, აჩქარებით მოკურცხლა და მტკვარზე ჯადებულ ხიდს მიმართა, რომელზედაც კაცის მჭამელს არამც და არამც არ შეეძლო გასვლა და მის დანახვაზედაც კი შიშის ზარი დაეცემოდა ხოლმე თავზე. ამისთვის ვეღარ გაბედა მიდევნება და გაჩერდა. გული აღარ უმაგრდებოდა ხასის ასეთს საქციელზე, უნდოდა როგორმე ხელთ ეგდო და მისი ოხტიდან გამოსულიყო, მარა რაღა შეეძლო, თუ არ კიდევ შიშით და ვიშით ძახილი? უძახდა:


„შვილო, მამისაო, მოსწი გვარისაო!“

და მეტი სიბრაზისაგან თვალეზი დაუბნელდა, რა რო ეკარგებოდა საყვარელი შვილი და დედა მისი. შვი-

ღმა გაიგონა მამის ძახილი და სიტყვები, იცნო და დადგა ყოჩაღობას: დედას კისერზე მოჭიდული ხელებით უწყო დიდი ღონის შეკრებით წვეა, უნდოდა გაეჩერებია მამის მისაწვეათ, მარა დედა მოთმინებიდან გავიყვანა შვილის ასეთმა ძალ-დატანებულმა უსინდისო საქციელმა; მოიგლიჯა გამწარებულმა მოღალატე პატარა შვილი და მტკვარში სტყუარცნა, თვითონ-კი მშვიდობით გავიდა გაღმა და უშველა თავსა.

III

ამავე მტკვრის ხეობა, საკვირიკო მთის-გვერდობებს ზევით (მთის წვერი) ნაძვნარ ტყეს და, ქვეით მტკვრის ნაპირამდე, ბალ-ვენახებს ეჭირა. ახლა კი ეს ადგილები ბალახსაც ძლივას მოფარული აქვს, რადგანაც ლეკებს ტყე დაუწვავთ და უტყეოთ წყლები დამშრალან, რომლითაც ეს ვენახები ირწყოდა და მით ვენახებიც უწყლობით გამხმარა და მით განადგურებულა ეს გვერდობი. იმ ვენახებში იმისთანა ჯიშის ვაზები ყოფილა თურმე, რომ თითო მისი მოსხმული ყურძნის მტევანი ასს ოყამდე იწონიდა. აი, ამაზედ ერთი ანეგდოტიც არის ხალხში: ერთი ვინცლა სხვა ქვეყნელი სტუმრებია საროს. ერთ კვირა დილას, ნაწირობევს, ამ სტუმარს აქედან დაენახა გაღმა სოფლებში, 3-4 ვერსის მანძილზე, სოფელ როკეთის ვენახებში ყურძნის მტევანი, რომელიც კამეჩი ჰგონებოდა. სტუმარს არ დაეჯერა, რომ მკვიდრთ დაერწმუნებიათ: ის ყურძნის მტევანიაო. დანაძლევებოდა დასარწმუნებლათ გასულიყო როკეთში და კამეჩის მაგიერ დახვედროდა ყურძნის მტევანი. ამის მნახველი ხარხა-დაღებული დაბრუნებულიყო; ისე გაჰკვირებოდა, რომ წაგებული სანაძლეოც ბოლოკათაც არ ჩაეგდო.



ლ ი ძ ს ი ბ ი

(ს. საროში მარკოზ ბერიძისაგან ნაამბობი.)

ელა, ძმაო, მეღია,
შაინს გაუკარ ხელია,
ახლა მოგიუვეთ შაინსა,
დაბძნდით, მიგდეთ უურია:
ხმაღმა უნდა ხმაღსა ცემოს,
ადგება სისხლის ღვარია,
შეიდი ხელმწიფე ამდგარა,
მანსუფის მოშლა ძნელია;
ჩინჩავატმა დამალუღმა
სულ გაახილეს თვაღია,
გვიბრალა ჩვენ გაგარენმა,
გვიყო წყაღობის კარია.
ქრისტიანობა გვეღიქსა,
საუღრებს დაჭკიდეს ზარია;
ოც-ათას კარის უფრცხი
ხასკევიჩია თავია.
ღვთისაგან გამარჯვებუღი,
გუჟად ჯომარდიც (ეოხადი) არია,
სითკენაც წადგეს, წამოღგეს,
ღმერთო, მოუწეე ხელია!
ერეუნის ციხეს მიუღვა,

ნაადრინც იყო, სველია,
ასეთი უანგი აჭკიდა,
რომ იყო საკვირველია,
მოუძართა წარბაზნები,
უუმბრებით დატენილია,
დაუშინა წარბაზნები,
არ აუხილა თვალია.
განჯას, შუშას, შემასიას—
მათაც უცვალა ფერია.
ასლა წამოვა უარსისკენ,
თან მოაქვს მთა და ველია.
უარსის ციხეს რომ მიადგა,—
გარშემო კრტყა თხრილია.
სუუველა ამას ამბობდა:
„მისი აღება ძნელია.“
ზასკევიჩმა გარს უარა,
ვერსად უზოვა კარია,
დაჯდა და ღმერთი ასხენა,
შირს დაიწერა ჯვარია;
დაუშინა წარბაზნები,
სულ ჯაჭვით დატენილია.
ხოცა და ხოცა თათარი,
ათა, უიზილბაშია;
შევიდა ციხეში, დაჯდა,
შიგ მოიდურა ეელია;
დაჯდა და მუბავარი ჰქნა,
ქალაქს გადავლო თვალია.
მერე მოვა ასალქალაქს,
თან მოაქვს ტყე და ველია;
კარავი კარავზე დადგა,

რს ტურფა სანახავია!..
მოახსენა მუთი-აღამ:
შენი ჭირიშე, შენია!
მეც შენი ვარ და ციხეცა,
არ გამეწეობა ძაღვია.
რც-ათას კაცის უფროსი,
ქოსად-ფაშაა— თავია,
შენა და იმან იცოდეთ,
თუ გამეწეობა ძაღვია.
უბძანა ქოსად-ფაშასა:
შენზედ ვარ მოსასვლელია!
მიუბრუნდა ქოსად-ფაშა:
მცირედი მოითმენია,
ჯარი გავმართო ციხეში,
მეც მოვიმართო ხელია;
ერთს სოფელს გადაბრუნებს,
ერთი წუწვი თათარია;
ზასკევიანმა დმერთი ბრძანა,
ზირიჯვარი დაიწერა,
თათარს ვინ მისცა მინდობა,
არა აქვს ესტიბარია.
სულ ციხეს გარეთ გასულა,
გზაზე უჭირავს თვალია,
სულ კალაფნიდან ცვიოდენ,
ისაფრეს შავი წელია,
უღმითოთ იხილობდენ თავებსა,
რხერი შიში ძნელია!..
ახლა წამოვა ხერთვისზე,
თან მოაქვს კლდე და ველია.
ხერთვისს ქარაფზე გადადგა,—

ცოტადენა ჯარია.
 სერთვისელებსა შეხედეს,
 უკელა იძახდა: „ვარია!“
 კაცები სახლებში რბოდენ,
 ბაღებში დარჩათ ქალია.
 კობახე თვალებს ჭიმივდა,
 შიშმა მოსწუვიტა წელია;
 სერთისვლებსა ეხვეწება:
 „ჩვენ იმას თავს ვერ მოუვალთ,
 ბევრია რუსის ჯარია“.
 ხიდის უურზე რომ ჩაბძანდა,
 იქაც დაუგრეს თავია:
 „ამბობანდი და დაბძანდი,
 დია ციხის კარია.“
 არცა გავარდა თოფები,
 არცა რა ზარბაზანია.
 ავიდა ციხეში დაჯდა,
 შიგ მოიღერა უელია.
 უბძანა ახლა სელმწიფემ:
 შენი ჭირიძე, შენია,
 წელ შემოიკარ ხმალია!
 რაც რომ გინდოდეს, — მე მითხრე,
 გამოგიგზავნო ბევრია;
 ჯარსაც ბევრს გამოგიგზავნი,
 არ უწვდებოდეს თვალია;
 დავუდებოქროს ურმებსა,
 მანეთი საკვირველია.
 ჯავახეთს რომ გაიტანო,
 ქერი ეკონთო ძველია.
 ხარჯე და ხარჯე ბაჯადლო,



მით გაითეთრე ზირია;
 ეკებიც რა ამომუარო
 მაგ ახალციხის ჯავრია,
 ახალციხის ჯავრი მწვევ მჭირს,
 მისი ნაქნარი ბევრია:
 მგზავრ-ქარავანი მოშალა,
 სულ მომიტარა ხელა.

ეს ქოსად ფაშის ღაშქარი,
 თრმაც ათასი კაცია,
 სინესე გარეთ გამოსულან,
 თმზედ უჭირავთ თვალა,
 არ მოგიკუდეს ზასკევინი,
 არ გაახაროს მტერია.

ასო წლის ვერანას ჰგვანდეს,
 რომ იუოს სკვირველია.
 რა წაბანდა ახალციხეს,
 თან მიაქვს ტყე და ველია.

რა დანახა ილტვა,
 ზირჯვარი გადიწერია,
 ასეთი თმი აჭკიდა,
 სულ კი გაჭკვირდა თემია:
 შვიდი დღე და შვიდი ღამე
 ერთმანეთს ტემეს ხმალია:
 ამ ახალციხის ბაზრებში
 ადგება სისხლის ღვარია,
 ერთმანეთს ვეღარა სტნობდენ,
 სისხლსა მიჭქონდა მკვდარია...



(ლუკა იველიშვილის ნაამბობი)

წუხელი მანკი ჭყავდა,
არ მომივიდა ძილია,
მებადეს გადავებარე,
ხახვს ამოფუტდე ძირია;
თაღგამსა გადავებარე,
წიწმატმა დამწვა ზირია.
ღობესა გარდმომავალსა
ფეხში შემერტო ჩხირია,
უკუ ვიხედე, მომდევდა
მებადის შვილი გმირია,
მხარსა კაედო ჩიხბახა (კობახა),
კათლილი შინდის ძირია.
გადმამცხო, გადმამიჭირა,
მომტეხა თეძოს თავია;
წავიდა მეზობლისსა,
მოვიმძინარე თავია,
შუა ღამე რომ შეიქნა,
მოვა და მხახვს ქალია:
„მაგ შენმა წუწქმა მუცელმა
ცეცხლზე დაგისხა წყალია,
წუხელი დაგათმობინა
თვალ-ფუფუნ თეთრი ქალია,
სამწუთრო ბევრი მოჭქენდა —
მსხალი და ვაშლი ბევრია“.



II

X	გაუმამდარი ცოლი—მისივე	40
XI	გულ-კეთილი ამხანაგი—მისივე	42
XII	უცნაური ბიჭი— მისივე	43
XIII	გლეხი და მიქელ-გაბრიელი— მისივე	49
XIV	ნაზარა— ზღაპარი, ჩაწერილი ნ. სტურუასაგან	52
XV	კვიბულა— ზღაპ. ჩაწერილი ნ. მაჭავარიანისაგან	62
XVI	მონადირის უვილი— ზღაპარი, ჩაწერილი ნ. ქავთარაძისაგან	66
XVII	მატყუარა— მისივე	70
XVIII	ს. სარო (მასალა კ. გვარამაძისა)	72
XIX	ლექსები	77



აკაკის

თვიური „კრებული“

გამოვა ყოველი თვის პირველ რიცხვებში.

წელიწადი ითვლება ენკენასთვიდან ენკენასთვემდე.

„კრებული“ ცალკე ნაშრომით არ გაიყიდება.

წლიური ფასი თბილისში მცხოვრებთათვის 6 მანეთია, ხოლო
კავკასიის და რუსეთის სხვა ქალაქებში გავზავნით—7 მან. ნახევარი
წლით—4 მან.

რედაქცია არის მთაწმინდაში „მალაია სუდებნაია“

ქუჩაზე, სახლი № 4.

ადრესა: Тифлисъ „Кребули“. Малая Седебная, № 4.
